

1982/2

ՀԱՅԱՍՏԱՆ

ԺԱՌԱՋԱՐԱԿԱՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

1982

2

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ





ქართველი

ლიტერატურულ-მხატვრული და
ხაზოგადოვნილი-პოლიტიკური
შერწყმი

საქართველოს მფრინავთა კავშირის
და აჭარის განყოფილების

ორგანო

გამოცემის 24-ე წელი

2

1982

პარტი
აარელი

რა მშენიერი ბლვა გვაძეს, აჭარა,
რა მომავალი, მაირადსა მუდით...
ქალაძი—ჩვენი ქვეყნის დაწყარო
აღმოსავლეთით და გასავლეთით.



გ ა თ უ მ ი

აზარის შურალ-გაზეთის გამომცემლობა

ნომარში დაპატიჟილი

- | | |
|-----------------------|---|
| ნაცა გვარიშვილი | 3 ლექსები |
| გერებელთა კუთათმალაკე | 4 სამი წითელი მიხაკი (მოთხრობა) |
| ლალი იორიაძე | 8 ლექსები |
| ანა ჩახუა | 9 შესვეღრა ბავშვთან (წიგნიდან „სამხრეთის მზის ქვეშ“) |
| ბაზარეულის სიმღვრები | 13 (უუქუნა შაინიძის, მაია მიქელაშვილის, რუსედან ჯინჯიხაძის, დალი უდენტის, ქეთიონ გორგაძის, მარინე ჩხაიძის, ზინა ბოლქვაძის, ნინო არჯევანიძის, გუგული ხალვაშის ლექსები) |
| რამაზ სულმანიძე | 18 სახეზე ღიმილი შერწა (მოთხრობა) |
| ცოლარ უამანაძე | 22 ხოფელი დანისპარაული (ლექსი) |
| ალექსალენე სამსონია | 23 შალვა, ჩემო სიხარულო...
(მოთხრობა. დასასრული). |
| ცესტორ ეალაზონია | 42 მოკონებათა წიგნიდან (გაგრძელება) |
| კრისტალიძე პაშტოზ- | 50 გაცრეცილებრაჯიანა მოხუცი (მოთხრობა. თარგმნა ტიტუ სინთიბიძე) |
| სპი | 60 ლექსები (თარგმნა გიორგი სალუქვაძე) |
| სარგებ ასენიძე | 61 ორი ძეგლი |
| ანა უვაკერძი | 62 ქალები ვაშლის ხის ქვეშ (მინატურები. თარგმნა ირინა კოლკოვაძე) |
| ჰაინც ნაერვაძი | 63 (ჯემალ ქათაძის, ლევან ანანიძის, ვასილ სიმონიას ლექსები) |
| აუქილი | 65 ჩვენი წინსვლის საფუძველი |
| ცოლარ ტუღუში | 69 ძღვნად მშობლიურ ქალაქს |
| ანზორ ზაებაძიძე | 74 ღვაწლშოსილი აგრონომი |
| ნაცა ბაზელიძე | 76 ასალი გამოკვლევა |
| ცერაუმინ ხუციშვილი | 81 ილია ჭავჭავაძე ევროპაში |
| ბრუამ უარაძე | 89 ზემოაჭარული სოფლის გენეზის საკითხისათვის |
| ცებუარ მგალაძე | 93 იუმრის გრძნობა |
| ჯონი გარაშიძე | 93 სალაღობოდ თბილისის „დინამის“ |
| აასა გახარაძე | 94 გასულ ორ თვეში |

გარეკანის 1-ლ გვერდზე — თაღოვანი ხილი სოფელ მახუნცეთშე.
აპლაცილ ლომაძის ნახატი.

გარეკანის მე-2 გვერდზე — პეტაქი. მხატვარი ციცო ციშარაძე.

გარეკანის მე-3 გვერდზე — „მეთევზები“. მხატვარი მებიგვანან ცოლაუზვილი.

ტექნიკური ხელმძღვანელი უშმანა დარჩის.

ნანა გვარიშვილი

17/83

გალაკტიონი

ქვაში კვლავ ბორგავს
მორთოლვარე სიძი
საოცარ საზის,
ქარი ეტმასნება,
ქარი უჩურჩულებს,
ქარი არ ტოვებს...
ღვას გალაკტიონი — ბუმბერაზი.
სიო აქანავებს დანამულ რტოებს...
ქვაში ბობოქრობს,
ქვაში სუნთქავს,
ქვაში ღალადებს,


ქვაში იწვის დაუმცხრალი
მურვალე გულის გზება,
ღვას გალაკტიონი — უდიადესი
რევოლუციური ეპოქის
ქარიშხალი...
გამლილ გამზირზე
შთამომავლობა
ერის საღიდებლად ივლის.
ღვას გალაკტიონი — მგოსანი
ბუმბერაზი,
ერის უკვდავების ჰიმნი.

ბავშვების სახელით

სოფიაში, გიორგი დიმიტროვის სამშობლოში, ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო აქსამბლეა

მთელი მზე ჩვენია! — შესძახეს ბავშვებმა —
თეთრებმა, შავებმა, ყავისფერებმა,
ააფრიალეს მშვიდობის ღროშა
და იქცნენ ბალლები ღაღ სიმღერებად.
გულთეთრ მერცხლების ხმატკბილ
უღურტულში
გაფურჩქნა იწყეს ვარდის ღერებმაც,
გალობა იწყეს საოცარ ზარებმაც,
თეთრებმა, შავებმა, ყავისფერებმა...

სამი წელი ვა ჰისკაპი



საათს შეხედა. 11 სრულდებოდა. ირგვლივ მიმოიხედა, ოთახი შეათვალიერა. ფანჯარის ნაჭრით საგულდაგულოდ გააკრიალა მაგიდის ზედამირი, მერე ლარნაკებს დაუწყო წმენდა. ოთახში ყველაფერი კოხტად იყო მიღავებული. იდეალური წესრიგი და სისუფთავე მიგახვედრებდათ, რომ წინაში მარტოსელა ქალი ცხოვრობდა.

ფანჯარასთან მივიდა და ეზოს გადახედა. საამოდ ბარდნიდა. „ქარგია, რომ თოვს, ახალ წელს უხდება კიდეც“. გაიფიქრა, თამთას ახლა განსაკუთრებით უხაროდა 12 საათის მოახლოება. მეკვლედ ახალგაზრდობისდროინდელ მეგობარს ელოდა, ამას წინათ რომ შეხვდა და ჯიუტად მოხსოვა თამთას, დრო არის, ცხოვრების სტილი შევიცვალოთო. მაშინ საუბარში არ აძყვა, მაგრამ იოლად ასე ვეღარ დაიძვრინა თავი. პოდა, სახლში მოიპატიუა... მაინც, სულ სხვანაირი გამხდარა მირიანი, სადღაც გამქრალა მერყევი და მოკრძალებული ვაჟი და ახლა თამთას მტკიცე, პირდაპირი, ენერგიული და საქმიანი მამაკაცი ელაპარაკებოდა, რომელსაც ჰქონდა ჸიზნები, გეგმები, ერთი სიტყვით, მირიანი გარდაქმნილა ამ თხუთმეტი წლის მანძილზე.

„თანამდებობა როგორ ცვლის ადამიანს. თითქმის სულ სხვა კაცს ვეღაპარაკებოდი, ღმერთი ჩემო, რა ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ის ბიჭი იყო, რომელიც ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ჩემს დანახვაზე წითლდებოდა და ენა ებმოდა, ახლა კა“...

„ასე თუ ითოვა, დილამდე დიდ თოვლს დადებს და“...

ტელეფონი აწერიალდა. მირიანი ურკვევდა. გელოდები, მობრძანდით, მოკლედ უთხრა. მერე სამზარეულოს მიაშურა და სახაჭაპურე ცომის დაგუნდავებას შეუდგა.

„ფენებიან ხაჭაპურს გავაკეთებ, უფრო გემრიელია...“ ზარმა კარებთან მოუხმო. საათს გახედა, თორმეტის 15 წუთი იყო, გაუკვირდა, ნეტავი ვინ არისო.

კარებთან მეზობლის ატირებული ქალი იდგა.

— ნათელა, შენ ხარ? შემოდი.

— არა, თამთა, ვერ შემოვალ. მიშველე რა, კაჭო არაა სახლში. 

მაღალი სიცხე აქვს, რა ვქნა, აღარ ვიცი.

— სახწრაფოს გამოვუძახოთ, ნუ გეშინია.

— ექიმი იყო უკვე, წამალიც გამოწერა, სასწრაფოდ უნდა გააკეთებით... მიშველე, შენ გენაცვალე, გამეგზავნე აფთიაქში, კი გაწუხებ, მარა რა ვქნა? ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი, ამას არ დამამადლი.

— კი, ჩემო ნათელა, წადი, ბავშვს მოუარე, წამალს გაგიჩენ, ნუ გეშინია.

შინ შემობრუნდა, სასწრაფოდ ჩაიცვა, საათს ერთხელ კიდევ შეხედა, თორმეტის 20 წუთი იყო. „არაუშავს, ტაქსით წავალ და მაინც მოვასწრებ დაბრუნებას თორმეტ საათამდე“, გაიფიქრა.

სირბილით გავარდა ქუჩაში. „რომ გვირდება, ასე უცბათ სად ნახავ ტაქსის“. მაინც ჯიუტად იდგა ქუჩაში და ელოდა, „გამოჩნდება, აბა, სად ჯანდაბაში დაიკარგებაო“, ფიქრობდა. გამოჩნდა, როგორც იქნა მანქანა, მაგრამ ტაქსი არ იყო. ერთი გაფიქრება გაიფიქრა, ჩავჯდებიო, მაგრამ მძღოლის სახეს რომ თვალი მოჰკრა, უკან დაიხია, ისე უტიფრად უღი-მოდა კაცი, გული აერია. ჯანდაბამდე გზა გქონიათ ყველა უკულმართოს,— ერთი კი მიაწყევლა და ტროლებუსის გაჩერებისაკენ გავარდა. იქაც ბლო-მად მოვროვილიყო ხალხი. დენი გამოირთო და აგერ, შენ ხარ ჩემი ბატო-ნი, ტროლების ნახევარი საათია ვუცდითო, ამბობდნენ გაჩერებაზე. ლო-დინს აზრი აღარ ჰქონდა, სირბილით გაუყვა ქუჩას.

ვიღაცის მანქანა წამოეწია.

— ჩაჯერი ლამაზო, ცხრა მთას გადაგატარებ, თუ გინდა...

— დაიგარებე აქედან.

— შენმა მზემ, ანგელოზი მყავხარ, აი... ამ ლამეს სად დაეთრევი.

— მომწყედი თავიდან, თორებ მილიციას დავუძახებ.

ბედად ორი ქალი წამოეწია. ფეხი შეანელა თამთამ, ქალებს გაჰყეა. ინატრა, ნეტავი ახლა კაცად მაქცია და იმ ოხრისთვის თავპირი დამამტვ-რევინაო.

აფთიაქმდე ჯერ კიდევ დიდი გზა იყო. თამთა ისე სწრაფად მი-დიოდა, რომ ვეღარც სიცივეს გრძნობდა, ვეღარც შიშს, აღარც თოვლის სილამაზე და ფიფქების ცვენა სიამოვნებდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ აფთიაქს მიაღწევდა. როგორც იქნა, დასრულდა გზა, შეაღო აფთიაქის კარი და რიგში ჩადგა. „ამ ახალ წელს რა დაემართო ხალხს, რა ამბავიაო“, გაიფიქრა, მაგრამ რას იზამდა, იღვა და ელოდა თავის რიგს. სიტყვაც არ დასცედებია, რიგი დამითმეთო. მაინც არავინ დაუთმობდა, ეტყობოდა, გველას ეჩქარებოდა. იდგა რიგში და ელოდა.

მაინც რა უცნაურია ცხოვრება, მართლაც, სადაურსა სად წაიყვანს! ამ

ქალაქში თუ დამკვიდრდებოდა, როგორ იფიქრებდა წლების წინათ. დამკვიდრდა კი არა, ისე მიეჩვია ამ პატარა ქალაქს, რომ ახლა აქეცვალებული ვერც კი წარმოუდგენია. ცხოვრობს ახლა ამ მშვიდ ქალაქში ჩუმად, წყნარად, უხმაუროდ, არც მეცნიერებაში უთქვამს თავისი სიტყვა, როგორც ფიქრობდნენ და მოელოდნენ ყველანი თხუთმეტიოდე წლის წინათ. დადის სკოლაში, ასწავლის ბავშვებს, აკეთებს თავის საქმეს გულდაგულ, და ოდნავ დამცინავი, თუმცა კეთილი ირონიით კითხულობს მეგობარი მეცნიერების გამოკვლევებსა და ნაშრომებს. მირიანიც ხომ ერთი მათგანია, მაშინ რომ თამთას ჭკუის, ნიჭისა და სილამაზის წინაშე ქედს იდრევდნენ. ახლა?... ახლა კი თამთა მხოლოდ კარგი პედაგოგია. მერე ეს ცოტაა? არა, ცოტა არაა, თამთას რომ პირადი ცხოვრება მოეწყო, შვილები რომ ჰყავდეს, ასე უკვალოდ არ ჭკნებოდეს მისი სილამაზე... წინათ ხომ მართლაც ლამაზი ქალი იყო. ეს... მირიანი როგორ დამშვენებულა, ნუთუ კიდევ შერჩა თამთასადმი წინანდელი გრძნობა? ვინ იცის, გულს რას გაუვებს კაცი.

— მომაწოდეთ რეცეპტი.

თამთა ფიქრებიდან გამოერკვა.

— ინჯეთ.

— სასწრაფოა? ერთი საათი უნდა, დაელოდოთ.

— უფრო სწრაფად არ შეგიძლიათ? იცით, ძალიან მეჩქარება, გთხოვთ. — არ შეგვიძლია, გენაცვალე, რა ვქნათ, ბევრი სამუშაო გვაქვს.

თამთა მოსაცდელში სკამზე ჩამოჯდა. სევდა მოებალა. ერთი საათი მოიცავდეთ. კაი დაგემართოთ. საათს დახედა, თორმეტს ხუთი წუთი აკლდა. ეს... ერთ საათს მირიანი ხომ არ დაელოდება კართან. რომ იცოდეს, რაშია საქმე, სხვა ამბავია, ახლა კი რას ფიქრობს?..

ისრები თორმეტს რომ მიუახლოვდა კედელზე დაკიდებულმა ბეველებურმა საათმა დაიწყო რეკვა. თამთა არც კი შერჩეულა, იჯდა სკამზე ნაღვლიანი, ჩაფიქრებული და რაღაც ერთიანად გარინდული. გონებაში ლექსის სტრიქონები დაკქრიდნენ და თამთაც, ვინ იცის, მათ მერამდენევერ, როგორც წინათ, იმედის გაცრუებისას, ახლაც იმეორებდა ჩუმად... „ბედი, რომელიც მე არ მეღირსა, ქარს მიჰყევებოდა როგორც ნამქერი“... „მე ჩომ მოვკვდები, გულწითელები თუკი მოფრინდნენ ისევ...“

— შვილო.

თავი აიღო, გაგვირევებულმა ახედა.

მის წინ ხანშესული ქალი იდგა, სათვალიანი, ჭალარა, თამაზამ, იცნო, რეცეპტარი იყო.

— დიახ, ქალბატონო.

— მომილოცავს ახალი წელი, შვილო, ტკბილად და ბედნიერად იყავი, აიღე, გენაცვალე, აიღე...

თამთამ შოკოლადი გამოართვა, მადლობა გადაუხადა.

— შვილი გყავს ავად, გენაცვალე?



თავი ჩაღუნა თამთამ.

— ჰო, შეიღი... — ძლივს ამოიღუდლუდა.

— მეც ასე ვიფიქრე, ნუ გეშინია, გენაცვალე, წამალს ახტაჭუჭუჭმისა-ლებთ...

...გზაზე რომ გამოვიდა, უკვე აღარ თოვდა. ეღნათურებს გაეჩირაღდნებინა ქუჩები. საახალწლო ნაძვის ხეებიც ლამაზად მოერთოთ. ფანჯრებიდან მხიარული სიცილი ისმოდა, მხიარულობდნენ ბედნიერი ადამიანები.

„ვინ იცის, რამდენს უჭირს ახლა, რამდენი იცრემლება..“ ნაბიჯს მოუმატა. ნათელა წარმოუდგა თვალწინ, აგადმყოფი შეიღის საწოლთან რომ იცრემლებოდა.

თითქმის აღარ აწუხებდა მირიანზე ფიქრი, დამშვიდდა კიდეც: პატარა კოჩაზე ფიქრობდა, იმ სიხარულზე, ნათელას გაღიმებულ სახეზე რომ ამოიკითხავდა. კიბის საფეხურს რომ შეუფვა, გული აუფანცქალდა. იქნებ, ელოდება მირიანი, ხომ შეიძლება ელოდებოდეს, იქნებ... რას იზამს, რო-გორ მოიქცევა, არა, არ იცის, ეს წინასწარ თამთამ, არ იცის...

კარებთან არავინ იყო, ოღონდ სახელურთან ვიღაცას მიემაგრებინა სამი წითელი მიხაკი... მიხვდა, ეს მირიანის საახალწლო საჩუქარი იყო. ყვავილები აიღო და ნათელას კარს მიუახლოვდა. დარეკა. კარი კაკომ გა-უღო, შექეიფიანებულმა ხელები ჰოხვია თამთას და ოთახში შეცემანა.

— მოდი, გენაცვალე, მოდი, მრავალ ახალ წელს: დაეხსწარი, შეგაწუ-ხეთ ხომ ამ ახალ წელს? შევეყვი ბიჭებს სმაში ,ქალბატონი თამთა. რა ვიცოდი, ბავშვი ავად თუ იყო.

თამთა ბავშვის საწოლს მიუახლოვდა.

— აი, წამალაც მზადაა, როგორაა ბიჭი?

— ახლა უკეთესადაა.

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

— დედი, რა წითელი ყვავილები აქვს თამთა დეიდას. რა კარგია.

— აბა, ბედნიერად იყავით. ეს ყვავილები პატარა გოჩას ჰქონდეს.

სამადლობელი სიტყვები აღარ მოუსმენია, სწრაფად დატოვა მეზობლები და თავის ბინას მიაშურა. ოთახში შევიდა, სინაოლე ჩართო და სა-კარძელში ჩაეშვა.

იჯდა ერთ ხანს, მერე შესცივდა და აღგა, მართი მოიხურა. ახლა აღა-რისად ეჩქარებოდა, მაინც ღელავდა, გული ძალუმად მგერდა და თავს ახსენებდა. თვალები ტელეფონის აპარატისაკენ მიურბოდა. აპარატი დუ-მდა.

გარეთ კი ხვავრიელად ბარდნიდა...



ჩვენი დაბაზების დღე

კაცის იმედი, მოთმენა ძალლის
დამყვა და ნაღველს ამგვარად
ვუძლებ,
და მარტი, როგორც ჭრელი
პერანგი,
ისე მაცვია დამზრალ სხეულზე.
ჩამოდის ზეცა თეთრი იჭვებით,
ათას სიბეჭდით და განათებით,
და რძისფერ ნისლში, როგორც
ჩიტები,
მიჰქრიან ჩემი წელიწადები.
ვინ მიგონებდა ან ვინ მიცდიდა
და ერთხელ მაინც მთელ
წელიწადში,
მე გამოვდივარ რძისფერ

ნისლიდან
ცრემლებითა და ღიმილით
ბავშვის.
და შეშლილივით უამინდობა
მიკოცნის ჩვილის ბაგეს და
ლოფას,
მე მძვრება გარსი და ცხელ
ჭრილობას
გათენებამდე შვებით ვილოკავ.
ჩამოდის ზეცა, სხვენზე მოწყენით
ფლეთენ კატები დაგუბულ
ნაღველს,
და მარტი — ჩემი დედა-მშობელი
ოხვრით მიკერავს სუსნის
პერანგებს.



მე დღეს უთუოდ მივდივარ საღმე,
რომ გაგიშებულს გავექცე ყინვებს,
რომ ერთხელ მაინც სიმართლე დავთმო
და გამოგონილ სიყვარულზე მოვუყვე ვინმეს .
არც კი შემრცხვება, ისეთ ფერად ტყუილებს ვიტყვი,
გავეჯიბრები სიდიდეში ყველა გოლიათს,
იმ უერთგულეს მეგობარზე დავიწყებ ფიქრებს,
რომელიც, თურმე, არასოდეს არა მყოლია.
გამოვაფხიზლებ ძველ დღეების მწუხარ მძინარეთს,
გადავივიწყებ მარტობის სევდას და დარდებს,
მე დღეს უთუოდ მივდივარ საღმე
ლურჯი მდინარით.

ჭურვების ჩამახვითან

ოიგილაც „სამხრეთის მუს შვევ“

ბავშვს ვეფურები და უკვე ვუიქრობ:
მშვიდობით, ღმერთმა მოგცეს მშვიდობა!
მიმავალი ვარ და ადგილს გითმობ:
მე ხრწნა მომელის, შენ ყვავილობა.

5. პურაინი.

1924-25 წლების ზამთარი ბათუმში განსაკუთრებით მკაცრია ფო. ორე ღეკიმბერში დაიწყო. ქალაქის ერთსართულიანი სახლები დაფარა. ქუჩებიდან რის ვაივალახით ახვეტილი თოვლის ნამქერი აღმართულიყო მაღალი სახლების წინ, სახლებს შორის გაკვალული ბილიკებით დადიოდა ხალხა. ნურიის ტბა გაყინულიყო.

ესენინს მსუბუქი მაკინტოში ეცვა და რომ არ გაყინულიყო, ტარასე-ნკომ ძველი თბილი პალტო უშოვა. ესენინმა მოიწყინა, ადგილს ვერ პოუ-ლობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, ტარასენკო მოსკოვს რომ გაემგზავრა.

გარეთ ხომ ციოდა, არც სახლში იყო სითბო, მაგრამ ესენინი ბევრს და კარგად წერდა. განსაკუთრებით კმაყოფილი იყო „ანა სნეგინათი“. დაი-წყო „საბჭოთა რუსეთის“ წერა, და მოიფიქრა დრამატული პოემა „არა-მხალების ქვეყანა“.

იანვრის ბოლოს მზემ გამოანათა, თოვლი მალე გადნა. თებერვალში მიწა უკვე მშრალი იყო და უპალტოოლდაც შეიძლებოდა სიარული. მიდა-მოს სურნელი მოჰვინეს ახლად აყვავებულმა ყვითელმა მიმოზებმა., კორ-ლები მოიჩითა იებით და ენძელებით. ესენინს კიდვ უფრო მოენატრა მშო-ბლიური მიწა, თბილი სახლი რიაზანში, მოუნდა მოსკოვის ორომტრიალი. ამიტომ იყო, პოვიცკის უთხრა:

- ლიოვა, გესმის, მომბეჭრდა ყველაფერი, ავიკრავ გუდანაბადს, წა-ვალ ბაქოში, გზად თბილისში გავივლი, მერე მოსკოვს დავუბრუნდები.
- მანამდე კი, წავიდეთ, ვისადილოთ, — მოიპატიუა პოვიცკიმ.
- შენ წადი, მე არ მოვდივარ.



მარტო რომ დარჩა, ესენინი შიმშილმა შეაწეხა.

პოვიცი რომ წავიდა, მარტა სემიონოვნამ ღრმა თევზი წვიმის პრეზენტის სო და ცხლად მიუტანა ესენინს. გაუხარდა. კარადიდან პური გამოიღო და თვალი მოჰკრა ერთ ბოთლ კონიაკს. აღბათ, პოვიცის პეტრი შემონახული, წვინის ხვრებდა, თან კონიაკს წრუპავდა და შეუმჩნევლად დაცალა ბოთლი.

ქუჩაში გავლა მოუნდა, მზე კაშკაშებდა. აი, ნაცნობი სადარბაზოც. კარი ღიაა. ერთი ბოთლიც რომ ეყიდა? მაგრამ მოაგონდა: ერთი კი არა, ორი ბოთლი ეწყო მაკინტოშის ჯიბეებში. ქსენია ალექსეევნას შეხერას არ გამოპარვია ეს და თავაზიანად უარი უთხრა სტუმრობაზე. არა, ახლა ამის გამეორება აღარ შეიძლება.

დები შინ იყვნენ. გაუხარდათ სერგეის მოსელა. ჩაი მიართეს.

— გმაღლობთ: მე უკვე გადავკარი და შეხურებულიც ვარ.

ჩაიღანი ნავთქურაზე იდგა. სახლში თბილოდა.

ანამ თვალი შეავლო სტუმრის წამოწითლებულ, აღგზებულ სახეს, გაიღიმა, მაგრამ არაფერი უთქვაშს.

— ხვალ უუტურისტებს ასამართლებენ, მე ბრალმდებლად გამოვდივარ. ხომ მობრძანდებით?

— რა თქმა უნდა.

— ქსენია ალექსეევნა, რას კითხულობთ? — ესენინმა შენიშნა, რომ ქსენიამ წიგნი დახურა.

— კი არ ვკითხულობ, ვიზეპირებ „ევგენი ონეგინს“.

— მე მოელი ეს პოემა ზეპირად ვიცი. ძალიან გიყვარო პუშკინი?

— როგორ შეიძლება არ გიყვარდეთ, თაყვანს არ სცემდეთ პუშკინს. — გაცხარდა ანა, — პუშკინს რომ კითხულობ, თრთი, რადგან გენიონის ქმნილებას ეზიარები.

ესენინი დუმდა.

ანამ შეატყო, რომ ჩაფიქრდა და პკითხა:

— აღბათ, თავი მოგაბეზრათ ჩვენმა საშინელმა ზამთარმა...

— მერე როგორ! კველაფერი მომბეზრდა. შინ მინდა წავიდე, მიჯობს ხვალ, მერე მოსკოვში — მეგობრები მომენატრა! შავი, რუსული პური მომენატრა...

— ყვავილები არ გახარებთ? მალე გორაკებზე აყვავდებიან თეთრი დეიციები, ვარდისფერი როდილენდრონები, ყვითელი აზალიები.

— არ მიყვარს ბუჩქის ყვავილები, მიწაზე ამოსული ყვავილები უფრო მიტაცებს.

— სითბო მარტო ჩვენ როდი გვახარებს, ჩვენზე მეტად უხარისათ უპატრონო მაღლებსა და კატებს.

— ჩვენს სიფელში კი ძაღლებს და კატებს საჭმელს არ აჭმევენ. ძაღლებს ნამუსრევს გადაუყრიან ხოლმე, კატებს კი სულ არ აჭმევენ ფურად-

დებას, თაგვები ჭამონი. დაწერდით ლექსებს ცხოველებზე? — ჩავისუბაუ-
პარშა ანა.

— დამიწერია და დავწერ კიდეც... მაგრამ თქვენ არ გაწერთ წაკით-
ხული. აი, ლექსი ძროხაზე.

„დაჩაჩანაკდა, კბილები დაძვრა,
რქებზე ატყვაია წლები რგოლებად,
მას მეხრე ბევრჯერ მოექცა მკაცრად
და ემძიმება მოსაგონებლად.“

მაქვებ ლექსები ძაღლზე, მელაზე.

დები სახტად დარჩნენ.

— თქვენ არ იცით, ვინა ვარ მე? — უცებ გაწიწმატდა ესენიი, — მე
რომ მოვკვდები, მთელი რუსეთი ატირდება... მაშინ მოგაგონდებით და ამ
საუბარსაც გაიხსენებთ, — როგორდაც წინასწარმეტყველურად თქვა სერ-
ვებიმ. მერე გონს მოეგო — მაპატიეთ, მე ხომ თქვენთან, როგორც დებთან
შემოვივლი ხოლმე და ამიტომაც ასე აგაფორიაქეთ.

კარი მოულოდნელად გაიღო. ესენიი გაჩუმდა. ოთახში ბიჭუნა შემოი-
ჭრა: „დეიდა ანა, დეიდა ქსენია, მოვედი! დედა და მამა... — და უცებ დაი-
რცხვინა. მან იცხო სწორედ ის ძია, ბებიასთან კონცერტზე რომ იჯდა.
დაამახსოვრდა, როგორც რაღაც ცისფერი, ნათელი, მზიანი...

თვალები, ღიმილი, მთელი სახე მგოსნისა, ბავშვისკენ იყო მიპყრობი-
ლი და გადასხვაფერებული, გამოხატავდა უსაზღვრო სინაზეს, ალერსს
და... ისევ ძველმა ტკივილმა გაუხსენა, მოაგონდა დანგრეული ოჯახი.
„ჩემი ბრალია, ჩემი... ჩემი...“ — გაიფიქრა სერვები.

შემოვიდნენ ბიჭის მშობლები, მამა — მაღალი მამაკაცი, რომელსაც
წაბლისფერი ქოჩორი შვენიდა და დედა — მოხდენილი, დინჯი, ნათელი,
დიდონი თვალები რომ უმშენებდა შავგვრემან სახეს.

— ხად დაიკარგე, ვალოდია? — ჰკითხა ანამ.

— ოლიას წავყევი ირთაბათუმში, — ეტიუდების ხატვა მოესურვა.

— ორჯერ მოვიდა სტარონოსოვი, შენ დაგეძებს. მოსკოვში აპარექს
წასვლას. შენი და ოლიას წაყვანა უნდა თან. სახელგამში წიგნების იღუ-
ტრირებას გთავაზობთ.

— ი! ეს ძალიან საინტერესოა. — არშაკისაგან წერილი მივიღე. ის
გვთხოვს ლენინგრადში ვეწვიოთ, — თქვა ოლიამ.

— მოხვოში წასვლას გირჩევთ, — უთხრა ქსენიამ.

— კარგი. ამაზე შემდეგ ვიღაპარაკოთ. ახლა კი ვისადილოთ! — სე-
რვები ალექსანდროვიჩ, წამობრძანდით ჩვენთან, დედას ძალიან გაუხარდე-
ბა. იმ დღეს თქვენც ისე მოულოდნელად წახვედით, რომ ვერ მოვასწარით
გვეოთხვა, ლექსები წაგერითხათ...

ესენინმა პასუხი დააყოვნა. თან დებს ესაუბრებოდა, თან — ბიჭუნას.

ოლეგი გულუბრყვილოდ უამბობდა ბაბუაზე, რომელიც მას ვარსკვლავებს უჩვენებდა „ასეთი დიდი, დიდი მილით“, თან ხელებით უჩვენებდა ოურუ უზარმაზარი იყო ის მილი, ამას რომ ყვებოდა, თვალები უფარფოდებული და: ესენინი გახალისდა, ურთად იღიმებოდა, ნეტარებდა. მხოლოდ მიტონ შევებოდა ბავშვს ათას რამეს, რომ მოესმინა ეს მომხიბვლელი ბავშვური ტიტინი.

როგორც იქნა, მოშორდა ბავშვს და ვალოდიას მოპატიუებაზე საჩქაროდ მოიხადა ბოდიში, — გმადლობთ, მეჩქარება. წუთ საათზე რედაქციაში უნდა ვიყო.

სინამდვილემ უცებ წაშალა პოეტის სახიდან ღიმილი. გარდასჭლ ტანჯვა-წვალების ბეჭედი ისევ დააჩნდა დაღვრემილ სახეს.

საჩქაროდ გამოეთხოვა მასპინძლებს და წავიდა.

საგამოფარი სტატი



გაზაფხული

მარგარიტა შენგელიას ფოტო.

შუალედა შაინიძე

ლედაო მიწავ!

ლედაო მიწავ,
ამითავთავე

სულში ცისკარის რწმენა ნათელი,
არ ამიმღვრიო წყაროს სათავე,
არ დამავიწყო, რომ ვარ ქართველი.

ლედაო მიწავ,
შემაძლებინე,

მომძებნინე ჩემი გზაწვრილი,
არ დამინებო ბოროტ ქარწვიმებს
მზით დაფერილი თეთრი აპრილი.

არ მომანტრო შენი ხმის ვერცხლი,
მხნე მოძახილი ქუხდეს მთა-ველად:
არ ჩამინავლდეს კერიის ცეცხლი,
არ მიეძალოს ზვარს სარეველა.

მაფორიაქე ტკბილ-მწარ ზღაპრებით,
თავდავიწყებით ამ მზის, ამ წვიმის,
ჩემი ფიქრები — თოთო ბარტყები
დამიფრთიანე ფრთებით არწივის.

ნუ დამავიწყებ დაუწყავ ვალებს,
ნუ გამიძარცვავ იმედის მუხას,
და კიდევ... კიდევ იმ ზღვისუერ თვალებს
ნუ შემახვედრებ ნურასდროს მწუხარს.

გამაბედვინე — გამამხელინე
ფიქრი სათუთი და სანუკვარი:
მამულის ვალი მომახდევინე —
დამარწევინე მირზას აკვანი.

ლედაო მიწავ, ამითავთავე
სულში ცისკარის რწმენა ნათელი,
არ ამიმღვრიო წყაროს სათავე,
არ დამავიწყო, რომ ვარ ქართველი.

შპას სიროსიმა...

დედამიწაზე ბევრჯერ დაღურილა
მდინარეებად სისხლი და ცრემლი,
ბევრი ქალაქი ქცეულა ნაცრად,
უერფლად ქცეულა სოფელი ბევრი.
მაგრამ არ ახსოვს კაცობრიობას
საშინელება სხვა უფრო დიდი,
დვას ხიროსიმა სიცოცხლის ძეგლად
და მშვიდობაზე დაღადებს იგი.
ადამიანო! გახსოვდეს მუდამ,
რომ შენს ხელშია პლანეტის ბედი,
შენ ძლიერი ხარ თვით ბუნებაზე,
შენ თვითონა ხარ სიცოცხლის ღმერთი.
ნუ მისცემ სიკვდილს თარეშის ნებას,
გვეყოს ის ერთი, რაც მოხდა მაშინ,
ნუ გაამჟებ ყვავ-ყორანს ქვეყნად,
დაე, მტრედებმა იფრინონ ცაში.
დაე, სიცოცხლე ცისფერი ფრთებით
შემოეხვიოს ჩვენს ლურჯ პლანეტას,
ნუდარ იქნება სისხლი და ცრემლი,
მხოლოდ სიკეთე იყოს ამ ქვეყნად.

რუსულან პინვიჩაძე

პოვთის ქაბლითან

დანისლულია ზმანება მერის
და სადელფლოდ ხელს მაწვდი თითქოს,
ვიღაც შენს ხმაში საოცრად მღერის
და აუხდენელ სიზმარში მიხმობს.
მე მოვალ შენთან,
დაგელოდები...
და „მე და დამეს“ აგინთებ თეთრად,

შთაგონებით და თავგამოდებით
მზეშიც,

ავდარშიც მე მოვალ შენთან.
რადგან ჩემშია შენი ღიმილი,
გაგინაწილებ ამ დღეებს მზიანს,
შეძლევ ჩაივლის ყველა ტკივილი
და არასოდეს იქნება გვიან...
ოლონდ მიწამე,

მიწამე ძლიერ,
გესმოდეს ჩემში რაც უნდა მეთქვა:
რომ მე არ ვგავარ შენს „მესაფლავეს“,
რომ სუსტი მხრები კვლავ შენთვის ფეთქავს...
და მაინც შევძელ,
და შაინც შევძელ,
და მე აღმართე სიცოცხლის ღმერთად.

დალი ჟღენტი

იმ გაღიმების გარდა

მე ის წუხილი მაღაპარაკებს,
ის გაღიმება მწვავდა,
არ გთხოვ არაფერს,
არ გთხოვ არაფერს,
იმ გაღიმების გარდა.
როგორც ღრუბელი მოჰყვები მინდორს,
მესმის ნაბიჯის ხმები,
მოღახარ ჩემთან და ჯდები თითქოს
და გაღამდევი ხელი.
დღემ ჩამოიხსნა პირბადე მისი,
ნაცნობ ფერებით გაყუჩდა სივრცე,
ორივე ერთად შეეხარით ზღვისპირს
და აღეწილ მზეს ვუცქერით ისე.
შენ ჩემთან იჯექ, მე კი ვღელავდი,
როგორც ტალღები ასკდება ზღვისპირს,
და სიხარულში ჩაფლულს ყელამდი,
რა უნდა მეთქვა ჩამავალ მზისთვის...

ქეთინო გიორგაძე

ყველაზე უფრო ლამაზი სევდა
 არის დამჭკნარი ფოთლის ჩივილი,
 ხომ გაგითელავს და სხვაზე მეტად
 არც შენ გიგრძენია გულის ტკივილი.
 ამიტომაც გთხოვ, იას, ენძელას
 როდესაც ნახავ გადაშლილს ველზე,
 ნუ გადათელავ, ნუ გადათელავ,
 უთუოდ ამით გულს ღიმილს შესძენ.

გარინი ჩხაიძე

პავლე გრიბაშვილის სრულად

საბავშვო წიგნები.
 უმანქო სიცილი.
 პეპი, გრძელი წინდა.
 აღლო! კარლსონ!
 მხიარული ბიჭუნა მოვიდა, ბავშვობა მოვიდა — ლურჯი ფრინველი.
 საერთოდ, ფრთოსანია ლამაზი ბავშვობა.
 მერე გაფრინდება ლურჯი ფრინველი, დარჩება მხოლოდ სილამაზე,
 წარსულისა, —
 ბოლოს დღე, როცა ეს წიგნები სასაცილოდ აღარ მოგეწვენება.

ზორა გოლექვაძე

უხმოდ მიეპარა
 ფოთლებს შემოდგომა,
 ქარებს შეატოვა დღე,
 ფოთოლთ გაფითრება
 თმებზე დამათოვა,

პეშვში ჩამალულა მზე.
 ახლა მწარე ნაღველს
 უკვე ვეღარ მაღავს,
 ისე განიძარცვა ტყე.

•

ცას ჩამოჰქონდა წვიმა,
გულს აწვებოდა დარღი,
ქუჩის ბოლოში, სახლთან,
ხარობდა ერთი ნაძვი.
დიდრონ თვალების შუქით
მიაბიჯებდა კაცი,
და მიფრინავდა ჩიტი
დასველებული ფრთებით.
სადღაც, შორს, ერთდეპოლნენ
დაშორებული გზები...
და დადიოდა მზერა,
მზერა, ცრემლიან სევდით.
...აღარ ხარობდა ნაძვი,
არ მიფრინავდა ჩიტი,
არც კაცი მიდიოდა
მოგონებების ჩრდილში....
ვიღაც ოხრავდა ნელა
დიდრონ თვალებზე ფიქრში...

17/83

ხშირად სევდა მემალება,
სახეს ნისლი მიფარავს,
ჩემი გულის ნეტარებას
ჩუმად ვიღაც იპარავს.
მინდა ვიყო მე მხედარი,
ბედაური კარგი მყავდეს.
წვიმასა თუ ქარიშხალში
ვიყო ლალად მონავარდე.
ყურს არ ვუგდებ არც რა
მრჩეველს,
ან რად მინდა მრჩეველი,
გადვიჩებო კლდეზე თუნდაც,
არც მსურს გადამრჩენელი.
ასე, იქნებ, დავწენარდები
და დავიცხოობ ღელგას გულის.
მეცხრე ცაზე ამიტაცებს
სიყვარულის სიხარული.



სახეობი ღიმილი შეკრჩა...

— რაა, ბერი, მაგი, შეშას ახმობ?

— წიფლის ქერეჭია, — თავაუღებლად უპასუხა ბაბუამ და პატარა აქამდაზი ფარდაბზე გაფენილ წითელ ქერეჭიში უხალისოდ აურია.

— რათ ვინდა წიფლის ქერეჭი? — არ ეშვებოდა მოსული, რომელიც ის-ის იყო ცხენიდან ჩამოქვეთობულიყო, ნაცრისფერი ულაფი ღობეზე მიება და მათრახს ხან ხელში ათამაშებდა, ხსნ კიდევ გაპრიალებულ ჩემებზე ატკაცუნებდა.

— რათ მინდა და, ბაღნებს უნდა ვაჭამო, — ცერად ამოხედა მოსულს მოხუცმა და აქამდაზი კიდევ რამდენიმეჯრ ნერვიულად გაურია ნაფოტებში. — აქამდე სიძინდის ხვიტებს ვურევდი... ბაღნები კინაღამ დავხოცე.

— ბაღნებს რას აჭმევ, რა ჩემი საქმეა. ვალს დაბრუნება უნდა; მეც მყავს ბაღნები — ოქვა მოხულმა და მათრახი ხელში ისე დაატრიალა, გეონებოდა, ხადაცაა ამ ხნის კაცს გადაჰქონდა.

— მარტო ჩემი ბაღნები რომ მყავდეს, ვინ ჩივის. აგერ თვრამეტი ბადიშიც ჩემი სარჩენია, გოგვების შვილები... შენც ახე თუ გაგიჭირდებოდა, რა ვიცოდა, თვარა არ ვისესნებდი... კი ბატონო, ვალს მაღლ დაგიბრუნება, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხებდა ბაბუა, თან გულში ფიქრობდა: „ამ ოქერს სახლში შარშანდელი სიშინდი აქვს, მატლები უჭამენ და ასე რატომ მახრხობხო“.

მევალე მათრახის ტკაცუნით ცხენისაკენ გაბრუნდა. ბაბუამ თავი ზელებში ჩარგო და ფაქრებს მიეცა. „თავმოყვარე კაცი მაგასთან სახესნებდად არ მივიღოთ დობა და გაიქრება მდე კაცი სალამს არ აძლევდა, ამ გაჭირვებულ ღროს რაღაც მაშამაღლობით და გაიძვრებოთ კველას გვაჯობა; წესიერი კაცი მის ტოლებთან ერთად ჯარში წავიდოდა. მაგი არა კაცი კაცი... ფუ, რამ მიშიგვანა მაგასთან“ — თავისთავს კიცხავდა ბაბუა და გაჭირვებიდან გამოსვლის გეგმებს ადგენდა.

* * *

ბებიას საფერხეში მწოლიარე, კაცების ხმაშაღლა ლაპარაკმა გამომაღვიძა. საბანი სახიდან ჩამოვწიე და ცალი თველით გამოვგეხრითქ: პირდაპირ ბაბუა იჯდა. თავზე თეთრი ფაბალახი ეხურა, თეთრი მაღალყელიანი ზუბუნი და შავი ძიქვა ჩიხა-შალი ეცვა. ზურგით უფროსი ბიძა იჯდა. რიგორიგობით უმცროსი ბიძა და ბიცოლებიც შემოვიდნენ. მოშორებით სეჭვზე ნახევრადზურგშექცეული ბებია იჯდა.

— საშოც წელს გადავახტი და ღვინის გემო არ ვიცი. ღვინის ჭურჭელზე
ხელიც არ მიძიკარებია. — ბაბუა რაღაც უჩვეულოდ, წამლერებულად, ექვეჭულე-
ბოლ შინაურებს, — უცფათ ღვინის წევთი რომ დამცემოდა, ტანსაცმლული რომ მაღ-
გილზე ამოვჭრიდიდ. ასე აკეთებდნენ ჩვენი ძევლები. ახლა ამ სიბერეში ოტყა გა-
მოვნად და გასაყიდად მიძაქ. ღმერთი არ მაპატივებს?

ეს აღსარებას გავდა.

მე წევიღებ და ცოდვაც მე მომეკითხება. ამ ხნის კაცი შუალამეში ამხელა
ჭვიათთ ხალ მიხვალ? — უსაყველურა ბიძაჩემა.

— ჰო, წევიღოს მართლა, ახე ჯობია. — ჩურჩულით დაეთანხმენ ქალები.

— არა! — მტკიცებ თქვა ბაბუამ — ამ ჭვირთის წამლები დიდხანს ვერ გაა-
ტანს. მე ჩემი ცხოვრება მოვჭამე, ვველა თქვენ-თქვენ გზაზე დაგაეწერ. შენ შენს
შვილებს მოუარე, თუ ცოდვაა, იხილ ჩემს კისერზე იყოს, ჯანდაბას ჩემი თავი.

ბაბუა სეჭვებ ხამოჯდა და უერთად ზურგზე მოიგდო გოდორი. შიგ ის ავ-
ბედითი „ოტყა“ რომ იღო. სახელურები ბეჭებზე ისე მოირგო, რომ უტყობოდა,
ვე ტვირთს აღარავის დაანებებდა.

— ქვედაი სახლი მაღლ დამთავრეთ, ძმები განაწილდით, ქვედა სახლში, თუ
გაინდა, შენ წალი, ბიჭო. — მოუბრუნდა უმცროს ვაჟს — გოგვები ვეველა დასახლ-
კარებული არიან, პამა... თუ რამე ქონებაზე თვალი დეიჭირონ, რძლებმა არ აწევი-
ნოთ... ღვედაბერს რომელ ბიჭათაც უნდა, იმასთან დარჩეს, არ მოგიშლით. —
დამთავრა სათქმელი ბერიკაცა.

ეს შევე ანდერძი იყო.

ბაბუას სახლში ცოცხლად დაბრუნების იმედიც აღარ ჰქონდა... მაინც მიღი-
ოდა. სინა ვზა არ იყო, მარგამ...

არავიც გაყიდა, მევაღეც გაისტურა, ფული ვაჟიშვილების და გათხოვილი
ქალიშვილების ოჯახებსაც დაურიგა სიმინდის საყიდლად. გამოხდა ხანი... ერთი
წალი, თრა... ხუთმეტი და ბაბუა, რომ იტყვიან, კაჟივით იყო.

უიდაცამ უთხრა, არაყი წამაღლიათ და იმდენად შეეცალა რწმენა, ხანდახან
კუჭი რომ ატყვედებოდა, მარილის კენჭს კი არ წუშნიდა, ჭიქაში საღდაც გადა-
შალულ სპირტს ჩასხამდა და გადაჭრავდა.

ერთადერთი, რისიც ეშინოდა, იმქვეენიური ცხოვრება იყო.

— ტკილადი გეშინოდა ოტყას გაყიდვის, ხომ ხედავ არავერი მოგიუდა? —
ხანდახან ხუმრობით ეტყობნენ შეილიშვილები.

— ეს, ჯერ ვინ იცის, იმ ღუნიას რა იქნება — უპასუხებდა ბაბუა.

* * *

ბაბუამ წერა-კითხვა არ იცოდა; როცა ვინმე ქართულ წიგნს კითხულობდა,
ხასეზე არ შეხედავდა, თითქოს სცხვენოდა, გვერუზე მიბრუნდებოდა, მაგრამ გუ-
ლდასშით უსმენდა. გამხდარი სახე ამ ღროს ეცვლებოდა მოსმენილით განცდილი
სიამოვნებით, ზინღით თუ მწუხარებით, ხანდახან ეშმაკურად სქელ ულვაშებ-
შაც ხაიცინებდა, ამას მისი თვალებით თუ მიწვდებოდით.

შორისიან ესივეარულებოდა ბაბუა წიგნს. გვიან გაიგო მისი ფასი და უსიტყვილ
ხანძბდა.

ერთხელ წიგნების მაღაზიასთან საფეხურზე ხამომჯდარ ბაბუას მოვკარი
თვალი, ხაეთვლიმა დაღლილს. შემცირდა, არ გავაღიამე, მის გვერდით ხამოვჯექი
და დაგელოდე. ამ ღროს მაღაზიას კეტაგდნენ. ვიღაცამ სიგნალიზაცია ჩართო და
ზარის ერთი გნიასი ატყდა. ბაბუას გამოელებია.

— რა ამბავია? — იკითხა შემკრთალმა, მერე მეც დამინახა, გაუსარდა.

— მაღაზიას კეტავენ, ბაბუა. — ვუთხარი.

— დაკლეტისთვინ ამხელა ამბავი რა საჭიროა, — თქვა ბაბუამ, წარმომადგენ და დაბურული მისამართის შეიქვრიტა, და ჩემთვის არ შეუხედია, ისე, თავისთვის, გააგრძელდა:

— წიგნების დუქანს დაკლიტა რათ უნდა, მოვიდეს, ვისაც სურს, აწინს და წევითხოს, წიგნი ისწავლის... არ ჯობია? — გაღიმებულმა შემომსედა, განუშორებელი ჯოხი სიმინდის ქუჩალისაგან მოქსოვილ კალათის სახელურში გაუფარა, მხარშე შემოიდო და ქუხას გაუვევევით.

ძივვებოდი ჩემს ოთხმოც წელს მიღწეულ წინაპარს და ვფიქრობდი: „წიგნებით განებორებული კაცი ამას ვერ იტყოდა, ეს წერა-კითხვას დანატრებული ადგმინის სურვილია“.

მაშინ ვინძეს ჩემთვის რომ ეკითხა, ბაბუა რას ფიქრობსო, ვეტყოდი: «ნატრობს, ნეტავ ათჯერ ნაკლებისა ვიყო, ქუჩალის კალათში წიგნები მეწყოს და სკოლაში ძივდიოდეო».

ვინ იცის, იქნებ მართლაც ასე იყო.

* * *

თითქმის სამცცი წელი იცხოვრეს ერთად დედაჩემის შშობლებმა და ერთჯერაც არავინ შესწრებია მათს საუბარს. ერთმანეთის სურვილს უხმოდ ასრულებდენ. შვილიშვილებს კი არა, დედა იტყოდა, ჩვენ, შვილებსაც, არ გვინახავს შაოთ საუბარიო. საოცარია, არა? არადა ცალ-ცალკე სხვენთან როივე მაღლე გულზიარი და მოყვასი იყო. ბებია შედარებით თავდაჭრილი, და ამაყი, ბაბუა კი უსაწლვროდ მკირცხლი და ხუმარა.

ბებია საჭმელს რომ დაუდგამდა, ბაბუა მის განაგონად მრგვალ სუფრასთან მიშიწვევდა.

— მოი ჭო, პირველად შენ შეჭამე, დედაბერს საჭილებში თაგვის წამალი არ ქონდეს ჩატრილი.

შე, ვითომ, ვერ გავიგე რას გულისხმობდა, მისგანვე ნასწავლს ვუპასუხებდი:

— საჭმელი პირველად დიდისაა, წყალი პაწასი.

ბაბუას ხუმრობაზე ბებია მოუხედავდა და უხმოდ დაწინებდა, თითქოს უკბებოლა: „რა უკბილოდ მასხრობ, ბერიო“, — შემდეგ ამაყად თავაწეული მომრუნდებოდა და თავის შინაურ საქმეებს გააგრძელებდა.

— დედაბერს რომ არ ელაპარაკები, ამდენი ბაღვები რაფერ გევოლა? — ეხუ-მრა ერთჯერ თანატოლი.

— ეი, გიდი, ნურიავ, შენ, არ იცი რა წვალება გადამწიდა... შვიდი ბაღვა მჟგვს და შვიდჯერვე დედაბერს თოვით ვაბამდი სექვზე. — ხუმრობითვე უპასურა ბაბუამ.

* * *

დედულეთი ჩემივე სოფელში მქონდა და სანახევროდ ბებია-ბაბუასთან ვთვავი. ...რაიმეს გავაფუჭებდი, ბებიასთან შევაფარებდი თავს.

...კარგს თუ მოვიძოქმედებდი, იმასაც პირველად ბებიას მივახარებდი.

...თუ რაიმე მიხაროდა, ისიც ბებიას უნდა გაევო.

დედამ პატარა ქუდი მიყიდა, მექი ლურჯი წინაფრიანი, გვერდებზე აქეთივე ფერის ღილები ეკერა. სირბილით ავედი ბებიასთან, სახლში შეხველისას მოვისადე და უკან დავმალე, როგორც კი დამინახა, მაშინვე დავიხურე. ბებიაშ ერთი ალმაცერად შემხედა.



— სად ნახე ეს ჩეთნიკოს ქუდი? — მკითხა.

— დედამ მიყიდა.

მოვიდა, მომხადა, გადაშოტრილ თავზე ხელი მომისვა, შემდეგ ისტორია და მშენებლები და კაიძიჭობაში!

გათაძაშებული ითახილან კარაპანში გავვარდი. ბაბუას ცხემლის სატარე ცულში გაევარა და ზემოდან კერიკვეტოს ურტფამდა. ნატარე ჯიუტობდა, არ გა-დიოდა ბოლომდე, ბაბუა ბრაზობდა და იგინებოდა. შემდეგ უკან გამოლება დააპი-რა, შაგრამ ესეც გაძნელდა. ბაბუა გადაირია.

— ბაბუა! — მეც ამ დროს წავადექი თავზე, თან ხელით ვანიშნე, ქუდი რომ შესურა.

ბაბუამ ამოშედა, ქუდს მიაშტერდა.

— რაა, ბიჭო, მაი! — ხელსაწყოებს ხელი უშვა, მომვარდა, ქუდი მომაძრო და ფანაში გადაუძახა.

თვალი გავაყოლე, როგორ მიფრინავდა ჩემი ქუდი, როგორ ჩაუშვა სიმინდის ფახაში; სახე კედლისაკენ მიაბრუნე, მკლავებში ჩავრგი და ჩუმად ავტირდა.

ბაბუამ გააგრძელა მუშაობა და ბუზღუსი. ხუთ-ექვსჯერ კიდევ დაპკრა, შემ-დეგ შეჩერდა. მკლავებშემ ცალი თვალით გამოვიჭრიოტყ. ბაბუა მომჩერებოდა. მე ისევ გააგრძელე ფლიკინი, წამოდგა, კერიკვეტი კედელთან მიაგდო და კარა-პნიდან გავიდა.

ცოტა ხინის შემდეგ მოძრუნდა.

— წეილე მაი გებრა სახლში. თავზე დაზურული არ დაგინახო!

მოვახედე, ჩემი ქუდი დაზგაზე იღო. კედელს მოვშორდი, ქუდს ხელი და-ვალე და სახლისაკენ მოვკერცხელე.

დედას მოვუკევი, რაც მოხდა, მიზეზიც გავიგე.

თურმე, მეფეს ხალხის მოთვინიერება რომ უნდოდა, სოფლებში საღდათებს შექონიანიდა. ისინი სახტიად კეცრობოდნენ ხალხს, აშინებდნენ, სახლებს სწვა-ვდნენ, მცხოვრებლებს შეურაცხყოფას აყენებდნენ. ცხრას თოთხმეტში პარლებს დალატი რომ დახწამეს, მაშინაც სოფლებს კაზაკები შეხევიან, კველას თურმე წი-ნაფრიანი ქუდი ეხურა. მაშინ იგი მეფის გერბითაც იყო დამშვენებული, ამიტომ ერქვა თურმე გერბა, რაც სოფელში „გებრად“ აქციეს. ხალხმა შეიძულა იგი, მისი დახურვა ცოდვად ითვლებოდა, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა: ასეთი ქუდები ისე შემთვიდ მოდაში, რომ კველას — მორწმუნებსაც კი — ეხურათ, ოღონდ მიც-კალებულის ზიარებისას პირკეკ იხურავდნენ. ბაბუას თვალიც თანდათან მიეჩვა და აღარ უკვირდა, როცა შვილიშვილები წინაფრიანი ქუდებით ხვდებოდნენ.

* * *

ბაბუას ავადყოფობა შეზობელ სოფელში გავიგე. მის სიცოცხლეში ეს პირ-ვალი უგუნებობა იყო. სახლში ავაკითხე, ფართო სექვზე იწვა, პეპლებიანი საბანი ეხურა, მუთაქა და ორი ბალიში შემოედოთ თავქვეშ. ოთახში რომ შევედი, ჩემს-კენ გამოისუდა და გამიღიმა, არაუგრი უთქვამს. ულვაშებზე და წვერზე გაშლილი ხელი ჩამოისვა. შვილიშვილებთან გაღიმებული შეხვედრა იცოდა. ოცდაათი ვი-ყავით და კველას გვეგონა, უფრო შეტად ბაბუა მე მიღიმისო.

თავთან დედაჩემი ეჯდა. მან ადგილი დამითორ და სექვზე ჩამოვჯექი, ბაბუას წელი მოვკიდე, მაჯა გაუსინჯე, შემდეგ გულზე ყური დავადევი. ცოტა გადავა-ბრუნ-გადმოვაბრუნე და სუნთქვაც მოვისმინე. ექიმის ხელი და კურა ბაბუას პირ-ვალად შეეხო. სახეზე დიმილა არ მოშორებია. უხაროდა, დიახ, ექიმი შვილიშვი-

ლი უხაროდა — მე ახე ვფიქრობდი. ეს, სხვათაშორის. საფიქრალი უფრო იყო. ბაბუას ღლები კი არა, საათები, წუთები დათვლილი იყო. სახე ჭრის უშემო შჩნიე, გულდაღვრემილი სკამზე ჩამოვარექი. თვალს ვერ ვაშორებდი და უცველესობას საბისძირს, რომელიც მაღვე სუდარად გადაიქცევოდა.

ფერსთით ბებია იჯდა. წამით თვალები გაუსწორეს ერთმანეთს, ეს საქმარისი იყო: ბაბუას თეთრუელის გამოვლა უნდოდა. ბებიამ სუფთა საცელებზე მიატანა, საბანი ნახევრად ახალა, და გახდას შეუდგა.

ავადმოვმა თავი გადმოაბრუნა, მე შემჩედა და კვლავ გაიღიმა, აზლა უფრო შეტან ხალისიანად.

— ექიმო, — მომმართა და ერთხანს შეჩერდა, თითქოს რაღაცას იგონებსო. — მო, ჭო, დედაბერმა აფერი დამიზიანოს...

თავის შეკავება შეუძლებელი იყო.

ცხოვრებაში, ალბათ, ათასი მომაკდავი მინახავს, მაგრამ აღსახრულის ჩრდილქვეშ სმამაღლა პირველად გამეცინა.

შემრცხვა, თუმცა ვიცოდი. ბაბუას არ ეწყიონებოდა.


ამის შემდეგ სულ რაღაც სამი საათი იცოცხლა. შერჩა დიმილი სახეზე. ამ ჯანსაღი ღიმილით იცოცხლა ოთხმოცი წელი... ახალგაზრდობაში კარგი ცხოვრება რომ პქონოდა, ალბათ, უფრო დიდხანს გაძლებდა.

ნოდარ შაგანაძე

სოფელი დაისაარაული

ბაღისკენ მიდის ბაღი,
ეზო ეზოსკენ იწევს,
სახლს ემატება სახლი,
გზას ემატება სიღრძე.
ხეხილის თეთრი ბოლოთ
სივრცე ივსება ზეცის;
კომლს ემატება კომლი,
ცეცხლს ემატება ცეცხლი.
აღარ სჭირდება თხოვნა, —
მზე შიგ სახლებში შედის,

არის ვარდების თოვა,
მტრედს ემატება მტრედი.
ისმის ხმატკბილი „ნანა“
და „იავანაც“ ფრთას შლის,
გულს ემატება ლხენა,
ბავშვს ემატება ბავშვი.
შუქს გვერდით შუქი ახლავს,
რომ თეთრად გაათენოს,
და ამ სოფელშიც ახლა
იზრდება საქართველო.



უალვა, რეალ სისხლის გო...

როგორც კი პეტროვიჩის მანქანა თვალს მიეფარა, ლილი ფანჯარას მოსცილდა.

— გვემველა, გოგოებო, უფროსი თათბირზე წავიდა! — მიახარა ზინა-სა და მაკაბ.

— მანქანით? — იკითხა მაკამ.

— დიახ, პერსონალური „მოსკვიჩით“.

— კი, მაგრამ, ახლა რა დროს თათბირია? — დაინტერესდა ზინა.

— ხამინისტროში მივიღიარო, ასე თქვა.

— ჰერის კოლოფო, უფროსი ერთს რომ იტყვის, მეორეს აკეთებს.

— თქვენი აზრით, მაინც სად უნდა წასულიყო? — იკითხა ლილიმ.

— ქალაქებარეთ, — მიუგო ზინამ, — დაძაბული შრომის შემდეგ კარგია ბუნების წიაღში დასვენება.

— ყელის ჩასველება.... — დაუმატა მაკამ.

— მარტო კი არა, ქერაომიან ასულთან ერთად, გამწვანების ტრესტში რომ მუშაობს... — გააგრძელა ზინამ. თავის საქმეს ვერ უვლიდა, თორემ სხვების ხუთი თითივით იცოდა.

— ყვავილები პეტროვიჩის კი არა, მის თანამშრომლებსაც ძალიან უყვართ. — გაიცინა მაკამ.

— ჭორიკნები ხართ და მეტი არაფერი! — უსაყველურა ლილიმ, თითქოს პირადად ჭორი თავის სიცოცხლეში არ უთქვამს.

მაკამ ზინას თვალი ჩაუკრა.

— ჩვენ თუ ჭორიკნები ვართ, მაშინ სიმართლე პეტროვიჩის ცოლს ჰყითხე.

— თქვენ რომ კაცმა გიყუროს...

— ლექსებს მოგვიძღვნის, არა? — პკითხა ზინამ, — ჩემო კარგი ლი, მაგრად გართმევ ხელს...
— და გულწრფელად მოგილოცავ დაბადების დღეს. — დაასტურდეს შეკაბ.

უკავე მეტისმეტი იყო.
ლილიმ წყენა ვეღარ დაფარა.
— თქვენ თუ ვინმეს გადაეკიდეთ, ჭკუიდან შემლით!.. რა მოხდა, კაცა ერთი ლექსი მომიძღვნა, ქვეყანა ხომ არ დაუქცევა!
— მართლა გაბრაზდი? — პკითხა ზინამ.
— თავი დამანებეთ!
— ხელავ, გაგვებულა კიდევაც, — გაუკვირდა მაკას, — დომენტის გაფიცებ, შეგვირიგდი.
— მომეშვით!
— აბა, ვინც გიყვარს, იმას გაფიცებ!

ლილის არაფერი უთქვამს. ფანჯარაში ისე გულმოღვინედ ცცეირებოდა, თითქოს აყვავებულ ატმებს ხელავდა. სინამდვილეში, გამოსახულები საღვურის წინ ერთი უხეირო ნაყინის ჯიხური იდგა, ისიც სანახევროდ დაკეტილი. მის მახლობლად ბოშა ქალები თმის ამოსაყფან წამალს ჰყიდდნენ.

შეწუხებულმა ზინამ მაკას გადახედა.
— ჩბას არ ვვცემს... რა ვქნათ ახლა ჩვენ?
— არის ერთი გამოსავალი, — მიუგო მაგმ, — კინოში წაგვევანოთ და შეგვირიგდება.
— გენიალური აზრია! — ტაში შემოჰერა ზინამ, — ხომ წამოხვალ, ლილი, კინოში?

ლილი ფანჯარას მოშორდა, მაგრამ შეკითხვა უპასუხოდ დატოვა. მაკამ ხელი მოხვია.
— ბუტე; ბუტე, გაგებუტე!.. ამოიღე ხმა, კინოში წამოხვალ რუ არა? როგორც იქნა, ლილიმ ხმა ამოიღო, მაგრამ იგი უარყოფითა აღმოჩნდა.

— სამსახურის საათებში კინოში წასვლა როგორ შეიძლება!
ზინამ იმ წამსვე უპასუხა.
— ის თუ შეიძლება, სამსახურის საათებში უფროსი დროს ატარებდეს?.. ჩვენ კინოში მივდივართ, საქულას ღუქანში ხომ არა!

ლოგიკურად დასაბუთებული მსჯელობა იყო, მაგრამ პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩებოდა, რადგან მანუჩარ შილაკაძის გარდა მათ უშუალო უფროსი ჰყავდათ, ამ უფროსს შალვა ცისკარიძე ერქვა და კაბინეტში გამოკეტილი, ციფრების ლაშქარს თავისამოდებით ებრძოდა.

ზინა რა ზინა იქნებოდა, გამოსავალი რომ არ მოენახა, ეს საქმე მე

მომანდეთო, დაამშვიდა ლილი და მაკა, შალვას ერთს გავუცინებ და ქართველი კი არა, ექსკურსიაზეც გაგვიშვებსო.

ლილიმ სხვათა შორის იყითხა, დღეს მაინც რა სურათს უშენესობრივად – იტალიური ფილმია, – უთხრა ზინამ, მთავარ როლს ალბერტო სორლი თამაშოსს, ნამდვილი მამაკაცი!

– ალბერტო სორდის მარჩელო მასტროიანი სჯობია. – თქვა მაკამ.

– შენთვის კი სჯობია, – თავი დაუჭნია ზინამ, – მარჩელო მასტროიანი!... ისე ლაპარაკობ, თითქოს დღეს პარმანი დაგინიშნა.

ჩსუბს დაიწყებდნენ, მაგრამ დღო არ იყო. სამივენი შალვას კაბინეტს მიადგნენ. შესვლით მარტო ზინა შევიდა.

– შეიძლება? – სითბო და ეშხი დააფრქვია ზინამ ოთახში. შალვამ ქაღალდებაიდან თავი აიღო და სწრაფად ფეხზე წამოდგა. – რასაკვირველია, შეიძლება, პატივცემულო ზინა... რაზე შეწუხებულხართ?

– კინოში წასვლა მინდა! – პირდაპირ მოუჭრა ზინამ.

– რა ბრძანები?

– კინოში მინდა წასვლა-მეთქი.

– კინოში?

ზინამ სული არ მოათქმევინა.

– ვადასარევი ფილმია! მთავარ როლს ალბერტო სორდი თამაშობს... სხვათა შორის, ალბერტო სორდი მარჩელო მასტროიანიზე უკეთესი მსახიობებია.

შალვა ცისკარიძე კანონელოვნების დიდი მოყვარული ახალგაზრდობაშიც არ ყოფილია. როცა სტუდენტი იყო, ქალიშვილების ხათრით დადიოდა დღის სეანსზე. ეკრანზე მომხდარ ამბებზე უფრო ის სიამოვნებდა, ბუფეტში. რომ ხუთაპიკიან „პერაშკებს“ ყიდვენენ. ხელმოკლე პაცისათვის ეს დიდი საშუალება იყო. ასაკის მომატების კვალობაზე, შალვას კინოს სიყვარული არ მომატებია, ტელევიზორში თუ ნახავდა ხანდახან და იმით კმაყოფილდებოდა. სამაგიეროდ, სცენა ძალიან იტაცებდა. სახალხო თეატრის არც ერთ პრემიერას არ გააცდენდა.

– ალბერტო სორდი? – გაიმეორა შალვამ, – ის არის, ხომ?...

– დიახ, ის. – გაუცინა ზინამ.

– აი, იმას რომ თამაშობს... – ვითომ, ვერ გაიხსენა, სინამდვილეში თავისი არაკომპეტენტურობის დაფარვას ცდილობდა.

– რომაელ ჟურნალისტს თამაშოსს, – აუხსნა ზინამ, – სიდელრი რომ გადაეკიდა.

– სიდელრი არ მახსოვეს... ისე, შესანიშნავი მსახიობია.

– თქვენც ხომ არ წამოხვალთ, ბატონო შალვა? დღის სეანსზე თუ იშოვით ბილეთებს, დამით თავპირის მტვრევაა.

„თქვენც ხომ არ წამოხვალთ“, ეპატიუებოდა ქალიშვილი. დიდებუ-

ლი წინადაღება იყო, მაგრამ შალვამ თავი მაინც უკმაყოფილოდ გააცილა, სამუშაო საათებში კინოში წასვლა როგორ შეიძლებაო!

— მანუჩარ პეტროვიჩის ნუ გეშინიათ, — დაამშვიდა ზინამ უნიკატის რზე წავიდა სამინისტროში.

— მერე რა ვუყოთ, რომ წავიდა... ჩვენ ხომ ადგილზე ვართ? დისციპლინა უნდა დავიცვათ!

— მაშასადამე, უარი, ბატონი შალვა? — ზინას მელოდიურ ხმაში წყენის ნოტები აქცენტით, რაც შალვა ცისკარიძის სმენას არ გამოჰარვია.

— აბა, რა ვენა, როგორ მოვიქცე? — იკითხა შეწუხებულმა.

— თუ არ მიშვებთ, გაღიმებული მაინც შემწედეთ, სერიოზულობა მალია არ გიხდებათ! — ზინას ცრემლი არ მოსდგომია, მაგრამ ლამაზი თვალები მაინც ქათქათა ცხვირსახოცით მოიწმინდა. შალვა ცისკარიძისხოვის ეხეც ქმაროდა.

— ძალიან უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ... — დაიწყო მას.

— ღიმილი, ბატონი შალვა, ღიმილი!

შალვას ხმა გაებზარა.

— ბილეთი უკვე იყიდეთ?

— რად მინდა მერე, ვინდესთვის მაინც დამეომო!

მეტის გაძლება აღარ შეიძლებოდა.

— არავისაც არ დაუთმოთ — უთხრა შალვამ. — თქვენ თვითონ წა- ღით!

გახარებულმა ზინამ ხელები გაშალა. დაპროგრამებისა და კოინდინაციის განყოფილების გამგემ წინდახედულად ნაბიჯი უკან გადადგა.

— ბატონი შალვა, გულის მაგივრად თქვენ ოქრო გქონიათ საგულე- ში! — ქალს თვალები მაცდურად უბრწყინავდა, — ნუ გეშინიათ, ახლა არ გაკოცებთ, ოღონდ სანამდე წავალ, ერთი სააღუმლოება უნდა გაგიმზილოთ.

— ვისმენთ, — მორჩილად უთხრა შალვამ. თან იმის შიშიც ჰქონდა, ახლა ამან სიყვარული არ ამიხსნასო!

ზინამ წითელპომადაწამული ტუჩები სახიფათოდ მიუახლოვა და ძა- ლიან ხმადაბლა, თითქოს ჩურჩულით უთხრა.

— ჩემთან ერთად ლილისა და მაკასაც უნდათ წამოსვლა, მაგრამ თქვე- ნი ეშინიათ.

— ჩემი ეშინიათო?! — ეწყინა შალვას. (სხვას, პირიქით, გაეხარდებო- და, თანამშრომლებში ავტორიტეტი მქონიაო).

— მეც ეს არ ვუთხარი? — თანაგრძნებით შეხედა ზინამ, — ჩვენი უფ- როსი ისეთი კეთილია, ისეთი პუმანურია-მეთქი.

— მერე, არ დავივერებს?

— ახლავე დავაჯერებ! — ზინამ ღრიჭოდ დარჩენილ კარს იჭიო გახ- ბახა, — შემოდით გოგოები, რას იმაღლებით!

ლილი და მაკა შემოვიდნენ და უხერხულად გაჩერდნენ.

- ერთი თხოვნა შეიძლება, ბატონი შალვა? — ეს ლილი იყო
- რასაკირველია, შეიძლება.
- ჩვენ... — დაიწყო მაკამ.

შალვამ აღარ აცალა.

- თქვენ კინოში გინდათ წასვლა.

— გვინდა, აბა, არ გვინდა! — განაცხადა ლილიმ, გარემოებათა მიზე-ზით მას მეტი ინიციატივის გამოჩენა მართებდა, — სხვას ვერც გავუბეჭდავ-დით, მაგრამ თქვენ ისეთი კეთილი ბრძანდებით...

- ჰუმანური! — დაუმატა მაკამ.

უხერხულობის დასაფარავად შალვამ კეფა მოიფხანა (იმ ადგილას თმა ძალიან შეთხელებული ჰქონდა).

- თუ ახეთი კეთილი და ჰუმანური ვარ, ჩემი რატომ გეშინიათ?

- კი არ გვეშინა, გვერიდება, — აუხსნა ლილიმ.

— ხწორია, რომ არ გეშინიათ! — მოუწონა შალვამ, — შიში არ გამა-გონით, ჩვენს შორის მხოლოდ ნდობა და ურთიერთპატივისცემა უნდა სუ-ვევდეს.

— ჰოდა, გვენდეთ, ბატონი შალვა, და პატივისცემა ჩვენზე იყოს — უთხრა ზინამ, რომელსაც აქამდე ნეიტრალური პოზიცია ეჭირა, რაღაც თავისი უკეთ განაღებული ჰქონდა.

- ზინას შემდეგ მაკამაც ხელი გამოიღო.

— ძალიან გთხოვთ, ბატონი შალვა... ლილი, შენც ხომ ძალიან თხოვ ბატონ შალვას?.. თ, რა მორცხვი და მორიდებული ხარ, ბატონ შალვასა-კი!

— ამდენი თხოვნა არაა საჭირო! — თქვა შალვამ და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა, — ოდონდ მეტს სამუშაო საათებს ნუღარ გამიცდებოთ.

- მადლიერმა ზინამ ძალიან ხმამაღლა და პათეტიკურად იკითხა.

- შეიძლება ახლა მაინც გაკოცო, ბატონი შალვა?

როგორ გვინათ, არ აკოცებდა, მაკა რომ არ ჩამდგარიყო შუაში?

- ხხევის თანდასწრებით კოცნას ფასი არა აქვს! — განაცხადა მან.

— მაშინ სიძლერას მივუძღვი, — ზინა შალვას თვალებით ბურდავდა,

— მაგრამ გიტარა რომ არ მაქვს?

— დროზე წადით, თორემ დაგაგვიანდებათ! — შალვა ცისკარიშვი მათ დაგვიანებაზე კი არა, იმაზე წუხდა, ზინამ საჯაროდ არ მაკოცოსო, ვაჟე-ცი როგორ არ იყო, მაგრამ სამსახურში კოცნისა მაინც ეშინოდა. — მტრე-ბი არ მოახვენებდნენ, დაიწყებოდა ტელეფონების რეკვა, ანონიმური წე-რილები და ათასი დაგიდარაბა.

- ნერვიული დაძაბულობა ლილიმ განმუხტა.

— ნახვამდის, ბატონი შალვა... თუ ვინმემ მანუჩარ პეტროვიჩი იკით-ხოს, უთხარით, სამინისტროშია წასული და ხვალამდე არ დაბრუნდება-თქვა.

ქალიშვილები წავიდნენ თუ არა, შალვა ცისკარიძემ თფლი შეიმზადა, რასაკვირველია, ეს სიმწრის თფლი არ იყო, რადგან გულში მაინც მორალურ კმაყოფილებას გრძნობდა. ამიტომ მღელვარებამ მარტინ და სასიამოვნო ფიქრებს მიეცა.

„შესანიშნავი გოგონები არიან, მაგრამ ცოტა დისციპლინას ჰქონდათ... ასაკის გარდა, დამნაშავე არავინაა... ახალგაზრდობა! ახლგაზრდობა! მაინც საიდან მოიტანეს, თითქოს მე ურჩეული და კაციჭამია ვიყო... რა უყოთ, მერე, მათი განყოფილების უფროსი რომ ვარ! ადამიანებთან ურთიერთობაში სკამი არაფერს ნიშნავს. ამ სკამზე გუშინ დომენტი ახობადე იჯდა, დღეს მე ვზივარ... რა შეიცვალა ამით? სკამი, შეიძლება, ხვალ გამოიგადოს და მერე კაცს თვალში ხომ უნდა შეხედო? რასაკვირველია, სამსახურში წესრიგი უნდა იყოს, დისციპლინა აუცილებელია, მაგრამ მუშტის დისციპლინა კი არა, — ურთიერთნდობა და პატივისცემა! მანუქიარ შაღავაძეს რომ პკითხო, დამნაშავეს უნდა უყვირო, დაემუქრო, დასაჯო... ყველას უფროსის შიში უნდა ჰქონდეს... არა, პატივცემულო ჰქონივიჩ, შიშით შექმნილი სიყვარული მე არ მწამს! ასე „ვეფხისტყაოსანში“ ვიწერია, მაგრამ ყალბი სტრიქონია, ამას რუსთაველი არ იტყოდა!.. დღეს, მაგალითად, შემეძლო თანამშრომლები დამეშინებინა, კინოში წასვლაზე სასტიკი უარი მეთქვა, მაგრამ მთხოვეს და ხათრი გავუწიო. ქვეყანა, არ დაიქცევა, ორი საათით რომ გავუშვი, სამაგიიროდ, სხვა დროს ორ საათს ზედ-ზეტს იმუშავებენ“.

— მა, ფიქრებში კაბინეტში დომენტი ახობაძე შემოვიდა და შალვას გაკვირვებულმა პკითხა.

— რა ჰქენი, კაცო, ყველა გაუშვი კინოში?

— გაუშვი. — დაუდასტურა შალვამ, — გადასარევი ფილმია; სიდედრი, თურმე, სიძეს გადაეკიდა...

— უფროსმა რომ გაიგოს, მერე სად მიხვალ?

— ვერ გაიგებს, თაბბირზე დაუძახეს... თანაც, ხომ არ გაპარულან, მთხოვეს და ისე წავიდნენ.

— შენს ადგილზე მე ასე არ მოვიქცეოდი.

— კაცია და გუნება, დომენტი ვარდენიჩ.

— აბა, რას გეტყვი, იცი?

— თქვი, ნუ გეშინა.

— მეც მინდა კინოში წასვლა!

კინოში კი არა, „პახმელიაზე“ ხარჩოს საჭმელად უნდოდა წასვლა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

შალვა არც შეყოფმანებულა, ისე განუცხადა თანხმობა.

— წადი, მერე, მაგაზე უარს როგორ გეტყვი!

დომენტი ახობაძე არც ისე ცუდი კაცი იყო, შეხედულება რომ ჰქონ-

და. ხანდახან ისეთ რამეს იტყოდა, მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა
გაგიჭირდებოდათ, ახლაც ასეთი სიტყვები წარმოთქვა:

— საოცარი კაცი ხარ, შალვა, საოცარი!.. ღვინო და ქალები უწყებული
გიყვარდეს, მიწაზე ჩამოფრენილი ანგელოზი მეგონებოდა... ეშმაკი და
ღვთისპირისაგან გადავარდნილი არც მე ვარ, მაგრამ მაინც გაგიმეორებ:
შენს ადგილზე ასე არ მოვიქცეოდი!

ამ აღსარების შემდეგ ღომენტიმ კარი გაიხურა და შალვა ისევ თავის
ფიქრებთან დატოვა.

„შენ არ მოიქცეოდი, მაგრამ შენ ხომ შალვა ცისკარიძე არა ხარ!, —
დაუსწრებლად ეკამათებოდა ახალი გამგე ძველს, — და რადგან შალვა ცის-
კარიძე არა ხარ, ცხადია, მის საქციელსაც ვერ გაიგებ“.

ის იყო, სამუშაოს უწდა დაბრუნებოდა, ოთახში დამლაგებელი ეღენა
ოთხმეზური შემოვიდა. ისეთი საწყალი გამოხედვა ჰქონდა, შალვას უსიამო-
ვნოდ გააერეოდა.

— რაზე შეწუხებულხართ? — ჰკითხა და სკამი შესთავაზა.

დამლაგებელი არ დამჯდარა.

— რა ვქნა, ძალიან მერიდება... — დაიწყო, მაგრამ აღარ დაამოავრა.

— მივხვდი, კონტა გინდათ წასვლა. — გაუღიმა შალვამ.

— როგორ გეკადრებათ! — ეწყინა ქალს. — კინოს მე მხოლოდ ტელე-
ვიზორში უჟურებ.

— ტელევიზორში ძველი სურათებია. — საკუთარი გამოცდილება გაუ-
ზიარა შალვამ.

— რა ვუყოთ, მერე, — თქვა დამლაგებელმა, — მე და ჩემს ბიჭს ძა-
ლიან მოვაწონს... აი, წინა კვირას „დარიკო“ უწვენეს.

— შესანიშნავი სურათია!

— დარიკო ომამდე გენახათ, რა იყო... ახალგაზრდები ჭკუას კარგავდ-
ნენ.. ყოველდღე კაფერებდით.

— ნამდვილად დადგებულია!.. დაიცა, ის როგორა?! — შალვამ ნაცნობი-
მელოდია გაიხსენა, — დარიკო ვარ გლეხის ქალი...

— სიმონაა ჩემი ქარი. — მიუმდერა ეღენე ოთხმეზურმა.

— ბოლიში, მაგრამ თქვენ ცდებით.

— როგორ თუ ვცდები, მთელი კინ ზეპირად ვიცი.

შალვა მაინც არ დაფინანშმა.

— მგონი, ასე უნდა იყოს: დარიკო ვარ გლეხის ქალი, დავამყარე სამა-
რთალი... აი, ხომ ხედავთ, აღარც მე მახსოვს, აღბათ, სკლეროზი დამემარ-
თა.

— რა ვქნა, ბატონი შალვა, წავიდე? — შეახსენა ქალმა.

— წადით... ალბერტო სორდი თამაშობს, აუცილებლად ნახეთ.
დამლაგებელმა გაგვირვება ვეღარ დამალა.

— ალბერტო სორლი კი არა, მე სახლში გაშვება გთხოვეთ... 
და?

— შეიძლება, ოღონდ ბიჭს კარგად მიხედეთ, ორშაბათიდან სკოლაში უნდა წავიდეს. — სკლეროზი კი არა, შალვას ნათელი გონება პქონდა, ყველაფერი ზედმიწევნით ახსოვდა.

— კაცი კი არა, ღმერთი ხართ, ბატონი შალვა, ჩვენი ოჯახის მფარველი! — შეაქო ელენე თოხმეზურმა.

— წელან ანგელოზი ვიყავი და ახლა ღმერთი გავხდი, საოცარია პირდაპირ! — გაეცინა შალვას.

* * *

ჩვეულებრივად, როდესაც პეტროვიჩი „იქ“ მიდიოდა, სამსახურში მეორე დილამდე აღარ ბრუნდებოდა. ოფიციალურად „იქ“ მაღალ ისსტანციებში წასვლას ნიშნავდა, მაგრამ თუ ბოროტ ენებს დაეჯერება, თათბირებისა და კოლეგიების ნაცვლად, მანუჩარი უფრო მიწიერი პრობლემებით იყო დაკავებული. ახლა ჩვენ რომ ავდგეთ და ვიძიოთ, ცოლშვილიანი მანუჩარ შილაკაძე მართლა თუ დაიარებოდა გამწვანების ტრესტში მომუშავე ქერათმიან ქალიშვილთან, ძალზე დიდ დროს დავკარგავთ და გამოძიებულ მასალას არსებითი მნიშვნელობა არ ექნება ამ ისედაც საინტერესო მოთხოვნის სიუჟეტური განვითარებისათვის. არსებითი ის იყო, რომ იმ დღეს მანუჩარ შილაკაძემ ტრადიციას უდალატა და „იქიდან“ ძალიან ჩქარა დაბრუნდა.

გარეთ პიკის საათი იდგა. გამოსათვლელ სადგურში კი ისეთი სიჩუმე სუჟეკტი, რომ ცუდი ამბის მოლოდინში პეტროვიჩს გული ძალუმად აუძგერდა. არც ლილის მანქანის კაკუნი ისმოდა და არც ზინასა და მაკას სიცოლ-კისეისი. უფროსის კაბინეტში კი ტელეფონი გაბშულად რეკავდა, პახუხების გამცემი კი არავინ იყო.

ზარს ისევ მანუჩარმა მიუსწრო.

— დააბ, ვისმენთ... საგიჟე არ არის, მაგრამ ცოტა ხანში იქნება! — პეტროვიჩმა ყურმილი დაახეთქა და სათქმელი ხმამაღლა განაგრძო. — ნეტავე, სად გაკრევთაღან ჩემი ბეჯითი თანამშრომლები? მაგათ ოღიან წასული დაინიბონ და აღდგომა გაუთენდებათ!.. ლილის მოუსწრია გაპარვა. აღარ მოვალ-მეთქი, ვუთხარი და ეგონა, ვერ გავიგებდი... შალვა, რასაკვირველია, არაფერს ეტყოდა, პირიქით, ხელს დააფარებს... მაგას ვინმებ. გაუღიძოს და სახრობებულებები აპყვება.

მანუჩარმა მდივან-მემანქანის მაგიდაზე ქაღალდები გადაათვალიერა და გაბრაზებულმა იყვარა.

— რასა პგანს ეს, რა თავხედობაა, მოხსენებითი ბარათი კიდევ არ დაუბეჭდავს!

ზინასა და მაკას ოთახში შესვლა
ჩანდა, ჰათი კაბინეტი ცარიელი იყო.

„ლილი თუ არ არის, ცხადია, ზინა და მაკაც არ იქნებიანი“ 
რა გუნდებაშა.

არც თანამდებობიდან ახალგანთავისუფლებული დომენტი ახობაძე იყო
აღვალზე. მარტო დაგეგმვისა დ კოორდინაციის განყოფილების უფროსი
შალვა ცისკარიძე მიჯდომოდა მაგიდას და კველას მაგივრად მუშაობდა.

— სად არის ხალხი?! — კაბინეტში შესვლისთანავე იყვირა მანუჩარიძა.

შალვა არ შეეონებულა, ისე უპასუხა:

— ხალხი, მანუჩარ პეტროვიჩ, კინოში გავუშვი.

მანუჩარის თვალები გაუფართოვდა.

— სად გაუშვა?!

— ქანიში... იტალიური ფილმია.

— კავეგვდები! — დაიღრიალა მანუჩარ პეტროვიჩმა და, სოლიდური
წინის მოუწედავად, შურლულივით გავარდა კაბინეტიდან. კვირილი იმხე-
ლა კამიურებდა, რომ „დაზამასკებული“ ფანჯრები თუ არ ჩამოცვივლებო-
და, შალვა ცისკარიძეს არ ეგონა.

ხა მანუჩარ პეტროვიჩს კველა რევისტრში ძლიერი ჰქონდა. ზოგი
შურიანი ქირქილებდა, მარტო მაგ ხმისათვის დააწინაურესო, მაგრამ სა-
მართლადანია იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ კვირილის გარდა, გამო-
სათვლელი სადგურის უფროსმა ლვინის სმა და სუფრული სიმღერები
იცოდა. მდევნი ღირსება კი ერთი პატარა დაწესებულების ხელმძღვანელი-
სათვის საეხებით საკმარისი ყო.

* * *

ამ ამბის შემდეგ ზუსტად ერთი თვე გავიდა.

ღრმის ქს არცთუ ისე დიდი მონაკვეთი გამოსათვლელ სადგურში
ფრიად საცურადღებო მოვლენებით აღინიშნა: დომენტი ახობაძემ შალვა
ცისკარიძისაგან ხუთი თუმანი ისესხა, რომ ვიშოვი, დაგიბრუნებო. დომენ-
ტი რისი შმოვნელი იყო, მაგრამ შალვა უარს როგორ ეტყოდა! კიდევ ზინამ
ყავის სმას თავი დაანება, ამერიკელმა ექინებმა აღმოაჩინეს, შავი ყავა კი-
ბოს აჩენდა! და კიდევ კევჭების შეუსრულებლობისათვის მანუჩარ შილა-
კაძეს კალეგიაზე იქმში შეტანით საყველური გამოუცხადეს. ერთი სიტყ-
ვით, მდვირმარეობა ძალზე დაიძაბა და მეხი როდის ჩამოვარდებოდა, არავინ
იცოდა. ჯერჯერობით, დომენტი ახობაძის სამუშაო მაგიდის პერპენდიკუ-
ლარულიდ ნითურაგადამწვარი ძველი ჭადი ჩამოვარდა, მაგრამ დომენტის
არ დასცემია, ან როგორ დაეცემოდა, როდესაც ხელმძღვანელობასთან გა-
ჭიათურებული კონფლიქტის გამო, თავის მაგიდას იშვიათად მიუჯდებოდა
ხოლმე და მთელს თვისუფალ დრის მანუჩარ შილაკაძის ლანძღვა-განე-

ბაში ატარებდა. შალვა რამდენჯერ შეეხვეშა, ჩემი თანდასწრებით უფრო სის ავტორიტეტს ღირსებას ნუ უკარგავო, იმდენჯერ დომენტი მუშავდებოდა დო და თავი შეუშვირა. ჭაღის ჩამოვარდნა ის უკანასკნელი წვეთი იყო, რომელმაც მოთმინების ფიალა აუგვი და უფროსის კაბინეტში გადამწყვეტი ბრძოლის გასამართავად შეიყვანა.

სასტიკი გაბრაზების მიუხედავად, დომენტი ახობაძემ მაინც დიპლო-მატიურ ხერხს მიმართა. უფროსის კაბინეტში ვინებით კი არ შევარდნილა, შენი დედა ვატირე, არამედ ტკბილი ხმით ჰქითხა:

— შეიძლება, პატივცემული პეტროვიჩ?

იმ მომენტში მანუჩარ შილაგაძე ხასიათზე ვერ იყო, ან როგორ იქნებოდა, როდესაც თავისი მონოლითური კოლექტივის წყალობით საყველური უკვე მიღებული ჰქონდა და სასიამოვნო პერსპექტივები არც უახლოეს მომავალში ესახებოდა. სწორედ ამიტომ, ერთი თვის წინათ დაქვეითებულ თანამშრომელს ჩვეულებრივზე უფრო მკაცრად შეხვდა.

— რა გნებავთ, ამხანაგო?! — პეტროვიჩმა მასვილი ბოლო სიტყვას დაუსვა.

დომენტი მაგიდას მარჯვენა მხრიდან მიუახლოვდა, სადაც სხვადასხვა ფერის ტელეფონები იდგა.

— თქვენი კარგად ყოფნის მეტი, სხვა რა უნდა მინდოდეს, მანუჩარ პეტროვიჩ.

— შორიდან ნუ დამიწყე, დროზე მითხარი, რა გინდა!

— კარგი, აბა, ახლოდან გეტყვით, — დომენტიმ სკამი გამოსწია და დაუკითხავად ჩამოჯდა.

— გისმებ! — შეახსენა უფროსმა.

— ერთი თვე და ორი დღე უკვე გავიდა, პეტროვიჩ, რაც მომხსენით და აღარ დაწყნარდა, თუ იცით, ქვეყანა?

— ქვეყნის საქმეს შენ რატომ კითხულობ? — დომენტის „თქვენობითის“ ფონზე „შენ“ ძალიან ხაზგასმით უღერდა, მაგრამ ყოფილმა გამგემ ვითომ არ შეიმჩნია.

— იმიტომ ვკითხულობ, რომ ლილი კირკალიძის დღეობაზე შექმნიდით, ქვეყანა რომ დაწყნარდება, ძველ ადგილზე მაშინ დაგაბრუნებო!

— შენ მთვრალი იყავი, მაგი არ გახსოვს!

— მე სხვა რამეც მახსოვს, მანუჩარ პეტროვიჩ.

— მაინც რა?

— არაფერი! — თქვა დომენტიმ და ფეხზე წამოდგა.

— თქვი, ამხანაგო, რა გახსოვს!

— არაფერიც არ მახსოვს, ძალაა?

— ჰოდა, როცა გაიხსენებ, მაშინ მითხარი! — მანუჩარ პეტროვიჩმა მაგიდის ფუთიდან „მალბორი“ ამოიღო და სანამ მოუკიდებდა, დომენტი გააფრთხილა, თუ კაცი ზარ, ნუ მაცდენ, ათასი საქმე მაქვსო.

დომენტი ახობაშე უცხოური სიგარეტების ტრფიალი არასოდეს კუ-
ფილა, „პრიმითაც“ ადვილად გადიოდა, მაგრამ ახლა სასტიკად უკანასკნელი,
ზრდილობის გულისათვის მაინც შემოეთავაზებინაო, თან კიდევ გაბაზეტი-
დან როგორ მაგლებსო, და უცებ აფეთქდა.

— ასეა, ხომ?!?

— სწორედ ასეა! — დაუდასტურა მანუჩარმა.

— ჰოდა, ერთს კიდევ დავთვრები, პეტროვიჩ, მე და ვინმემ არ მითხ-
რას მერე, ქვეყანა დაწყობილიაო!

— ქვეყანა კია დაწყობილი, მაგრამ ჩემი სამსახურია არეული, — ბოლ-
მის გუდას თავი მოხსნა მანუჩარმა, — ხალხი სამსახურში აღარ დადის!

— მე რას მიბრიალებთ თვალებს, მაგი, უფროსად ვინც დანიშნეთ,
იმას მოკითხეთ!

— იმასაც მოვკითხავ! — მანუჩარს სიგარეტი ჩაუქრა და ახალს მო-
უკიდა, — მაიც როგორ შემაცდინეს, მალვა ცისკარიძე განყოფილების
უფროსად როგორ დამანიშნინეს!.. კეთილი კაციაო... ესააო, ისააო....

აქ პეტროვიჩი დომენტის მხრიდან შალვა ცისკარიძის გინებას ელოდა,
მაგი კაცი კი არა, ნაგავიაო, მაგრამ დაქვეითებულმა თანამშრომელმა სრუ-
ლიად საწინააღმდეგო განაცხადა:

— ნამდვილად კეთილი კაცია, ტყუილს ვერ ვიტყვი.

— სამუშაო საათებში რომ ხალხი კინოში გაუშვა, ესაა სიკეთე?! —
იყვირა მანუჩარმა, — მე მაგათ კუჩვენები!.. არც შენ დაგადგება, იცოდე, კა-
რგი დღე!

— ამაზე მეტი რა უნდა მომივიდეს! — გაუკვირდა დომენტის.

— მიბრძანდათ, აქანაგო! — მანუჩარ შილაკაძემ ისე მძლავრად დაარ-
ტყა მაგიდას მუშტი, რომ დერმანტინგადაკრულ კარს იქით შოდარავე
ლილის, მაკასა და ზინას შიშისაგან გული კინაღაშ გაუსკდათ და კისრის-
ტეხით თავიანთ კაბინეტებს მიაშურეს.

ხომ როული სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ დომენტი ახობაშეს საკუთარი
დირსების გრძნობა არ დაუკარგავს.

— მე კი მივბრძანდები, აქანაგო პეტროვიჩ, მაგრამ ნურც ჩემი ნათქ-
ვამი დაგავიწყდებათ და ნურც თქვენსას დაივაწყებთ! — ეს სიტყვები საკ-
მაოდ მშვიდად უთხრა და კარი არც გაუჯახუნებია, ისე გავიდა.

ლილი კირვალიძეს ერთი სული ჰქონდა, ცხელ-ცხელი ამბები გაეჭვა,
მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს სარკეში ცქერის მეტი არაფერი აინტე-
რესებდა, მერე, როგორც იქნა, სარკეს შეეშვა და სხვათა შორის იკითხა:

— რაო, უფროსმა რა მინდაო?

დომენტიმ კითხვა დაუბრუნა.

— ევირილი ხომ გესმოდა?

— კი მესმოდა.



— პოდა, კაცი რომ ყვირილს დაგიწყებს, კარვი რა უნდა დაგემართოს?

— ცუდ დროს შეხვედი, დღეს ვერაა ხასიათზე.

— მაგის ხასიათმა მე თმები გამიცვინა... არ თქვა ახლა, ზღარბივით ქოჩირი გაქვსო!

ლილიძე დაუყვავა.

— დაწყნარდა, დომენტი, რა მოგივიდა!

— არ იცი, ხომ, რა მომიციდა?

ლილიძე იაზრა, დომენტი საითკენ უმიზნებდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— აკი შეგპირდა პეტროვიჩი, ძველ აღვილზე დაგაბრუნებო?

— სხვა თემაზე ნუ გადაიტანე საუბარი!

— რა იყო, ასე რატომ მაყურებ?

— ამ ბოლო დროს რაღაც სხვანაირი გახდი, ჩემთ ლილი!

— როგორ სხვანაირა?

— ისე, სხვანაირი... სხვანაირად მიყურებ, სხვანაირად მელაპარაკები...

ლილიძე უდარდელად გადაიკისკისა.

— გეჩვენება შენ მაგი

დომენტი ახობაძემ კარტი გახსნა.

— იგიც მეჩვენება, ზოგიერთი პიროვნება ლექსებს რომ გიწერს?

— სისულელეს შეეშვი, თუ კაცი ხარ!

— წინასწარ გაფრთხილებ, მთვრალი რომ ვიქნები, გზაში არ შემხვედს!

ბოლოსდაბოლოს, ლილიც გაბრაზდა.

— შენ, მგონი, აბდაც მთვრალი ხარ!

— უკანასკნელად გაფრთხილებ, ისევ გავხდები მე განყოფილების უფროსი და მერე სხვანაირად არ დაიწყო ლაპარაკი!

დომენტი ახობაძემ მუქარა აუფეთქებელი დინამიტივით დატოვა ლი-ლი კირვალიძის კაბინეტში და ზინასა და მაკას მიაშურა, თუმცა რა მი-შურება უნდოდა, ქალიშვილები დერეფანში დაუხვდნენ.

— გამარჯობა, მტრედები! — ხელი აუწია დომენტიმ.

— ლომს გაუმარჯოს! — უბასუხა ზინამ.

— ლომი კი არა, კვერნა ვარ, მოხსნილი კვერნა!

მაკაბ დაამშვიდა.

— გული არ გაიტეხო, ცხოვრება წინაა!.. ეღირსებათ ლუბუმსა ლაშა-რის շორზე შაღგომა.

— კიდევ ლექსები! — გადაირა დომენტი.

— შენ მაგი შალვას დაწერილი არ გეგონოს. — დაამშვიდა მაკაბ.

— არ შეგონება! — შალვა მარტო მდივან-მემანქანებს უწერს ლექ-სებს.

— მაგიც იცი? — გაუკვარდა ზინას.

— მიწაში რაა, მე ისიც ვიცი! — ასეა მაგი და მიურთხილდეს ახდა ზოგადოთ!

ზინა კირვალიძე ისე აღზრდილი არ გახლდათ, რომ ზოგიერთფერწერების ნილა და გაუბედურებული პიროვნების ხმამაღალი ლაპარაკი შექმნილა. ამიტომ, დომენტი მკაცრად გააფრთხილა, თვალებს ნუ მიბრიალებ, საყვირალი შენს ოჯახში მოიკითხეო!

დაძლულული დომენტი საკუთარ კაბინეტში შევარდა.

— შოთვედი? — პკითხა შალვამ.

— მივდივარ! — იყვირა ყოფილმა გამგემ.

გაოცებული შალვა ცეხზე წამოღვა.

— სად მიდიხარ?

— მწერალთა კავშირში

— მწერალთა კავშირში რა გინდა?

— ლექსი უნდა დავწერო!

შალვას მუხლები არ აკანკალებია, მაგრამ მაინც დაჯდა.

— ლექსის წერა აქაც შეიძლება, — წყნარად თქვა მან.

დომენტიმ არ დაინდო.

— აქ სხვები რომ წერენ ლექსებს, ისიც მეყოფა!

მიმე დარტყმა იყო, მაგრამ შალვას წონასწორობა არ დაუკარგავს.

— დაწყენადი, ვარდენიჩ, რატომ ბრაზობ?

— ვძრიაზობ კი არა, შემომაცედება ვიდაცა! — იყვირა დომენტიმ და ღურასმანზე ჩამოყიდებული სვანური ქუდი დაიხურა, ადრე ტყავის კეპს ატარებდა, მაგრამ ლილიმ დაარწმუნა, სვანური ქუდი ვაჟაცურ იერს გაძლევდა. მართლაც, ახლა რომ ვინე უცხო შემოსულიყო, გული გაუსკდებოდა.

— მართლა შიდიხარ? — იკითხა შეწუხებულმა შალვამ.

— მიუდივარ და იცოდე არ მითხრა, არ გაგიშვებო! — დომენტი ძალზე გამოწვევად ლაპარაკობდა.

— პეტროვიჩმა რომ ლაგინახოს?

— ერთი, პეტროვიჩის!.. — აქ დომენტიმ ისეთი სიტყვები იხმარა, საზოგადოებრივი ტუალეტის კედლებზე რომ აწერენ ხანდახან.

შალვა ცისკარიძემ კურებზე ხელი აიფარა.

— ვარდენიჩ, არაა საჭირო ასეთი ლაპარაკი!

— უარესია საჭირო!.. თუმცა, რომ მიკითხოს, შენ ხომ ეტყვი, მე გაუჟიორ?

— კი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, კეთილო კაცი! — დომენტი ახობაძემ ნებართვას აღარ დაუცადა და ზიარი კაბინეტის კარი გაიხურა.

ოთახში დარჩენილი კეთილი კაცი თავს მაინცდამაინც შეურაცხყოფილდა არ გრძნობდა, რადგან გადარეული დომენტი ახობაძისაგან უფრო

მეტს ელოდა. შალვას მხოლოდ ის ვერ გამოერკვია, ყველა ეპოქაში ჰქონდა მტრები რატომ ჰყავდათ. უფრო მტრების ლექსის წერა სამარცხვინოდ ჩაითვალისწინებული ჩნიათ. ლექსი რომ არ იყოს, ადამიანს გული როგორ უნდა გადაჭიდოს და სიყვარული როგორ უნდა აუხსნა! — ფიქრობდა შალვა.

ამასობაში ლილი, ზინა და მაკა ისევ ერთად შეკრებილიყვნენ და შალვა ცისკარიძის მსგავსად ისინიც პოეზიაზე მსჯელობდნენ.

ზინამ შალვას სტრიქონები გაიხსენა.

ო, რა რიგად გიზდება
მაგ ღოფაზე ხალები,
გული რომ მომიკალი,
რატომ არ გებრალები?

— ვისი ლექსია? — ჰკითხა ლილიძ.

ზინამ მაცდურად გაუდიძა.

— როგორ გვინდია, მარტო შენ გიძლვნიან ლექსებს?

— ნუთუ?.. — იაზრა ლილიძ.

— დიახ, ნუთუ! ხომ შესანიშნავია?

— ისე, რა...

— ისე რა, კი არა, დიდებულია! — მოუჭრა მაკამ, — ნეტავ, ჩემთვის მოეძღვნა ვინმეს ასეთი ლექსი... ჯანდაბას, ლექსი თუ არ იქნებოდა; პროზად ეთქვა რამე!

— მაინც რა უნდა ეთქვა? — დაინტერესდა ლილი.

— თუნდაც ეს: „ძვირფასო მაკა, მე დიდი ხანია ვატარებ გულში თქვენს სიყვარულს“.

დაქალებმა თანაგრძნობით შეხედეს მაკას. სამთავეს გულში რა ცვებლიც ენთო, იმის წარმოდგენა მკითხველებისათვის მიგვინდვია.

ოთახში გამეფებულ სევდიან განწყობილებას ტრადიციული ფავის ხმა უნდა მოჰყოლოდა, რათა დაუპატიუებდად მოსული დარდი რჩევაში განექარებინათ, მაგრამ მათ განზრახვას შესრულება არ ეწერა, რადგან კარი დამდაგებელმა ელენე ოთხმეზურმა შემოძო და ისეთი ამბავი მოიტანა, რომელმაც, საბოლოო ანგარიშით, ცუდი როლი ითამაშა გამოსათვლელი სადგურის თანამშრომლების სამსახურეობრივ საქმიანობაში.

ელენე ოთხმეზურს ხელში ჰატარა შეკვრა ეჭირა და აღელვებისაგან სულს ძლივს ითქვამდა.

— მოდით, გოგოებო, რა გაჩვენოთ! — თქვა ელენემ და შეკვრა გახსნა.

ნაცრისფერი ფრანგული ქაეტი იყო, ზედ ეიფელისკოშეკიანი იარღიკოვერა.

— რა ლამაზია! — მოეწონა ლილის.

— სპეკულანტმა მოგიტანა? — ჰკითხა მაკამ.

- სპეცულანტმა კი არა, მაღაზიაში გამოიტანეს სადგურის მოწვევას.
- თან, თხით თუმანი დირს.
- ზუსტად ჩემი სარგოა, დამითმე, რა.
- ვერ დაგითმობ! — ის კი არა, ფული უნდა ვისესხო და ჩემს დასაც გუყიდვ.

ლილის ჟაკეტების მეტი, რა ეწყო გარდერობში, მაგრამ ელენეს მაინც შეეკითხა.

- დიდი რიგია?
- ათა კაცი თუ იქნება... ჯერ არ იციან.
- ჰოლა, ღროჩე უნდა წავიდეთ. — დაასკვნა ზინამ, მის არც თუ ისე მინიატურულ ფიგურას ელენეს ჟაკეტი მაინც დამითმები არ მოუხდებოდა, მაგრამ იმის იმედი პქონდა, დიდი ზომები უფრო ადვილი საშოვნელია.
- ზინას წინადაღებას მაკამაც მხარი დაუჭირა.
- წავიდეთ, მერე, რაღას ვუცდით?
- როგორ თუ წავიდეთ! — გაუკვირდა ლილის, — შალვა?
- შალვა უარს არ გვეტყვის.
- კინოჩე რომ ამბავი გადაგვჭვდა, იმის შემდეგ თხოვნა უხერხულია.
- ნერნი ნუ ვთხოვთ, — თქვა ზინამ, — ჟაკეტები ვიყიდოთ და ამ წუ-
თში დაუბრუნდეთ, ვერავინ გაიგებს.
- ვერც მანუჩარ პეტროვიჩი გაიგებს?
- ვატყვით, შალვამ გაგვიშვა-თქვა.
- ახე როგორ შეიძლება! — ყველაზე მეტად სინდისი ლილი კირვალი-
ძეს ქენჭნიდა.

— აბა, არ გნდომებია ფრანგული ჟაკეტი და ისაა! — გაბრაზდა ზინა, — ვითომ ყოველდღე მოღიოდეს... პირადად მე წავედი და, ვისაც უნდა, დარ-
ჩეს!

ზინა თავბერიძეს მაკა ფუტკარაძე მიჰყვა, მაკა ფუტკარაძეს — ელენე ლოხმეზური. სულ ბოლოს გამოსათვლელი სადგურის კარი ლილი კირვა-
ლიძემ მიინურა. თვალი უკან რჩებოდა, ხომ არ შემამჩნიერო. არავის შეუ-
მნევია, მაგრამ ტანი ეუბნებოდა, მათ წასვლას კარგი ამბავი არ მოჰყე-
ბოდა.

მანუჩარ პეტროვიჩის მოხსენებითი ბარათი მდივან-მემანქანეს გადა-
ბეჭდილი კა პქონდა, მაგრამ სიჩქარის გამო ზოგიერთი კორექტურული
შეცდომა გაეპარა, რომელთა გასწორებას მანუჩარ შილაკაძის დიდი ღრო
და ენერგია მოუნდა.

— მიმდინარე სამეურნეო წელს, — ხმამაღლა კითხულობდა პეტროვი-
ჩი, — მეტად პასუხსაგები ამოცანებია დასახული ჩვენი პატარა, მაგრამ
მოხოლითური კოლექტივის წინაშე. ჩვენი მუშაობა უნდა გარდაიქმნას
ახალი ამოცანების შესაბამისად, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ახლებურად და

უნდა ავამაღლოთ კოლექტივის თითოეული წევრის შრომის ნაყოფის ბის დონე. დღეს, როდესაც...

ბოლო ორი სიტყვა მანუჩარმა ხელახლა გაიმეორა, მაგრამ მათ მარტინმა დაბეჭდილი არსებითა სახელის წაკითხვა ვეღარ მოახერხა, ასეთ დროს სხვა რა უნდა ექნა? — გაბრაზებულმა მაგიდას მუშტი დაარტყა და იყვირა.

— ეს რა დაუბეჭდავს, ეშმაკი ვერ გაარჩევს!... ო, ლილი, ლილი! — პეტროვიჩმა ზარი ააწეარუხა. ძიღვან-მემანქანისთვის ერთი ზარი იყო გათვალისწინებული, მაგრამ ორჯერაც რომ დაერევა, მაინც არავინ შემოუიდოდა.

— ლილი, რასაკვირველია არ არის! — დარწმუნდა მანუჩარი. ორი ზარი.

— ზინა, რასაკვირველია, არ არის! სამი ზარი.

— მაკა, რასაკვირველია, არ არის! ოთხი ზარი.

— დამლავებელი, რასაკვირველია, არ არის!

მანუჩარ შილაკაძე გალიაში დამწყვდეული ვეფხვივით დარბოლა კაბინეტში და თავის თანამშრომლებს დაუსწრებდად მაგარ-მაგარი სიტყვებით ამკობდა, განსაკუთრებით დაპროგრამებისა და კოორდინაციის განყოფილების ახალდანიშნულ უფროსს არ ინდობდა.

— ისიც, რასაკვარველია, მარტო შალვა ცისკარიძეა ადგილზე და ძველებურად ყველას მაგივრად თვითონ მუშაობს!.. მე მაგას ვუჩვენებ!

ამ სიტყვების შემდეგ პეტროვიჩმა იმხელა იღრიალა, რომ ჭერიდან ბათქაში ჩამოცვივდა, მაგრამ სრულიად მოულიდნელად მისი ხმა შალვა ცისკარიძის ყვირილმა გადავარა.

— მე მაგათ ვუჩვენებ! — ზუსტად უფროსის სიტყვებს იმეორებდა დერეფნის ბოლოდან გაცოლებული შალვა ცისკარიძე.

მანუჩარ შილაკაძემ საკუთარ ყურებს არ დაუჯერა, მაგრამ როგორც კი კაბინეტში დაუკითხავად შემოვარდნილი შალვა იხილა, მიხვდა, სახი-კოორდინატი ამბავი არ სჭირდა.

— რას გავს ეს! მე მაგათ ვუჩვენებ! — ყვიროდა დაგეგმვისა და კოორდინაციის განყოფილების გამგე.

— კაცო, შალვა ხომ ხარ შენ? — ჰკითხა გაოგნებულმა მანუჩარ პეტროვიჩმა.

— შალვა მოკვდა! ის შალვა აღარა ვარ!.. მე სხვა შალვა ვარ!.. არავითარი სიკეთე და ჰუმანურობა!.. დისციპლინის დარღვევისათვის კველას პასუხს ვაგებინებ!.. დღესვე მივიღებ ზომებს!

— შალვა, დაწყნარდი, კაცო! — შეეხვეწა მანუჩარი.

— თავი დამანებეთ, ვერ დავწყნარდები!

— კარგი, შალვა, რა მოგივიდა!

— ხომ გითხარით, შალვა აღარა ვარ მე!.. თემურ ლენგი ვარ!  ვარ!.. მე მაგათ ვუჩვენებ!

ეტყობა, მანუჩარ შალაკაძის კაბინეტში ფანჯრები მჭიდროსწორის დაკეტილი, ყვირილი ქუჩაში გაიჭრა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა შეაფერხა. მანქანებით ერთად, ხალხიც გაჩერდა, იფიქრებ, აღბათ, ვიღაცას კლავენო. — არა, სისხლისღვრა ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ უარესი მოხდა — შალვა ცისკარიძეს რწმენა მოუკლეს.

* * *

ცოტი მექანიკის კანონების თანახმად, ამ ქვეყანაზე ყველაფერი ცვალებადა: სიხარულს მწუხარება ცვლის, სინათლეს — სიბნელე და ასე შემდევ, რაგინდ დიდი დღე არ იყოს, ბოლოს მაინც უნდა დაღამდეს, მაგრამ საქმე ისაა, ვის როგორ დაუღამდება. პირადად შალვა ცისკარიძისათვას, ის დღე მეტად კოშმარული გამოდგა და, როგორც დაინახავთ, არც ლამეს უჩანდა სასიყვარი პირი.

ჭამოსათვლელი სადგური დაბომბილ ეკლესიას ჰგავდა. რწმენამოკლული კაცი თავის კაბინეტში ჩაკეტილიყო და სათოფელ არავის იკარებდა. შეიხო განყოფილების თანამშრომლები სიმწრით თითებს იკვნეტდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. საკუთარი დანამაულის სიმძიმემ ისეთი მტკიცე პიროვნებაც კი გატეხა, როგორიც ზინა თავბერიძე გახდდათ, მაგა ფუტკარაძესა და ლილი კირკალიძეს ხომ ლაპარაკიც არ ღირდა. განსაკუთრებით კი უკანისქნელი აფრქვევდა სინაზულის ცრემლს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მასი შემხედვარე, არც ღომენტი ახობაძე იყო უკეთეს დღეში.

ხანდისის გარკვეული პროცენტი მანუჩარ შილაკაძესაც აწუხებდა, შალვა ცისკარიძეს რომ რაიმე დაემართოს, მადლობას არც მე მეტყვიანო! მანუჩარი საკმაოდ გამოცდილი ხელმძღვანელი იყო და ინტუიციით გრძელდდა, რომ მარტო ყვირილითა და მუშტების ქნევით შორს ვერ წავიდოდა, თუმცა გამოსათვლელი სადგურის იქით წასასვლელი აღარც ეგულებოდა. ამიტომ უფროსის სავარტელი სიმკაცრესთან ერთად მაკარანცხობითაც უნდა შეენარჩუნებინა. ბოლო ხანებში სასაფლაოს ისე არ ჩაუვლიდა, სხვების გასაგრძად გულაბუჟებულს არ ეთქვას, ორ დღეს ვართ ამ ქვეყანაზე და ერთმანეთი ცოცხლად არ უნდა შევჭამოთ! ჭამით ზოგიერთი ამ სიტყვებს მაინც ჭამდა, მანუჩარ შალაკაძეს მგრძნობიარე გული ჰქონია!.. თუმცა, ვატყობ, სიტყვა გაგვიგრძელდა და მანუჩარის მაგივრად შალვას გულში ჩავიხედოთ.

დამის ათი საათისთვის, როგორც იქნა, შალვა ცისკარიძემ ბრძანების პროექტზე მუშაობა დაამთავრა, კალამი გვერდზე გადადო და ფეხზე წამომდგარმა შოთას სიტყვები გაიხსენა, ვასრულდა ეს ამბავი, ვითა სიზ-

მარი დამისათ! ეს იმას ნიშნავდა, რომ შალვას საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო და განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

გამოსათვლელ სადგურში კარგა ხანია აღარავინ იყო, მაგრამ მულტიცისკარიძე სათქმელს მაინც ხმამაღლა და მკაფიოდ წარმოთქვამდა.

— როცა ჰუმანურობა უძლურია, მაშინ დესპოტიზმია საჭირო! — დაბოლილი ამბობდა შალვა და თან საჩვენებელ თითს იქნევდა, — არ ისმინეთ ტებილი სიტყვა, ხომ?.. ახლა დარწმუნდით, შალვას მწარე სიტყვაც შეუძლია!.. ბრძანების პროექტი უკვე შევაღინე, ხეალ ისინი მანუჩარ ვილაკაძეს მიუვა დასამტკიციცებლად. ხვალ ნახავთ, როგორი ბობებიც ვასკდება... ფველას აგაფეთქებთ!... არავის დაგინდობთ!

პირველად დომენტი ახობაძის მაგიდასთან შეხერდა, და ბრძანების კითხვა დაიწყო.

— „დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის, სამუშაოდან უნებაროვოდ წასვლისათვის“...

შალვამ მეტის წაკითხვა ვეღარ შესძლო, რადგან ასოებმა მოხაზულობა დაგარეცეს და რძისფერ ბურუშში გაუჩინარდნენ. ასოები კი არა, თოთქის თვითონაც სადღაც გაუჩინარდა და მის მაგივრად ახლა სხვა შალვა ცისკარიძე ლაპარაკობდა. სინამდვილეში ისევ ის ძველი შალვა დაბრუნებულიყო თავის დაკარგულ რწმენასთან ერთად.

— დომენტი ახობაძე ამ ცოტა ხნის წინათ სამუშაოდან გადაიყვანეს და მის მაგივრად მე დამნიშნეს... ამ ბრძანებას რომ წაიკითხავს, გაუძლებს, ვითომ, ამხელა დარტყმას? წნევა ისედაც ვერ აქვს ნორმალური და კიდევ რომ მოუმატოს, რა პირით უნდა შეხედო, შალვა ცისკარიძევ, თვალებში?

ღრმა სინაულით წარმოოქმული ამ სიტყვების შემდეგ შალვამ ბრძანება დახდა, ნაკუწები სანაგვე ყუთში ჩაყარა და ზინას მაგიდასთან გაჩერდა.

—,, იმის გამო, რომ განყოფილების უფროსის დაუკითხავად მიატოვა სამუშაო“... არა გრცხვენაა, შალვა ცისკარიძევ, ზინაზე ბრძანება რომ დაწერე!.. ლექსი რომ დაუწერე, ის თუ გახსოვს?

ო, რარიგად გახდება,
მაგ ლოფაზე ხალები,
გული რომ მომიკალი,
რატომ არ გებრალები!

მაინც რატომ არ გებრალება ზინა თაებერიძე? აწი დარდით ვეღარ იმღერებს გიტარაზე... იმღერებს კი არა, შეიძლება, გიტარაც დაამტკრიოს. თავიც რომ გაგიტებოს, შეწნე ახია!

შეორე ბრძანებაც სანაგვე ყუთში აღმოჩნდა. იქვე ზინას დაქალის მაგიდა იდგა.

—,, მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა...“ აკი ვეუბნებოდი მაკას, მაგრამ ახალგაზრდობა, ახალგაზრდობა! მერე, ადამიანში ბრძანებით უნდა

ჩაიქლას ახალგაზრდული სული?! ვერ მოგიწონე შალვა ფინანსები, უსრუচული შენი საქციელი!

მაკას დასასჯელი ქადალდიც რომ გაანადგურა, ჯიბიდან ტრანსპორტის ნება ამოიღო.

— „დისციპლინის სისტემატურად დარღვევისათვის...“ — დაიწყო, მარაჲ დღეობაზე მიძღვნილი ლექსი აეკვიატა.

ჩემი კარგო ლალი,
მაგრად გართმევ ხელს...

ას კა უთხარი, მავრამ ახლა ვისდა ჩამოართმევ ხელს?.. ლილი ხმას არ გაგცემს. ისეთი თავმოყვარეა, შეიძლება, სამსახურიდანაც წავიდეს... მოგავენებენ მერე ვიღაც პენსიონერს და უსმინე იმის გაუთავებელ წუწუნებს: „მე რომ ახალგაზრდა ვიყავი.... მე რომ საყვარლები მყავდა...“

ცხადაა, ლილი კირვალიძის ბრძანებაც ნაკუწებად იქცა.

დამლაგებელ ელენე თოხმეზური საკუთარი მაგიდა არ პჟონდა, დერენის კუთხეში ფეხმორყეულ სკამზე იჯდა და პატარა ბიჭის წინდებს ქსოვდა. სწორედ იმ ფეხმორყეულ სკამთან შეჩერდა შალვა ცისკარიქე.

— „ლაწესებულების ანტისანიტარიული მდგომარეობისათვის“... საწყალი ქალი! შეიღიაშვილი, ალბათ, ისევ ცედად გაუხდა, მე კი ბრძანება გავამანმალე!.. ვთქვათ, მოხსენი დამლაგებელი, ამით რას მიაღწევ?.. რომ არ უჰიტლეს, სახლში დაჯდება და ტელევიზორში „დარიკო“ უყურებს.

არც ელენე თოხმეზურის ბრძანებას ეწერა აღსრულება.

შალვა ბოლოს მანუჩარ შილაგაძის კაბინეტის წინ შეჩერდა.

— უკანასკნელი ქადალდი დამრჩა, მავრამ ამის დახევა აღარ შეიძლება! — თქვა მან და რადგან უფროსი ადგილზე აღარ იყო, ნაწერი თხად დაკმიცა და კარის სახელურზე დატოვა.

ამ, რა ეწერა ამ ქადალდზე:

„გამოსათვლელი სადგურის უფროსს მანუჩარ პეტრეს მე შილაკაძეს.

ამავე სადგურის დაგეგმვისა და კოორდინაციის განყოფილების უფროსის შალვა გიორგის მე ცისკარიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

იმის გამო, რომ მესაჭიროება გულის მკურნალობა, გთხოვთ გამათავისუფლოთ სამუშაოდან“.

ფოველივე ამის შემდეგ შალვა ცისკარიძემ ღრმად ამოისუნთქა (არა, ეს თხი არ იყო, უფრო თხვრას გავდა), ქუდი დაიხურა და დამის სიბნელეში გაუჩინარდა.



მუკონტრია ნიგერია

სოფელი და სამინარია

ამდენი წრიალის შემდეგ სკოლის გარეთ?

სად წავიდი ახლა? სოფელში რა კუთხრა მშობლებს, ახალი დაწლი და საზრუნავი მივუმატო? არადა, სხვა რა გზა მაქვ!

ერთი სახევრადმუნჯი ფეხსაცმლის მწმენდავი დათუნა იყო ოზურგეთში. ესმოდა, მაგრამ ვერ ლაპარაკობდა. ხანდახან სიტყვების გაუგებარ ხაწვევებს ძოახერხებდა, მაგრამ მხოლოდ მუნჯურით თუ „განმარტავდა“... ძალზე მხიარული იყო. ჯაგრისებს ქონგლიორიფით ათამაშებდა. ხალხს უყვარდა. მოცლილები შის გარშემო თავს იყრიდნენ, ერთობლენენ, შაურის ნაცვლად სამშაურს, აბაშისაც იხდიდნენ. რომ არ სჭირდებოდათ ფეხსაცმლის გაწმენდა, მაინც იწმენდდნენ ჭა-სიდაღ.

ერთ დღეს ჩავუჯეში გვერდით და მივახვედრე, რომ მასთან მუშაობა მონ-დოდა.

სიამოვნებით დამეტანება და იმავე დღეს დამაწყებინა მუშაობა. მეორე დღეს საც მამუშავა, მასწავლა ჯაგრისების შეთამაშება. ორ მანეთზე მეტი მოვაგროვეთ, ძაგრამ ხამი შაურის მეტი არ მომცა. ეს კი მხოლოდ ორი დღის საყოფა პურს ფა-დულობდა. ორი დამცეც გამათვევა, მაგრამ ფული არა და არ მომიმატა. ჩაგვრა და მოტფება ვერ ავიტანე. მერე კვირიკეთის ქუჩაზე, კვაშალების ეზოსთან მიმა-წავლებს: იქ კოწია გოგუაძეს სჭირდება მუშაო. ამ კოწიას ბინა თავისი ჰქონია, მერე გოგუაძე, ალბოთ, მამთოდან არის მეთქი ვიფიქრე და წავედო.

კოწია სიმინდს ყიდულობდა, ურმით შეკვეთილში (ნატანების ახლოს) გზა-ნიდა ვიღაც მოიჯარესთან და მეურმე სჭირდებოდა. მივაკითხე ბინაზე. სიხარულით აგიფეანო, მითხრა, მაგრამ დამით უნდა იმუშაოო, დღისით სიმინდს არ მატანება. ხარი და ურემი თავისი ჰყავდა. დავთანხმდი. იმ დღესვე დამიტვირთა და საღამოს გამატანა.

მახსოვეს, ვაშნარამდი რომ მივედი. შემდეგ დამინებოდა. ხარებს მთავარი გზიდან გადაეხვიათ, შეკვით ევლოთ და ვიღაცას ჭიშკართან გაჩერებულიფერებ. გამოგეხიას მასპინძელმა გამომაღვიძა:

— ბიძია, სად მიდიხარ?

— აგერ, ნატანებში. — მიუვე მე. — ჩამძინია და ხარებს აქ მოუწვენიჲარ... ბოლიში.

— ხაბოლიშო რა გაქვს, ბიძია. მარა უკან გაძრუნდი. დედო შარაშე მოუწვენიჲარ ვალ, მარჯვნივ მოუხვივ და წადი. პირდაპირ ნატანებში ჩახვალ. გილიოთება
მე მაღლობა მოვასხენე თავაზიან გლუხს და ხარები უკან გამოვაძრუნე.

კრთხანს წინ მიუძღვოდი ურემს. მერე ისევ ტომრებზე მიგწევი და ხარებს გრძელი შოლტით მივრებავდი...

...მეუღლე იქნებოდა, რომ მდინარე ნატანების ხიდზე გამომეღვიძია. ხარები დაბრუნებულიყვნენ ნატანების გზით ისევ ოზურგეთში. ხიდზე გავედი და ქალაქი ვაცანია: აქ ხომ ჩემი ყოფილი სამეურნეო სკოლა და პანსიონია!

ხარი და ურემი კოწიას ჭიშკარში ჩავიდვანე. ჩემდა ბედად კოწია არ დამიხ-ვდა შინ. ეზოში გავეტერე ურემი, მეზობლის ქალიშვილს (ტუტუხა ერქვა, კოწია ხაონენჯი ლექებს უწერდა) დაუცურვე და ვთხოვე პატრონის სახლის გადაეცა. მე-რე ამ უბანში აღარ მოძეცდებოდა და ისევ სხვა გზის ფირქებში დავრჩი.

0123 გამატი

— ისევ დაიღოცოს ჩემი მამათი! — ხმამაღლა ვთქვი ვასილ ხუნდაძის აფთა-აქან და ჭაშქირის წინ დიდ ქვაზე ჩამოვჯეხი. დიდხანს ვიფიქრე და ვხომე. მერე გადაეწევტე პანსიონში მისევლა და კოტე ნაკაშიძის მონახულება. მას ხომ მოხ-წონდა ჩემი მუშაობა ბაღში, სიძეჯითე... სანდო ბიჭს მებახდა და „მუშაკაცე“.

ნაცხობი რომ არ შემხვედროდა, ბაზარს სამხრეთ-აღმოხავლეთით ჩავუარე (ახლა რომ ბაზარია, იმ მხრიდან, უფრო ზვანის კენ), მეჩერ მოსახლიანი აღგი-ღვიძი ჩავიარე და ისე მივედი სამეურნეო სახწავლებელთან.

კოტე ბაღში მუშაობდა. დამინახა, გაიღიმა და ხელი დამიქნია — მოდიო.

— გმარტილო, ხად დამეკარგე? — აღერსით მკითხა და თოხი ვაშლის ხეზე მიაფედა.

— მე მართლა დავიკარგე, ბატონო, და არ ვიცი, ხად ვარ.—გულით ვუთხარი.

— სკოლაში აღარ დაღიხარ?

— არა, გარიცხულმა რაფერ ვიარო?..

— მერე რას აპირებ ახლა?

— ისევ მშობლებთან, მამათში...

— მერე?

— მერმე რასაც დედა და მამა მეტყვიან, იმას გავაკეთებ. — ვუთხარი შე და წამოსულა დავაძირე.

— მოდი, დავხსედეთ იმ ძელსკამზე.

ჩვენი ნაცხობი წაცვის გვერდით შეღებილი ძელსკამი იდგა, მივედით. ვაცა-ლე დაჯდომა და მერე მოშორებით მეც ჩამოვჯეხი.

— შენ მუშა ბიჭი ხარ და გული არ უნდა გაიტეხო.

— ვნახავ, მამაჩემი რას იტევის... მე მისი ხელი არ მახსოვს, მარა...

— ემაწვილო, ხელი რა შუაშია?

— ხაცემი კი ვარ, — ვუთხარი მე, — მასწავლეს ამხანაგება, რა ჩვენებაც უნდა მიმეცა, რომ არ გავერიცხეთ. თან ამხანაგებასაც ვერ გამოვეშალე... და მაინც რა გვლით ვისწავლიდი?.. ინსპექტორი შემცოდა... ჩემი თავი იმდენად არა.

— ახლა შენ თავს მისედე. შუშაობა რომ კაცს უკვარს, იგი არასიღეს
წახდება. იძრომე, სწავლასაც მოახერხებ და...

ჭოტე აღგა, დაშიცადე, და წავიდა, განეთში რაღაც განვეული ექვედული გაშელა.

— აი, ეს სამენობი დანაა. ესეც შესახევი რაფია. კვირტით მყობა ახსნილი
კი გაქვს. მიწა ხომ გაქვს ცარიელი?

— მიწა სამოფია. — ვუთხარი მე.

— პოდა, ბაღი გაშენე. ევროპაში, შვეიცარიაში, სადაც მე ვსწავლობდი,
ბაღით თავს ირჩენენ. აბა, რა სჯობს მცენარის მოშენებას. მეორე მაღლობას მეტ-
ყვი. მაღაზონიას ბაღიო, რომ იტყვიან...

გამეცინა.

— ასე მეგონა, სახარაზოში რომ მივედი, მაღაზონიას სახელოსნოა-მეთქი.
შერე სკოლას რომ მივუბრუნდი... აქ მოხვდა ხომ ჩემი მეორე დაბადება იყო.
ცალიან მიყვარს, ბატონო, ბაღი, დარგვა, მოშენება...

— პოდა, ამ სიყვარულით და შრომით, ვიცი, არ დაიკარგები. პა, დანა, რაფია
პოტებს მე შეგირჩევ, არ შეგაშინოს იმან, რომ ჩენები მხოლოდ შემოღვიძენ
აძინიან. გაზაფხულზეც სინჯე. შერე თუ რამე არ იცოდე და დაგჭირდეს, გამოირ-
ბინე, ძკითხე. არაფრით არ დაგზარდები, ოღონდ შენ გაიხარო და კაცი დაბგე...

მე უკვე გული ამინუედა და ატირებას არაფერი ძიკლდა.

აღაბათ, შემატყო, წამოდგა, შევიდა ნარგავებში. ვაშლს პოტკი მიაჭრა, ეს კა-
რგი ჯიშისაა, ზამთარში ინახებაო, „ლიმონის ვაშლს“ ვეძახით. მერე მეორეს
მიაჭრა პოტკი — ესეც კარგად ინახება, „შავ ვაშლს“ ვეძახით, მერე მსხალს მია-
ჭრა, — ეს სეტტემბერ-ოქტომბერში შემოდისო, და ისიც გადმომცა.

— დღეს ვაპირებ ხოფელში და ფველას ახლავე დავამყნი-მეთქი. სიტყვა მი-
ვაცი და წახვლა დავაპირე.

— აქ ხომ არაფერი გრჩება? — ძკითხა თანაგრძნობით.

— არაფერი, — ვუთხარი მე.

— აბა, გამომიარე, ხშირად, გამისარდება, კარგია, რომ ერთი ნასწავლი აგ-
რიცხისც გვევოლება, — მითხრა, ხელი ჩამომართვა და ჭიშგარზე გაღმოსვ-
ლადებ თვალი არ მოუშორებია...

შენ საჩუქრები ძაფით შევკარი და მამათის გზას გავუდექი.

* * *

მაშათში შეეტყოთ ჩემი ამბავი. სამი-ოთხი დღე მელოდნენ თურმე — არა ახ-
ლა, არა ახლაო, მაგრამ რომ აღარ მივედი, შემონებული დედაჩემი მოსაძენაა
წაშოსულიყო. შინმომავალს, ნახაკირალზე, ჯვართან, წიფელასთან შემსვდა. დედამ
გულში ჩამიკრა, მე ტირილი ვერ შევიკავე. დიღხანს უსიტყვილ ვისხედით
წიფლის ძირში. დედას ნაღულიანი კვერი წამოედო და ჯერ კიდევ თბილი იყო-
შოშიებულშა, უკანასკნელ ნამცეცაძე შევჭამე, საქმაოდ დაუნაყრდი და შინია-
კენ გამოვწიეთ.

ამბავს არც დედა კითხულობდა და არც მე ვეუბნებოდი. სუფსის პირას, მე-
რეხი რომ გაღმოვჭრით და ყანებთან გაღმოვედით, დედამ შემაჩერა:

— აი, ბიჭო, შორს იმ დღი ნაღიას ხედავ? — გამითითა.

— კი. იქით-აქეთ ორი პატარა ნაღია რომ უდგას, ხომ?

— პო, აქეთ, მარჯვნივ რომ ჩანს, იგი ჩვენია, მეორე მხარეზე ხალამპრე რო-
გვასაა და შეანა, უფრო დიდი, ნიკოის და გაისარასაა, ზიარი. გადაკედლული

აქეენ, აქედან ერთი ჩაყრის სიმინდს, იქით, უკანა კარიდან, — შეორე. ჩემს ამბებს გვერდს ვუვლიდით ორივე: დედას აღბათ, ვერალემორი და მის უნდოდა გაეხსენებინა ჩემი შარცხი, მე კი შეუკითხავად ვერაფერი მოვაჭილებული აი, უკეე ჩავამთავრეთ მეჩენტყიანი დადმართი, დავივაკეთ დამატებული გავევით ყანაში გამავალ ბილიქს.

— გინდა, გავიაროთ ჩენენ · ნადიასთან? — არ ელეოდა სათქმელი დედაჩემს. მე წლების შემდეგდა მივხვდი, რომ ამ ამბებით გამოვვადი მდგომარეობიდას და შართლაც, მე ნელნელა დავიწყე ფიქრი ჩვენს ყანებზე და მომავალზე. ბოლოს წვენს ყანაში ვართ.

ჩინებულად მოვლილი ყანა ჰქონდა მამაჩემს. განვებ სიცხვში გაეთოჩხა, რომ მოჭრილი სარეველა გამხმარიყო. მუშაობა გარგი და სუფთა იცოდა მამას.

— ამდა შენ კაი დროზე მოდი: პაწას წაგვეხმარები და მერე დმერთია მოწყალე. — აქვა დედამ.

გამანარდა, რომ ჩემს მუშაობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მაგრამ არაფერი შითქვაშს.

დედამ სიტყვაც დაამთავრა, ყანის დათვალიერებაც და სუფსისაკენ გავეშვრეთ.

ძღინარე წყნარი იყო, ნაგვალავი. სანაოს ზემოთ, დიდ კლდესთან, მორევში, ბიჭები თევებიამდენენ.

შენავეს თვალში მოვუკედი მოწაფის ფორმაში გამოწყობილი და დედას შეხედა.

— აა ჩემი შეიძია, ერმილევ, შენითაც უნდა გეცნო.

— ნავა არა, მაგრამ, ფორმა აცვია და მეუცხოვა. ნეხტორაია, ხომ? კი, გამახენდა: გატო გოთუას ყანაში შაირს რომ იწყებდა, გიორგი გოთუამ რომ ფარაა აჩუქა... კიდომ ძღირის. — ბიძიამ მომიალერსა.

ქს იყო შენავე ერმილევ გოგიძერიძე.

— კი, მარა, დიდი ხანია არ მიმღერია. კიდევაც მენატრება.

ამასობაში ნავი გაღმა გავიდა, მეხავეს გამოვემშვიდობეთ და აღმართს შევუდევი ხორციელებენ.

მამას ჩემს დანახვაზე თვალები გაუნათლდა. გასაღესად მომზადებული თოხი შიატოვა და ჩემკენ წამოვიდა. ხელი მომხვია, მკერდზე მიმიკრა, მაგრამ არ უკოცნია.

— რაუერ სარ, ბიჭო? — ცოტა წნის შემდეგ მეითხა მან.

— არა მიშავს... მარა ესაა, რომ აღარც სახარაზო და აღარც სკოლა!

— ნე გემინია, ბიჭო! ცოცხალს კაც ყორიფელი ეშველება. ცოლვა ივია, ვინც კადება... მაინც, რა დროის გაფიცვა და ჩეუბი იყო, ბიჭო! ვერ დაინახეთ, რომ იხეც შეჭმას გვიძირებენ?.. ვერაფერი ხელმძღვანელი გეოლიან!

მე თავდახრილი კუსმენდი მამას, უსწავლელი გლეხი და წერა-კითხვის უცოდინარი კი იყო, მაგრამ გვარიანად ერკვეოდა პოლიტიკურ ამბებში.

— მერე შენ სადაური ახალთაობის კაცი იყვავი... რომ გამოვრიცხება?.. რაცხაბადანამ წეითამაშა, უფროსების წახედულმა... უერს აუწევდი და კლასში დავაჯენდი! მარა ისეც ეზარებიერ, რომ დარიბი კაცი სწავლობს... მეიცალონ ერთი... ხწორედ ეს დარიბ-დატაკები წატეხიებენ მაგენს ფეხს!

მამამ დარიგება და საყვედური ამით დაამთავრა და თოხის ლეხვას შეუდგა, თანც ლაპარაკობდა, ეზოს ყანას მესამე თოხი თუ არ ვუქენი, ბალახის თეხლი ჩაცვია და გაისად მნელი სამუშაო იქნებაო.

მე ყანაში ვადავედი. მერეს ყანასთან შედარებით ენოში მალიან ტანაფრილი სიშინდი იდგა. მალე ყვავილობას დაიწყებდა. მაგრამ მიწა გურიელის იყო, საბა-

ტონი. მოურავს ნახელი და აღრიცხული ჰქონდა. მართალია, ცხრასხუში და
შინებული გურიელის ქვრივი ნიხო და მიხი მოურავი იორებ კანდელაკიც წერაში
გატეხილი იყენენ, მაგრამ მაინც მომთხოვნად გამოიყენებოდნენ. ორი წელის ჩამო-
ცდურის ანაზღაურებას ცდილობდნენ. კანდელაქს მამაქემისათვის კითხვა დადგინდ-
სლოდ (ხინაძვილები, მოსახინჯავად) უთქვაშს: „წელს დადანის ქალი (გურიე-
ლიდ ხინაძვილები, მოსახინჯავად) მეხამედს შეიძლება არც დაფაბულდეს და ნახევარი მოსავალი მო-
დის ქვრივი) მეხამედს შეიძლება არც დაფაბულდეს და ნახევარი მოსავალი მო-
დის ქვრივი“ მასა უხეშად და მუქარასავით ეპასუნა: „მაგას – ტეხა-კრეფაზე
გადაედოთ!“

ახლა ეს ყანა გასაწერდია. გამესარდა, რომ სამუშაო მომეცა.
დილით მამავები აღრე ამდგარიყო. ნამუშევარი რომ შინ შემობრუნდა, ვაწ-
ე შემრცხვა, რომ მამა ჩემს ადგომამდე უკვე მუშაბით დაღლილიყო. სწრაფად
ქი. შემრცხვა, რომ მამა ჩემს ადგომამდე უკვე მუშაბით დაღლილიყო. სწრაფად
ნამოვარდი, ტანთ ჩავიცვა, სამუშაო ძველები და ოთხი მოგიკითხე.

— ბიჭო, ნუ ჩეარობ... ჯერ ვისაუზმოთ და მერე წალი... ახლა ცოტა უნდა გვილოპაროკოთ, — თქვა მაშაბ.

მე ლუკა ხელში შემაცივდა. მან განავრძო:

— ხემრობა საქაეთი რომლიც მანეთი წელიწადში? თვეეთი აგეტი ისა უკავშირო შეტყი გამოლის. აგა თუ კამა იღინდროს პატარა როდენისა და მერის ფანაც, ეზოც... მერე შეიძლება შევინარჩუნეთ და მერის ფანაც, ეზოც... მერე შეიძლება

— օ, հաջողությունը լավագույն է ամենի վերաբերյալ! — հայրության լուսակացնեցած ամենը.

— ღება, კი შეიძლება ოდასახლზე ფი

— გიგანტი, გიგანტი... — დედას შევეკამათე.

— ქამაშ პირზე მომიწნებული ლუკმა სუვერაზე ნელა დაუშვა.
— ქალო, გაცალე ერთო... კაცის ხელი რომ ვერ გააჭოვბს, იმფერი ქვევა-
ცას არაფერია. ვიმუშავებთ, ვიმუშავებთ და ვნახოთ. ფიქრი ხელს ხომ არ შევ-
აძირო.

ამ სიტყვებშია ლონი შემძიმა, ასე მეგონა, მთას წავაქცევდი.

— მარა სათქმელი ჯერ კიდევ ბევრია და, რავარც გითხარი თავიდან, იმას
კაშტონებ ახლაც: შენი უსწავლელობა არ მინდა! ჩვენს სკოლას სტოროვი არ
ჰყავს. მე შემოძლიერ — კანცელარიასაც ემსახურე და სკოლის სტოროვობაც
ჰყავს. მე „სხვა“ მონაცემები... თუ გაგიჭირდება, მერა სხვას მოვნახავთო... ახლა ეს „სხვა“ მონა-
ცემები... შენ სტოროვად იმუშავე, მე კანცელარიაში. ფუღლსაც თავი შეუვაროთ.
ზურია. შენ სტოროვად იმუშავე, მე კანცელარიაში. ფუღლსაც თავი შეუვაროთ.
ზურია. შენ სტოროვად იმუშავე, მე კანცელარიაში. ფუღლსაც თავი შეუვაროთ.
ზურია. შენ სტოროვად იმუშავე, მე კანცელარიაში. ფუღლსაც თავი შეუვაროთ.

- ხომ არ გეხირცვება, ნენა, სტოროვობა? — ეჭვით ხაუროთ დედაიყვა.
- შრომა სირცხვილი არაა! — დამასწრო მაძარ.
- სირჯხილი რა შეაშია, ნენა? — დედას შივუძრუნდი მე, — სირცხვილი

არა, დღეი და დამე ვიმუშავებ, თუ სწავლის საშუალება კი მექნება.... მასწავლებლებს ვიცნობ და რახაც ჯამავირს ავიღებ, იგინს მიცემ. ერთ ქცევა აანას კოდა ძრევიმატებ ეზოს გადაღმა... კანდელაკს შევეხვეწები.

მამაჩებს საუბმე აღარ დაუმთავრებია, წამოღვა და სამსახურში უდიდესი წაუდა... ჭიშეართან მოიხედა და მომაძახა: «ეზოს ყანაში ნაპირი დაწყებულია! ეს ნიშავრა, რომ მისი ნაპირი უნდა გამუგრძელებია...»

მამაჩები დაღამებამდე დაბრუნდა. ჩემი ნამუშევარი დაათვალიერა და მაღონ მოიწონა: ბევრიც გიმუშავიათ და კარგადაცო... შერე თვითონაც მოუსვა თოხი და ფანა გამხარულდა...»

დაბაკელებამდე უხიტყვიდ ვიმუშავეთ. მერე ვასმამზე გადაწყდა, რომ ხეოლის დამლაგებელ-დარაჯი ვაქენები და თავისუფალ ღროს მასწავლებელ მოხე სამსონიას ხელმძღვანელობით მოვემზადები საოსტატო სემინარიაში შესახვლელი პროგრამით. მასთან მე და მამა, ხაჭიროების შემთხვევაში, ერთიძეორებს შევცვლით და კრო ქცევა ვანსაც შემოვიტებთ. თათბირი გაგიგრძელდა. სუვრაზე ჩამოშეძინა. მშობლების დახმარებით მივედი ლოგინთან.

ასე დააწყო ახალი ცხოვრება. პირველ ხანებში ადრე მივდიოდი სკოლაში საშუალო. ასევე მოდიოდა მამაც. შერე თანხდათან ჩავდექით კალაპოტში და ხშირად ხან კროთ ვისვენებდით, ხან შეორე. ხან ორივეც უერ კუთავდებოდით, იმდენი მუშაობა გვიწევდა სამსახურში.

ჩემი მოვალეობა იყო სახეობის დაკვა-დაწმენდა, მასწავლებელ ვახალ შელამისათვის მეზობლიდან დღეში სამი ჯერი საჭმლის მიტანა, ხოლო კვარაში რახელ მიხვის თავი და ფეხი უნდა დამებანინებინა. ყველაზე დიდი მუშაობა თავის დამნა იყო: დიდი თბა ჰქონდა, ქოლგასავით გაშლილი. თავსაბანი მიწა და ძმარი უნდა შეშოგნა მეზობლებით. რამდენიმე კოკა წყალი უნდა მომეზიდა და, გაძლიერი. მერე წყალი უნდა დამესხა დაბანისას. მთელს ამ ცერემონიას საათხავე ან თრა სტორეგბიდა. ღმერთი მომებმარა და მაღლე გადაიფვანებს, თორეგ გაქცევას აღარაუერი მიკლდა.

ახა მოხეს სამსახური სულ უმნიშვნელო იყო. იგი შინიდას მოდიოდა და იშვიათოდ თუ საძლებელი მიმაგრავნიდა, თორეგ ისე არაფერს მაგალებდა. ამიტომ, თავის უფალი ღრიო მქონდა, ხან მამის სამუშაოს ვასრულებიდ, ხან ყანაში გავიდოდი, ანდა კვითხელებიდა და გმეცალინებიდ.

სახწავლო წელი მიიწურა. პროგრამას შეორედ კიმეორებდი.

არდალევების ღროს შეშაობას უვამატე, საბუთები შევიტანე ხონის საოსტატო სემინარიაში, და, როგორც მოხე სამსონია მაიმედებდა, საკონკურსო გამოცედა ჩაბარებულად მიმანდა.

ასეც მოხდა. გაძლიერები ჩავაბარე. მაგრამ იმ წელიწადს სახაზინო ხარჯზე არაერთ მიიღეს. პირველი ხახვარი წლის სწავლის ფული 130 მანეთი უნდა შეშეტანა. ვის არ კოხოვეთ, რა არ ვყიდეთ, ეზოც ვაგირავეთ, მაგრამ იმ თანხის თავის მოერა ცოლად შეუძლებელი იყო. მეც იძულებული გავხდი, სოფელში დავბრუნებოდი ჩემს სამუშაოს.

ახალი სახწავლო წლიდან მეღაძე შეცვალა ივანე ხაზალიამ. იგი ნამდვილი შასწავლებელი და ჩინებული ადამიანი იყო. თავი კინადამ მოიკლა, როცა გაიგო, რომ უფალობის გამო ვერ შევედი სემინარიაში. ძლიერ უსაყველურა მოხე სამსონის, მამასახლისს — პეტრე კილაძეს, კანცელარიის მწერალს — მელენტი ჩხარიშვილს; კაცმა სახწაული გააკეთა, პირველი ცდით კონგრესში გაიმარჯვა და თქვენ იძეგნ კაცობა ვერ გამოიჩინეთ, რომ ფული სესხად მაინც გეშოვენათო... მაგრამ აღარაუერი უშველებოდა ამ საქმეს. უკვე გვიანი იყო.

სამაგიეროდ ახლა ივანემ იკისრა მზადება უსახყიდლოდ, როგორც მოხემ, შამხადა კიდეც პატიოსნად. სკოლაში საქმე შემიმსუბუქდა. ნაზალიაჭ არ სჭირდებოდა. მე შამაჩემის სამუშაოთი დავიტვირულ და მარტინულ მარტინულ რჯასს უფრო მაგრად მოჰკიდა ხელი.

მნელი იყო მისი მოვალეობა: სამჯერ კვირაში (ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს) უსათუოდ ფისტა უნდა შეიტანა ღანჩხეუთში და სამაგიერო იქიდან გადაწყეტანა, კანცელარიას უნდა მოშასხურებოდა წყლით, შეშით, დაგვა-დაწმენდით. ამასთან შიკრიკობაც შედიოდა მის მოვალეობაში. ჩვეხი თემი, მაშინ ძიმითის სახოგადოებად წოდებული, დიდი იყო. ცენტრიდან ჩუთ კილომეტრზე – ხილაურში (ჩვენს თემში შემოიღოდა). მამასახლისი იდგა და ერთი ნაცვალი, მეორე ნაცვალი სოფელ ძიმითში იყო დაახლოებით ამავე მანილზე, და მესამეც ზედა ძიმითში (ძუხაშავრიების უბაბში), ასევე შორს, მეოთხე – ქვედა მამათში).

აძღვენა თემში (მაშინ საზოგადოებას ვეძახდით) თითქმის კოველ დღე საჭირო იყო ნაცვლების გამოძახება, მოყვანა, სხვა ძიმილების გამოძარება... და ეკელაფერი შიკრიკის მოვალეობას შეადგენდა.

მეორე წელიწადს მე ცცვლიდი მამაჩემს. ჩანთაში ქალამანს ჩავიდებდი და ძიქუნდა ფოსტა ორაგვის გავლით. ჯინჯუათში ეკლესიასთან ფეხზე ჩავიცვამდი და ბოქაულის კანცელარიამდე (ზურაბ დლონტის სახლში იყო, სადგურთან ახლოს) ძივიჩქარილი. ფოსტას წამოვიდებდი, ჯინჯუათში ფეხზე გავიხდიდი და ისე მოვდიოდი ხოფლის კანცელარიამდე. ნაძღვილად ძნელი იყო!

ბოლოს ივანე ხაზალიამ მთხოვა წავსულიყვავი მის სახლში. ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში და მოხუც მამას დაეწიარებოდი ოჯახურ მუშაობაში. შერე არღადებებზე ისიც ჩავიდოდა თავის სოფელში, მთელ ზაფხულს მამეცადინებდა და სემინარიაში გამოცდებზე გამიყვანდა. კოველივე ეს უსახელდლოდ შექმნიდა.

ჩემი მოვალეობა მამას დავუტოვე (წელიწადში ორივეს 60 მანეთი გვჭონდა) და იუანეს მოცემული გზის აღწერით ზუგდიდში ჩავედი, იქ გზა გამასწავლებ ივანეს წერილობითი თხოვნით და იმავე დღეს, საღამოს, ორსანტიაში ვიზავი, ხაზალიას ოჯახში.

ზაფხული ორსანტიაში დავრჩი. მეცადინეობა, მეცადინეობა და მუშაობა. პროგრამას გავცილდით. კველა საკითხს ყოველი მნილიდან ვუდგებოდით. ვწერდით, კვითხულობდით, გისებუბლით, ვმუშაობდით, ვერთობობდით. ვვრაფერი წაშლის შემში ორსანტიის შთაბეჭდილებებს, იქაურ თავაზიანობას, მოლხენა-გართობას.

შოვიდა გამოცდების დრო. ივანემ წამიევვან, ხონში. მაგრამ აი, უბედურება: იმ წელსაც მოსწავლეებს სახელმწიფო ხარჯზე დებულობდნენ. ისე, ხომ შარმასაც შემებლო ჩავრიცხულიყვავი! წაველით გორში, იქაც იყო საოსტატო სემინარია.

დაიწყო გამოცდები. სამღვთო ხურიდანვე ურადღებით მექიდებოდა ერთი ძოხუცი მასწავლებელი. ქართულში გამობიახეს. გაგონილი მქონდა, მწერალი ღებულობს გამოცდას. ძალიან მაინტერესებდა ცოცხალი მწერლის ხახვა. შევედი, ის მოხუცი მიღიმის, მკითხა რა იციო, რა წაგიკითხავთ... მეც ჩამოვთვალებ, ვგნატე, ილია, აკაკი. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დარჩა მასწავლებელს. სულ მეტსა და მეტს მეტითხებოდა, ილიმებოდა, ბოლოს იცინდა. და გამოხვდისას სხვა საკენბში გამარჯვება მისურვა, რიცა გამოვედი, ვიკითხე, ვინაა ის მოხუცი-ძეთქი. ჭერა კინაღამ დავგარებე: ეს გამოდგა ნიკო ლომოური!

ახლა დერეფანს აღარ ვშორდებოდი. კიდევ და კიდევ ძინდოდა შენახა მისი ძინდველი, ნიკაპზე შემორჩენილი პატარა წვერი და წმინდანის წენარი, მოღიარი გამოხვდვა.

მათემატიკის გამოცდა. მათემატიკას და გეომეტრიას ერთად იძალვა-
დნენ. მათემატიკაში ვუპასუხე, მაგრამ გეომეტრიის არაფერი ვიცოდი, სრულყოფ-
ხასწავლი არ შეინდა. ხონის პროგრამში, რომლითაც მე ვეზუადებოდი, კულტურული
რია არ იყო. და ასეც გავუცხადე კომისიას. სამი კაცი იყო გამომცდელებურსობის
ხეთ შექედებ.

— რა საკითხავი და გადასაწყვეტია? არ იცის!

— ხუთები აქებ... — სცადა ერთმა.

— ბატონო, არ უსწავლია!.. და ერთიანი დამიწერეს. ერთმა სიბრალულის
შზერაც კი გამომაყოლა, მაგრამ რას მიშველიდა.

ეს ამბავი მთელს სემინარიაში დაირჩა. აღელვებული მომვარდა ნიკო ლო-
მოური:

— ეს რა ნაიდინე, კაცო! გეოგეა წინახწარ ჩემთვის, ვაჟო! აქ, გამოცდაშე
რომ სამიანიხოვის იქმარებს, იმას ერთ საათში მე — არაპეტიალისტი შეგახწავ-
ლიდო!

ჩემს თავს აღარ ვჩიოდი, იმდენად შემებრალა ეს კეთილი მოხუცი, სავარე-
ლი მწერალი და მახწავლებელი. იგი მზად იყო ცრუმლი გადმოეგდო, მალიან
დატრიალდა, მაგრამ ამაღდ.

იყანე საზალიაშაც ბევრი ინანა, — რატომ არ შევიტევე გეომეტრიაში თუ
გამოცდა იყოთ.

მაგრამ ხაჭმეს აღარაფერი უშველიდა... იხევ მაშათში დავპრუნდი გაწმილუ-
ბული.

* * *

ახლა მოხე ხაშონიას სელმძღვანელობით ვეზუადებოდი (ხაზალია გადაიყ-
ვანებს). მამაწებს უხაროდა, რომ ორივე სამუშაოს მირითადად მე ვასრულებდა.
მას ეცადა საოჯახო საქმეებისათვის და ბევრსაც მუშაობდა. ახე ვავიდა მთელი
წელი; ავისტომი ჭვლავ ხონში წავედი გამოცდებზე, ახლა უკვე მოსე მახლედა.
გამოცდისა აღარ მეშინოდა. მამაჩემის ანდაზა მომაგონდა: ღორი რომ გასუედე-
ბა, მეგლო ინატრებსო. მეც ვნატრობდი, ისეთი კითხვა მოკავა, რომ პასუხი ვაძ-
ჭირვებოდა.

მაგრამ ასეთი კითხვა არ გამოჩნდა და ეკელა საგანში ხუთიანი მივიღე. უნდა
გენაზათ გამოცდაზე მოსული კუბანელი ვლადიმერ კოლძა, რომელიც კარგი მო-
მზადებული იყო, მაგრამ რუსულ წერაში ოთხიანი მიიღო, მე კი — ხუთიანი!

ხარცუნვლით ხის რომ გამოკრებს, ორასამდე კაციდან თვრამეტი ვიწვით შიგ
და პირველ აღგიღილზე ჩემი ვარი ეწერა.

ამ ჯახირში 21 წელი შემისრულდა.

დაიწყო ხწავლა. მე, დიდი ხნის მზადების გამო, გაკვეთილებზე ნაკლები დრო
შჭირდებოდა. სამაგიეროდ, სკოლისგარეუშე კითხვას დავუწეულებ.

1914 წელი იდგა. დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ჯარში გაწვევა აღარ
გადამიღებს და ოქტომბერში სამხედრო საშასხურში გამიყვანეს. ახლა დირექტო-
რად აღარ იყო ჩემი აღექსი ჭიგირანაძე — სახელოვანი პედაგოგი და ჩინგული
ადამიანი. სემინარიას განაგებდა ვინმე პავლოვსკი — მონარქისტი და უაღრესად
ძორწეულები. თხოვნით მიემართე, სემინარიის დამთავრება შეშაძლებინეთ-მეთქი. მა-
გრამ ახე მიპასუხა:

— დღესთავად გაღინჩა, რომ დიდი მართლმადიდებელი იმპერატორი გიწვევს
ტახტისა და სარწმუნოების დასაცავად... შენ კიდევ სემინარიაზე და სწავლაზე უი-
კრობა?

ამ სიტკვებზე წამოღვარი გადაიწერა და კარებს დაადგა თვალი...

(გაგრძელება იქნება)

ახალი მარათანაში

პრესტანტი პაუსტოვსკი

გეზრებილფარაჭიანი მოხატი

ათასობით სოფელია რუსეთში, ველებსა და წარაფებში გადაკარგული. ათასობით სოფელი, ისეთივე ჩვეულებრივი, როგორც ლეგლურა ცა, როგორც თავთრა გლეხი ბავშვები.

ურიცხვ სოსნოვკებს, ნიკოლსკისა და კორელის დოკორიკებს შორის იშვიათად თუ შეგვეძება სოფლები გამორჩეული, ზოგჯერ კი წარმოუდგენელი სახელითაც, როგორც, მაგალითად, კეთილი იმედის კონცხი ტამბოვის ოლქში, ან კილიანი კოლხებელი სადღაც ოსტროგოვენის მახლობლად.

ფოველთვის გვინია, რომ სოფლის ასეთი გასაოცარი სახელწოდება აუცილებელად რაღაც საინტერესო ისტორიასთანაა დაკავშირებული და რომ მათი სახელწოდებაც აქედან წარმოდგება. მცე ასე ვფიქრობი, ვიღრე ნაკლებად ვიცხობდი სოფლურ რუსეთს. მაგრამ შემდეგ, წლების შემდეგ, როცა უკეთ გავიცანი ქვევანა, დავწრმუნდი, რომ თითქმის არ არის ისეთი სოფელი — ვავლაზე ღატაკიც კი, რომელსაც არ ჰქონდეს თავისი შესანიშნავი ისტორია, არ ჰყავდეს ასევე შესასიშვავი აღამიანები.

ავილოთ, მაგალითად, ახლანდელი ტულის ოლქის პატარა ქალაქ ეფრემოვის მიდამოები, იმ ეფრემოვისა, რომელიც, ჩეხეოვის სიტევებით რომ ვთქვათ, ვვმდაზე მიერუებული ქალაქი იყო რუსეთის სამაზრო ქალაქებს შორის. როგორიც ყრუ სოფლები უნდა ყოფილიყო ამ ქალაქის ინგველივ!

ერთი შეხედვით ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

1924 წელს მთელი ზაფხული ეფრემოვის შპლობლად, სოფელ ბოგოვოში გავატრე. რევოლუციის მეშვიდე წელი იდგა, მაგრამ აქ გარეგნული გარდაქმნები არცოფ ისე თვალსაჩინო იყო.

იგივე მოტიტვლებული შვრის ყანები შრიალებდნენ ღობებს იქით, და საცრისფერ ტალღებად დასეირნობდა ქარი. იგივე გაზუნებულ ჩაჩებიანი გლეხის ბაშვები იწვენენ საბავშვო ეტლებში, რომლებსაც ბუზები ეხვეოდა. ბაზრობის შარაგზაზე ოთხთვალები გრუსუნებდნენ, მათზე წამოსუპებული ფეხ-დღეებში შარაგზაზე დოთვალები გრუსუნებდნენ და გამყინავი და ციინ-სახვევებიანი გლეხის დედაკაცები აქეთ-იქით აწყდებოდნენ და გამყინავი და ციინი მხარიული სხით დარღიმანდებულ სიმღერებს მღეროდნენ. დამპალ საგუბართან ხაშმინარებავთ ხმაურობდა პატარა მდინარე ლამაზი ხმალი (ასე უწოდებდნენ მას აღვიღობრივი).

ბოვეულში ყოფნისას გავიგე, რომ ეფრემოვის შორისხლოს ღვრემონტოვეს
ძაბას კარ-მიღამ ყოფილა დაცული, სადაც თურმე დაჩხარულ სახლში კვდეს
პოვტის დამტკერილი საღაძეს სეროუკი ეკიდა. ამბობდნენ, ღვრემონტოვმა მა-
შასთან შეიარა, როცა კავკასიაში გადასახლესო.

თხიც მითხოვს, ლაშაზი სტრიც ნაკირებზე იკანე სერგის ძე ტურქეთისა და ლიბანისა და, სოლი კუნძულოვში ჩეხევი და ბუნინი იყვნენ.

მაგრამ კვლეულები კვლეულის კუთხილება იყო. მე კი აშენოს ნიშტების, ადამიანების პოვნა მინდოდა; ადამიანებისა, რომლებიც ახალ დროსთან იქნებოდნენ დაკავშირებული.

ମାଗ୍ନାମ, ତାତ୍କାଳୀନ ଗନ୍ଧିକେ, ଦେଶପରିଷଦିର ସାମର୍ଜ୍ୟାଲ୍ୟର ଠମ୍ବେ ମନୋହରିଲ୍ଲେ ନ୍ୟାସନାଲ୍ୟରେ
ଯାଇ ହେତୁରେ, ରାଶ୍ଟ୍ରମଣ୍ଡିଳ ଏବଂ ଆରାଟ ନିଃଶ୍ଵର ଶରୀରରେ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ମନ୍ତ୍ରମ୍ଭ ଉଚ୍ଚନ୍ଦ୍ରରେ,

და აცვე, თითქოს განგებ, სოფელში ვიდაც გადმდგარი ჰოლკოზნიკი ცხოვრისძი, რომელიც, როგორც ამბობდნენ, იყო კაცი მარტოხელა და სიტყვაძვირი. უკრავის აძინენა, თუ რატომ დახახლდა ბოგოვოში.

— ცნოვილის რა! — ამბობდნენ გლეხები. — ცუდს ჯერ არაფერს აკეთებს. დაიქრავა ქობი, ივითოს ხარშავს კარტოფილს და მწუხრილან ალიონამდე შძინარის ჰარას ზის და ანკეხაობს. ან მეტი რა უჟღდლია — იგი ღრმად მოხუცებულია.

— აბა, რისთვის ცხოვრობს აქ?

— ეშაკება იცის მისი თავი! გამოკითხვა უნდა ჩატაროს. ზაფხული ჩამოვიდა
და საცხოვრებლად დარჩა. წყარია ჩვენი მსარე- ყოფილ ოფიცერს აქ, ცხადია,
ძღველებარება ნაკლები აქვთ. თვითონ მოგეხსენებათ, მას ახლა თურქულ შეკრისლი-
ვათ კადა კარგა უვლის.

შეინარჩ ლამაზ ხმალზე, წისქვილის საგუბაროან ახლოს, შეკვედი ამ გადაძლ-
ვან ჟილენიდა.

და იგი მოგრუბდეს, გრილი, როგორც ზოგჯერ შეა ჰავენელმი ცეცის. აშაკი დანებელი დედამიწას თავს დასტრიიალებდნენ, წვიმის წვეთები ხმა-რით მკაფიოდნენ ხევის ფოთლებსა და ბალახებს.

წინევილის მორევში ხათვეზაოდ მოვედი. საგუბრის ახლოს კუნძულზე გრძელ-
წევრა ჭადანა მოსცეი იჯდა, ტანხე ძევლი ოფიციული ფარაჯა ემთხა, თავშე კი
საცრისევრი კეპი ეხურა. მოოქროვილი ფორმის ღილების ნაცვლად ფარაჯაზე
ჩვეულებრივი შავი ღილები ეკრა, როგორიც ქალის ტოლაძას მინახავს.

შოთავი განის მიღის მუხლიდან გაკეთებული მოკლე ჩიბეჭით ეწოდა, როცენოვ ნანდა, ძალზე მძიმე იყო. ერველ შემთხვევაში, როცა მოხუცი ჩაბუქს უნდა ჰქონდავთ, ისეთ ხას გამოსცემდა, თითქოს ლურსმანს აჭედებენ.

მანებელი ერთი ანკესით თევზაობდა და პირებელ ნანებში ყურადღებას არ მა-
ქოდა.

მე კი სამი ანკესით ვიჭერდი, და ამიტომ თევზი კოელობუს ძვრებოდა ან-
გეხსნდან. როცა ერთ ანკესზე ჭიას ვცვლიდი, მეორეზე, თითქოსდა ჯიბრზე, აუცი-
ლებლად წამოვევებოდა. სასწრავოდ ხელს წავალებდი, მაგრამ გვიანდა იყო,
წყლიდან მხოლოდ ჭიას ნაღლევი მიმშვებოდა. მოხუცს კი დროდადრო აუწე-
რებლად გამოპყავდა დიღი ტყვიისფერი წვერა და მსხვილი ნაფოტისმაგვარი თე-
ვზება.

օգո ջամցոնացած հասկցելով եռողմբ և ճ ճշկցեթան իջմ չափուն շըմքենց.
Եռութեան թան, յա ամեազ թա արութիւնացելու. ծոլուն զըր մոտթինա և մօտենա:

— ერთი ანგასთ უნდა ითვეზაოთ, ახალგაზრდავ, ერთი ანგასთ, სულიერი ხელშეითხოსათვის. ახა კი მხოლოდ ნერვებს გაიფუჭებთ.

მოხუცის რჩევა ჰქონაში დამიჯდა, ორი ანგელი შევინახე და თევზაობა ერთით



დავიწეს. ხელად გამოვათრიე კარგა მოზრდილი ქორჭილა. მოხუცემი ჩატყენა. — იცით! — მითხრა მან, — სამ სამიზნეს ერთდროულად საშმაშანებლად ეხერიან. უძეტესად მიზანს აცდენენ ხოლმე. აი თქვენც ისე უდმერთოდ აცდენთ, ცეკვაც კი გულისმომწვევლელია.

ბოგოვოში გვიან ბინდ-ბუნდში ვბრუნდებოდით. მოხუცი ნელა მოაბიჯუმდა, დაბლა იცქირებოდა და თავი ერთხელაც არ აუწევია. სოფელს უკვე ნესტით გაჟღენთილ და ძიყრუებულ ხიბნელები მივაღწიეთ.

განაში მოხუცი მიყვებოდა, თუ როგორ ხარშავდა ოქროცერცას წვერას ხა-ტევარასათვის. ამიტომ ერთხელაც არ მოძეცა მოხერხებული შემთხვევა, მეკითხა, თუ ვინ იყო და რატომ დასახლდა ბოგოვოში. ამ სოფელში, როგორც ვიცოდო, მას არც ერთი მახლობელი არ პავდა.

დასავლეთისაკენ ნელ-ნელა ქრებოლნენ შეწამული დრუბლები. ნაღვლიანად ყვიროდა წყლის ბუღა. ისევ მძიმელ ეცემოლნენ ხეთა ფოთლებზე ცივი წვიმის წვევები. და ეს საღამოს პირქეშობა როგორლაც ერთვოდა ხემს ფიქრებს მოხუცის მარტობაზე, გაცრუცილფარაჯიან კაცზე, რომელიც ძლიგს მითხანადებდა ხემს გვერდით.

მხოლოდ ერთხელ ხაუბრის ღროს მოხუცმა სიტყვა თავის თავზე ჩამოაგდო და თქვა, პირველ მხოფლიო ომამდე პოლონეთში ოსოვეცის ციხე-სიმაგრეში ვმხახურობდით. აი იქ რომ წვერას იჭვრდა, ის იყო, რაც იყო.

* * *

ზაფხული მიღიოდა, მოხუცი თავის წარხულზე დაფინებით ღუმდა და მართლაც მისთვის ამაზე რაიმეს კითხვა უხერხული იყო. ერთხელ შევეცარე მოიარებით გამეგო მისგან, დახმარება ხომ არ სჭირდებოდა, მაგრამ მოხუცმა ჩემს ხიტ-ვებზე მხოლოდ ჩაიცინა და არაუცერი არ მიასუხა.

ამ მოხუცის მთელი ისტორია დღითიდღე გამოცანა ხდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა გავივე, რომ ყოველთვიურად ჩადაც უწევება მოაბიჯოდა ეურემვიდან. დადის ქალაქში და იქიდან დაღლილი, მაგრამ კმარიფილი ძრუბლება და ყოველთვის მოაქვს საჩქრები სიფლის ბავშვებინათვის და თავის მეზობელ ნასტიასათვის — მრავალშვილიან, მაგრამ ჯერ კიდევ თითქმის ახალგაზრდა, ქმრისაგან მიტოვებული ქალისათვის, ბავშვებს — მწებარე შაქარყინული, ნასტიას ხან შეკვრა ჩაი, ხან კოჭის ძაფები.

ნასტიასთანა თვინიერი არსება ჯერ არ მენხა. თითოეული მისი ხიტება და შოძრაობა უშერბასა და გალკათოლობას ამჟღავნებდა. ის ყოველთვის დამნაშავებავთო იღიმებოდა, აკანგალებული ხელებით აჩქარებით ისწორებდა თმებს თავსაფარქვეშ, ქოხში მასთან შეხვდა როგორლაც შრცხვენოდა: ნასტია ფუსტყუხით წმენდდა მერხსა და სკამს, საფარში ერეკებოდა წიწილებიან კრუხს, ხანე უჭარხლდებოდა და თავისი გაღუნული, გამწვანებული სამოვრის დაღგმას ლამობდა.

დაბოლოს, შემოღვომაც დადგა და რამდენიმე ღრღმი მოსკოვს გახამგზავრებლად მზადებას შეესუდექი. ზოგჯერ ამ თუ იმ კუთხეს ტოვებ და მაინც ფიქრობ, რომ ოდესალაც ისევ დაბრუნდება აქ. ეს უფრო აღვილია, ვიდრე იმის შეგნებით წახვდა, რომ სამუდამოდ მიღისარ აქვდან. ამასთან აუცილებლად მწარე გრძნობა დაგეუფლება, თითქოს შენი გულის ნაწილს ტოვებ. რა უსიცოცხლო და ცხლიც უნდა იყოს დატოვებული აღვილი, რა მძიმეც უნდა ყოფილიყო შენი იქ ყოფნა, მაინც სულში ყოველთვის რჩება ხინანული, შესაძლოა, სიყვარულიც კი.

ასე არის, დედას უყვარს თავისი სუსტი ბავშვი, ნაფორით რომ თამაშობს.
უცურუბებს გულმოკლული თავის უსუსურ, მარტოობისათვის განწირულ ბავშვზე,
ჯანმრთელ და მოცინარე ტოლებს ჩამოშორებულს.

ისრაელი

როგორც ჩანს, ბავშვა იძიტომ გაბახსენდა, რომ სწორედ ასეთი გამოვლენისას

და წერარი ბიჭუნა ჰყავდა ნახტის. მას ჰეტია ერქვა.

ჰეტია უკავ ექვხი წლისა სრულდებოდა, შაგრამ თითქმის ვერ ლაპარაკობდა.
მთელ ღლებ გზაზე იჯდა, მტვრენ ერთი ხელიდან მეორეზე იყრიდა და ხმას არ
მოიღებდა. კრთხელ მასთან მივეღი, ჩაცეცები და გამოველაარაკე. შიშით შემო-
იდებდა. შეიძმუხნა, უხმოდ აცაცახდა, ატირდა და თავი ხელებში ჩარგო.

— რა მოგივიდა, — დაბანეულად ვკითხე და აღლესით შევეხე მის გამხდარ
შხარს, რომელიც ჭეშეისაგან გაევითლებულ ხალათქევშ ცახცახებდა.

გერაფერი ვერ გავიგე. მხოლოდ ვხედავი აშ პატარა, ცრემლებისაგან გა-
გერული არხების უსიტყვით და ბნელ მწუხარებათ.

— რა მოგივიდა? — გავუმეორე, და თითქონ მოულოდნელად სამართებელმა
გაქცევა ჩემი აზრი: „ინებ, ხვდება, რაც სჭირნ?“

ჟონილან ნახტია გამოვარდა, ხელი წაავლო ბიჭუნას და, როგორც ეოველ-
თვის, ღამნაშველავით გაღმებულად თქვა:

— ინ ავადყოფია, ჩემი პატარა სულელი ბავშვი. თქვენ ნუ გაბრაზდებით.
როგორც კა შეეხები, ცოველთვის ატირდება.

მოულოდნელად ნახტიას თვალთ დაუბნელდა, და გაბოროტებით თქვა:

— ჩემი ხელებით მოგახსნიობდი ამ წეველ გაგრიებს! ოღონდ მთელი ღლე ვე-
ღრუბით არაფი ხეთქონ და ღედა იგინონ. აი, მთელი შათი ცხოვრება! მომრავ-
ღებენ აა ახეთ ბავშვებს, მერე კი შენ სისხლისაგან გული გეწრიტება. და აი ჩემს
ხაწყალ ბიჭს მიმხედავი არავინ ჰყავხ.

* * *

როგორც კა წახელა გაღაეწვიტე, იმ წამსვე დარჩენა მომინდა. ეველაფერმა
უცებ ახალი სახე მიიღო — ხალხმაც, სამოვრებმაც და მთელმა ამ ბნელმა შემო-
ღობის მიწამაც.

სულ წევმდა, ცრიატი ღლები გარიერავს ჰგავდა, ქოხში ნეხტი და სიცივე
იდგა. და შხოლოდ ჩამოცევნილი ფოთლების გროვა ანათებდა მიწას თავისი სუ-
სტი კრილი სინათლით.

გამგნავრების წინ უკანასენელად წავედი მოხუცთან, როგორც მას უწოდებ-
დნენ, პიოტრ ხეტეანოვისთან, მის მიერ ამოჩემებულ სათვაზაო აღგილას. წვიმაშ
გაღაილო, მაგრამ მთელი ღლე ნისლი იწვა მიწაზე. ის შუაღლებზეც კი არ გაფან-
ტულა.

ჟონშეს შევეკითხე, მოსკოვში რაიმეს სომ არ დამაბარებ-მეთქი.

— არა, გმაღლობთ, — მიპასუხა მან, — მოსკოვს სომ მეტად ვეღარ ვნახავ-
ჩემს ლარჩენილ ღლეებს აქ გავლევ. არსად წასასვლელი არა მაქს, და არც საჭი-
როა. მე ძველი ღოზი ვარ. არც ცოლი მძავს, არც შეილი, მეგობრებზე კი ლაპარა-
როს. მე ძველი ღოზი ვარ. დანარჩენები კი ღლიდ სანია წავიდ-წამოვიდნენ, დაი-
კიც არ ღირს. ზოგი მოკვდა. დანარჩენები კი ღლიდ სანია წავიდ-წამოვიდნენ, დაი-
კიც არ განეხნ, ვინ სად და ვინ სად. უნდა ვაღიარო. ძველ არმიაში მეგობრებიც კა არა
ძავდა, თითო-ოროლა თუ იქნებოდა.

— რატომ? — ვკითხე მე.

— აბა როგორ აგისხნათ... მე ჯარისკაცის შვილი ვარ. მამაჩემი ვახმისტრი
იყო. წარმოშობით, როგორც ძველად ამბობდნენ, გლეხობიდან, უბრალო ხალხი-

დან ვართ. სიმართლე რომ ვთქვა, კეთილსინდისიერებისა და არტილერიის ცენტრის ცოდნისათვის მიტანდნენ. ცედი არტილერიისტი არ ვიყავი.

— ცოდი რატომ არ შეირთეთ?

— ახლა, რასაკირველია, საწყენია, — შიპანუშა იოსუცმა და სული შეითქვა. იგი ანგესის ჯოხს დაეყრდნო და გაშშდარი, ძაღალი, ოდნავ მოხრილი, რაღაცით დონ-კახოტის მწუხარე სახეს მაგონებდა, თვალები აუცრემლდა. წითელი კუბიკული ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი მოიწმინდა.

— ახლა კი ვნახობ, — თქვა მას და სული მოითქვა, — და არა იმდენად ამისათვის, რომ ცოდი არ ძევდა, — ღმერთი იყოს მისი შემწე, ოფიცერთა ცოდების ცეკვით ვძლებოდი, — რამდენადაც იმიტომ, რომ არც ქალიშვილი, არც ვაჟი არ ძევდა და რაკი არავინ არა გვაეც საშრუნვავი, ესე იგი ცხოვობაც არაურიც მაქნისია. ცვიკ არხებობა. და აი უკლი სხვის ბავშვებს, ამისთანა ბუთხუზებს.

ბოლოს გადავწყვიტე და ვკითხე:

— როგორ მოხდით ბოგოოშია?

— ეს, ჩემი კეთილო, გრძელი ამბავია, მთელი ისტორიაა. რომ გითხრა, მაინც არ დაიჯერებ, რადაც ფანტასტიკური შემთხვევაა სიბერეში. კაცმა რომ თქვას, აქ სრულიად უბრალიდ მოვხვდი. გამეგონა მდინარე ლამაზი ხელის, ამ ადგილების სილამაზის ამბავი და გადავწყვიტე ჩემი სიცოცხლე აქ დამტერულებინა. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას წინ უძლოდა რაღაც საოცარი მოვლენა. დღემდე გაოგებული ვარ.

— რა ბოვლენა?

— სულწაული ხალხი ხარო! — იწყინა მოსუცმა, — მე დაწვრილებითი საუბარი მიყვარს, თქვენ კი უცებ დამტაკებით და არაფრიც არ გამოდის! არავითარი სულიერი სიმშევიდე არ გაგაჩნიათ.

— კარგი, პიოტრ სტეპანოვიჩ — დამნაშავესავით კუთხარი მე. — მეტად აღარ შეგაწყვეტილება.

— აი ეს კარგია! მოხდა რევოლუცია. მე კი იმ დროს გადამდგარი ვიყავი და ქალიასისში, ვცხოვრობდი. ჰოდა, გასაგებია, პენსია დაკარგება, პაკონებიც ჩაძირებები, ამაძრეს გერბიანი ღილები, სამოქალაქო პალტო კი ვერ ვიძოვე. ვერ შევძელი, და შივხვდი, რომ კალიაზინიდან ისეთ ადგილებში უნდა გადაეხვეშილებავი, ხალაც არავინ მიცნობდა. კალიაზინში კი ისე ვიყავი, როგორც გაშლილ მაღლობები, ძივხვდი, ხალხში უნდა გაფუნინდებულები. ჰოდა, ხად შეიძლება იფოს შეტი ხალხმრავლობა, ვიდრე მოსკოვში? და ამ მოსკოვს ჩავედი, პეტროვების პარეში მოხუც ქვრივ დედაქაცთა ერთი პატარა კუთხე დავიქირავე. პენსიიდან სულ ცოტადა დამრა. ვცდილობდი მხოლოდ საჭმლისათვის გამომეზოგებინა, მოსუცი დედაქაცი, ჩემი დიასახლისი, ჩანს, ავადმყოფიბისაგა იყო გათქვირებული, გულის შანკი ჰქონდა. კეთილი ქალი იყო საწყალი, ქალიშვილიც მასთან ცხოვრობდა, კოტკაშირელი. იგი თითქმის კერც კი შამჩხევდა. ვერ გამიგია, მართლაც ვერ მამჩხევდა, თუ თავს შაჩქენებდა. მე კი, სიმართლე გითხრათ, ყოველთვის დაშტობი ვიყავი, განსაკუთრებით იმ დროს, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩემს იმდროინდელ საჩიორიო მდგომარეობას. ჩემისთანებს ერთადერთი ლოზუნგი გვქონდა: იჯემი წენარად და თუ მაინცდამაინც საჭირო არ არის, სორიდან ცხვირს უკავშიროვ. მეფის არმამ თავისი უდღით ხალხს კინძრი გადაუყვდითა. მე ეს ყოველთვის მესმოდა. ცხოვრებაში კი კველაფრისათვის მოგიხდება პასუხის გება. თქვენ ნერ გეცინებათ, მაგრამ ყაზირი მარტინების კახონისა.

დიახ, დარიბულად ვცხოვრობდი. უფრო დარიბულს ვერც კი წარმოიდგენ, სანამ მოლოს სულ არ გამიტავდა უკანასკნელი მანეთი. სიკვდილი არავის არ უნ-

და ისიც დიასახლისის წინაშე, სირცხვილია. ორი დამე არ მოძინის, ზედ
განს. საბაძი — დავით კლდიაშვილზე შექმნილიყო ერთგვარი აზრი, რომ უგი/
ქართული ხალხოსნური ლიტერატურის გავლენით წერდათ. წინამდებარებული შემთხვევა
წარმოდგენილია ხალხოსნობის ხასიათი, მიხი მთავარი მიღრევილებანი ჭარბი შეკვეთზე
უკრი ეს დაბირისპირებულია დავით კლდიაშვილის მოთხრობების გარევაულ
ციელს, მწერალს არ ჰქონია უტოპიური შეხედულებანი, არც რამეს. ან ვინეს გა-
იღვალების ინტერესია გამომედავნებული მწერლისაგან გლეხის ხახის დახატვისას.
დასკვნის მიხედვით, დავით კლდიაშვილი გლეხეაცობის ციელის თხზულებებში
სოციალური მოთხრობის იმ ტრადიციას მისდევს, რომლის სათავეში იღია ჭავ-
ჭავაძე დვას, ოლონდ დავით კლდიაშვილმა ამ თხზულებებით ქართული მოთხრო-
ბის ჭარბობრივი შესაძლებლობანი გააფართოვა და გააძლიერა.

წიგნის ერთი თავი (თავი მეოთხე, გვ. 116-165) შემოდგომის აზნაურთა სევ-
დიანი და გამწარებული ვითარების თემას განეკუთვნება, სადაც ცრემლიანი სი-
ცილის, სიცილნარევა ცრემლის ანუ ტრაგიულის, დრამატულის და კომიკურის
ირკვეულივა გაშლილი მსჯელობა. ამ ნაწილში აზნაურობის გენეზის და არსია
წარმოდგენილი. კერძოდ, ქართული აზნაურობის ისტორია, აზნაურობის ადგილი
ჩვენს კვეყნის წარსულში, მისი უკინომიური საფუძვლები და შესაძლებლობანი,
როგორც თემა დავით კლდიაშვილის მოთხრობების „გარევაული ციელისა. როგორ
აფასებდა ქართული ლიტერატურული კრიტიკა ამ თემას, როგორ ესმოდათ ამ
თემის უუნქცა დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში ლიტერატურული კრიტიკის
წარმომადგენლებს და წარმმართველებს, ტერმინის „შემოდგომის აზნაურის“ გა-
ჩენა, მისი სოციალური და ეკონომიკური შინაარსი, აზნაურთა მატერიალური
ყოფის დრამა, დავით კლდიაშვილის დამოკიდებულება აზნაურებთან, ქართული
სათეატრო ხელოვნების კავშირი მწერლის შემოქმედებასთან და სხვ.

წინამდებარე წიგნი ლიტერატურის თეორიის მრავალ საკითხს ეხება. დავით
კლდიაშვილის შემოქმედების მიხედვით დახასიათებულა მოთხრობა, სიუჟეტი,
ჟანრი, დიალოგი, შინაგანი მონოლოგი, მხატვრული დრო, სათაური, ირონია,
დრამა, კომედია, ტაბი და სხვ. მწერლის შემოქმედება მდიდარ და, ამასთან, შე-
სანიშვნებ მასალის იძლევა ყველა ამ ელემენტის დახახასიათებლად და საიდუს-
ტრაციოდ. მკვლევარიც არ იღლება საინტერესო მუნიკების ჩვენებით, რაც მის
ნაშრომში მიმზიდველობას აძლევს, ხოლო ამ მინებებშია გამოშეღავნებული. ლი-
ტერატურული მასალის კარგი, საფუძვლიანი ხედვა და მსჯელობის ასევე საინტე-
რესო გზები და ხერხები.

„შემოდგომის აზნაურთა“ რკალის მოთხრობების განხილვისას (თავი მეხუ-
თვე, გვ. 166-202) წიგნში წარმოდგენილია ექსკურსი ქართულ ლიტერატურაშია
უნივერსიტეტის სახახვა-განვითარების ჩვენების თვალსაზრისით. ამისათვის მოხმობილია
რესუელი ლიტერატურის ცრაქტიკა, საიდნაც უხვადა ამოკრეფილი პარალელები,
რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში უფრო მკაფიონი და თანხვდენილი
ხდებიან. ამიტომა, რომ დავით კლდიაშვილის მოთხრობების თვისებების ჩვენე-
ბისას ხშარად მოისმის სახელები ჩეხოვისა, კუპრინისა, გორგისა, ბუნინისა, გა-
რშინისა და სხვათა.

„წიგნში დავით კლდიაშვილის თხზულებები განხილულია რკალებად: გლეხ-
გაცური, შემოღვომის აზნაურებისა და სხვ, რადგან ასეთი დაჯგუფება საჭიროა
მოთხრობათა ფანრობრივი დახასიათებისათვის. სიუჟეტის სიმბაზურე, მისი აგების
გზები და ხერხები ამ რკალების მიხედვით სხვადასხვაა. მწერლის მოთხრობები
გზები და ხერხები არ რკალების მიხედვით სხვადასხვაა. მწერლის მოთხრობები

ანტებულებური შინაარსის მქონე ნაწარმოებები ანუ „უცნაური ამბები“ (მაგ. დაბადებას დაწერები“).

„ წიგნში გამდილია მსჯელობა მოგზაურობათა შესახებ, რისთვის მცირებულები ლიტერატურული ნიმუშია მოხმობილი (აგრეთვე სხვათაგან გამოთქმული ნიკარენებიც). რაც მთავარია, ეს მოგზაურობა, აქეთ-იქით სიარული ბევრ თხზულებაში აქვთ აღწერილი მწერლას. მისი პერსონაჟები დადანაც ცხენით, ჯორით, ფეხით, ხშირად ცხენი გარეგნული მოჩვენებითობისათვისაა გამოყენებული.

წოგნს გასდევს მწერლის ობიექტივისტურად ხედის მანერის დახასიათება, მწერლის ლირიზმის რაობის ახსნა, ჩვენება ადამიანებთან მწერლის სევდიანი და გრძელი მიმართებისა, იმ ადამიანებთან, რომელნაც მწერლის მხედველობის არეში არსებობენ, შრომობენ, წვალობენ, დადანაც (ან დაწანწალებენ) სოფლიდან სოფლში, იტანჯებაან, წელებზე ფეხს იდგამენ, რაგინდარა ხერს არ მიმართავნ. გუმწარეულ-გაწვალებული არსებობის შესანარჩუნებლად.

დავთ კლდიაშვილის პერსონაჟებს არ სცალიათ დაიჩივლონ. მარტობა, რაც, მაგალითად, ჩეხოვის გმირებს შეუძლიათ. ქართველი მწერლის ადამიანებს დრო პრა აქვთ მოწვენილობისათვის, მარტობისათვის და, მთი უფრო, ოცნებისათვის, რაც ჩვარილ-მემულეური სოფლის განუმეორებელი სურნელი იზიდავს მათ. როგორც, მაგალითად, ბუნინის პერსონაჟებს. ქართველი მწერლის გმირების იმედი შეჭრებილია, რაღან ეს იმედი სუსტია ცხოვრების სისასტიკესთან. შეუარცებით, ამისი მაგალითები მწერლის შემოქმედებაში ბევრია და ამ წიგნშიც ხაქმათ სიუხვით არის წარმოდგენილი.

ალხანიშვილია წიგნის, ზოგიერთ ნაწილთა სათაურად დავთ კლდიაშვილის ურანშის გამოტანა, მაგ: „მე შემიძრალა ვინმემ?“, «მათია ყველაფერი», „აქვს რამე?“ და სხვ., რომლებიც კონკრეტულ პირთა აზრის გამომხატველია, მაგრაც მწერლის მოთხოვნათა ძლიერ ბევრი პერსონაჟის აზრთა მამოძრავებელია.

„ წიგნის მცვადე თავი (გვ. 238-288) ხასიათების რეკვესას ეძღვნება. „ხასიათების ხელისათვის ახანკა“ (მწერლის თეზისია, ამოღებული მისი წერილიდან აღვესანდრე ფანძევის მიმართ (მიწერილი 1884 წელს). ამ თავში ავტორი არ ქმარიფილება და არც იმეორებს ქართულ ლიტერატურის ცურდების ნაცად ხერს – წერლის შემოქმედების სოციოლიგიურ კვლევას. მას მწერალი აინტერესებს დატერატურულ-ისტორიული და მხატვრული ოსტატობის ჩვენების თვალსაზრისით. აქ ხდება მწერლის თეზისის რეალიზაცია მისივე შემოქმედების მიმართ.

დავთ კლდიაშვილის პერსონაჟები კონკრეტულ-ისტორიული ვითარების პროცესებით არიან, მაგრამ ისინი დროსთან ერთად არ გამქრალან. ეს კი ნიშანია მწერლისაგან მათი ამაღლებისა, წარმოშობის დროისა და პირიბების ძალლა დაყენებისა. მართალია, მწერალმა გაღარიბებული აზნაურობის თემა დაამუშავა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა დამაბრკოლებელი საბაბი, რომ ბეკინა, პლატონი, დარისანი, ქამუშაძე, უკვიარინე და სხვანი არ დარჩენილიყვნენ სიცოცხლისუარიანებად, რომ დღესაც არ გვაჩვენებდნენ იმ მისწრაფებებს, რომელთა გამოხატვა მათ დააკისრა შემოქმედმა. ეს ყველაფერი მოხდა იმიტომ, რომ მწერალი დაეუფლა ხასიათების შექმნის ხელოვნებას, რისთვისაც მისგან გამოყენებული იქნა მრავალი საშუალება პერსონაჟის შენებისა, „წვრილმანების“ შემწნევისა, უკვდავი ცხოვრებისეული ნიშანთვისებების აღნუსხვისა. ეს წვრილმანები დავთ კლდიაშვილს აიცემდა, როცა ბაღზაკის წერის მანერას წარმოიღებდა, წარმოიღებდა მათი შემჩვევის უნარსა და ოსტატობას, მათ მხატვრულ ნაწარმოებში გადატანისა და გამოყენების შესაძლებლობას. წიგნში მოტანალია ნიმუშები მწერლისაგან დე-

ტალების შემჩნევისა, მაგრამ, მთავარი ისაა, რომ მწერლის კურადღების სფეროში
მოქცეული დეტალი დასამახსოვრებელია, აუცილებელი ნაწილია ხატისა, რომე-
ლიც სრულიად თამამად ცვლის საგანს თუ ადამიანს. ყოფითი, საგნობრძოში, უფრო და
ქოლოგიური, პორტრეტული, პეიზაჟური დეტალები რეალისტური სახის აუთიკუ-
რებია, სოციალური თუ ფსიქოლოგიური ხასიათისა, ცხოვრების ცხოვრების
ტებია, სოციალური თუ ფსიქოლოგიური ხასიათისა, ცხოვრების ცხოვრების
ტები მოცემისა. აღსანიშნავი ისაა, რომ მწერლისაგან გამოყენებული ელემენ-
ტები თავისი რანგით უტოლდებიან ბალზაკის, ტოლსტოის, გოგოლის და სხვების
მანერას. ქართველი მწერლის სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპელ და
რუს მწერალთაგან განსხვავებით, ამ მაღალი რანგისათვის ქართული, პერძოლ
ზემოიძერული, უფრო კერძოდ, სიმონეთური მასალა აქვს გამოყენებული და ეს
„პროვინციული“ ელემენტი ქმნის მაღალ მწერლობას.

დავით კლდიაშვილის შემოქმედების ამ ავტორისეული ანალიზი სიამაყის
გრძნობას იწვევს, რადგან მწერალი ქართველია და მისი შემოქმედებაც წმინდა
ეროვნული ხასიათისაა, თუმცა თავისი მიზნებით და მიღწევებით დიდ სიმაღლე-
ებთან შესათანასწორებელია. ამაშია დავით კლდიაშვილის უპვდავება და ესაა
მიზეზი, აღბათ, რომ გერმანელებს, რომლებიც ევროპელთა შორის ნაკლებ ემო-
ციურნი არიან, „სამანშვილის დედინაცვალი“, გასცენიურებული, აღელვებს. და
არა მარტო გერმანელები, ბეკინას, პლატონს, კირილებს და საბრალო ელენეს,
რომელმაც პლატონს რაყიფი მოუვლინა, თავდავიწყებული ოვაციით ხვდებოდნენ.
ქართველმა მწერალმა რომ არაქართველს თავისი პერსონაჟის ხასიათი გააგვინა
და განაცდევინა, ეს ისეთი მდგომარეობაა. როგორც ქართველისაგან პამლეტის
ტრაგედიის ორგანული განცდა.

მოკლე, ლაკონური დასკვნა (გვ. 321-322) ამთავრებს ამ საინტერესო წიგნს,
რომელსაც მკითხველი შეპივს დავით კლდიაშვილის, ამ შესანიშნავი ქართველი
მწერლის, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის დამამთავრებელი ეტაპის
წარმომადგენლის, რეალური ვითარების ამსახველის და თავისი მშობლიური ხალ-
ხის გულატკივებული მოსიყვარულის მხატვრულ წარმოსახვათა სამყაროში.



ილია ჭავჭავაძე ეპროპაში

(გიოგრაფიული ქრინიკა)

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის საკითხები არაერთი მცვლევარის ნაშრომსა თუ თანამედროვეთა მოღონებებში არის აღმრული და გაშექმნებული. მაგრამ მაინც არის ზოგიერთი მხარე, რომელიც საკმარისი სისწოდელით დღვემდე არ არის გამოკვეთილი. ეს ეხება, განსაკუთრებით, მწერლის სიცოცხლის ბოლო პერიოდს, კერძოდ, ეკრონაში 1900 წელს ილია ჭავჭავაძის სამკურნალოდ ყოფნასა და მოგზაურობას.

ილია ჭავჭავაძეს ჯანმრთელობის სერიოზული შერყვევა ჯერ კიდევ 1891 წლის წელს გამოიჩნდა. სათავადაზნაურო ბანკის საქმეებზე მყოფი ილია 1891 წლის 3 ივნისს პეტერბურგიდან წერდა გიორგი თარხნიშვილს: „ჩემი ჯანმრთელობა სერიოზულად მომლილი აღმოჩნდა. ზახარიანმა დაასკვნა, რომ ღვიძლში დამწეულია ქვის დალვება, მომტა რჩება, თუ როგორ და რით ვიმკურნალო, თანაც აუცილებლად ჩახთვალა ვამყოფებოდე ექიმის მეთავალფურების ქვეშ, რათა მან ავადმყოფობის შემდგომ მსვლელობას თვალი აღვნის; ამასთან ვამაფრთხილა, რომ ღმერთი ავადმყოფობა სერიოზულია და გართულებულია მეორე უფრო სერიოზული ავადმყოფობა, რომელსაც ღათისურად დაბეჭირ ეწოდება. მან მიჩნია მივიწვიო ავადმყოფობა, რომელსაც მსვლელობის სამეთვალფურეოდ ექიმი ტრუბაჩიოვი, რომელსაც ჩემი ავადმყოფობის მსვლელობის სამეთვალფურეოდ ექიმი ტრუბაჩიოვი, რომელსაც – „მე, – თქვა ზახარიანმა, – კველაზე მეტად კვენობი პეტერბურგში“. ეს ტრუბაჩიოვი, თურქე, მომავალი მნათობია სამედიცინო მსოფლიოში. ეხდა მე ვამყოფები ა ამ ტრუბაჩიოვის მეთავალფურების ქვეშ, რომელიც მეტად თავაზიანი და უები ა ამ ტრუბაჩიოვის მეთავალფურების ქვეშ, რომელიც მეტად თავაზიანი და ეურადლებიანა აღამიანია. ხვალ დანიშნულია კონსილიუმი. ვნახოთ ხვალ დმერთი რას მოვალეობა. სახტიკ ღია ტანაზედ მამყოფებენ; სიარულს არათუ მიშლიან, არამედ მავალდებულებენ კიდეც, როდესაც კი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა“.*

მეტობა, ილია ჭავჭავაძე, გარდა ბანკის საქმეების მოგვარებისა, მკურნალობის მიზნით პეტერბურგში სამ თვეზე მეტ ხანს დაჩიხებილა, რაღაც გაზრდა „ივერიას“ 1891 წლის 168-208 ნოტებია გრიგოლ ყიფშიძის დროებითი რედაქტორობით გამოსულა, ილია კი „ივერიას“ მხოლოდ 1891 წლის 3 ოქტომბრიდან (№ 209) აწერს ხელს (ამ პერიოდში ილიას პეტერბურგში ყოფნის შესახებ ცნობები ის. აგრეთვა, „ივერია“, 1891, № 147, № 201).

ამის შემდეგ პრესაში ილია ჭავჭავაძის ავადმყოფობის შესახებ ცნობები კვლავ გამოიჩნდა 1900 წელს. „ცნობის ფურცელი“ 1900 წლის 15 მაისს (№ 1125) აუწყებდა მყითხველს: „ეს ორი კვირაა თავ. ილია ჭავჭავაძე ავად არის. ეხლა თუმცა უად შეიქმნა, მაგრამ როგორც გადმოვცეც, ექიმებმა აუკრძალეს მუშაობა და ურჩიეს რამდენიმე თვით სოფლად წასვლა და დასვენება“.

* ილია ჭავჭავაძე, ტ. X, პ. ინგოროვას ჩედაქტორობით, თბ., 1961, გვ. 134 (ჩე-სული დღისანი ის. ივნ, გვ. 452).

მართლაც, ილიას ფურად ულია ექიმების რჩევა და საგურამოში წასულა/ზა-
სახენებლად, მაგრამ მალე იმავე „ცნობის ფურცელში“ 1900 წლის 31 მაისს
(№ 1139) გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში კაითხულობთ: „გუშინ-წინ ტელეგრ-
აფის გავრცელდა სამწუხარო ხმა, რომ თავ. ილია ჭავჭავაძე, რომელიც სა-
ექიმების რჩევით, სოფელ საგურამოშია, ძალიან ცუდად შეიქმნაო. საგურამის მა-
შინვე წაიღინენ ექიმები და ბევრი პატივისმცემელი იღიასი. გუშინ საგურამოდან
ცნობა მოვიდა, რომ ილია ისევ კარგად შექმნილა. ექიმები საზღვარგარეთ ურჩე-
ვენ მას წასვლას“, ან კიდევ: „გუშინ თავ. ილია ჭავჭავაძესთან მიწვეული იყო ცნო-
ბილი პროფესორი—ექიმი ვაგნერი. თ. ილია ჭავჭავაძე ახლა უკეთ არის“ („ცნო-
ბის ფურცელი“, 1900 წლის 3 ივნისი, № 1142) და ისევ: „პროფ. ვაგნერმა არ
სცნო სამძიმოდ თ. ილია ჭავჭავაძეს ავადმყოფობა, მაგრამ ურჩა დასვენება და
საზღვარგარეთ, ვისბადენში, წასვლა საექიმოდ“ („ცნობის ფურცელი“, 1900 წლის
6 ივნისი, № 1143). ქართველი საზოგადოება რომ შემფოთებით აღვენებდა თვალს
იღიას ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამას მოწოდეს „გვალში“ გამოქვეყნებული
ცნობაც: „ეს კარგ ხანია ავათ იმყოფება თ. ი. ჭავჭავაძე და, თუმცა, ექიმების
სიტყვით, საშიში არა აქვს-რა, მაგრამ მაინც საზღვარგარეთ ურჩევიათ წასვლა
და იქ მორჩენა. როგორც გავიგეთ, ამ ახლო ხანში კიდევაც აპირებს გამგზავრებას
გერმანიაში: უსურვებთ სრულიად გაჯანსაღებული აღრე დაბრუნებულიყოს სამ-
შობლოში“ („კვალი“, 1900. 11.VI, № 24, გვ. 375).

ეტყობა, პროფ. ვაგნერის რჩევამ გაჭრა და იღიას გადაუწყვეტია საზღვარ-
გარეთ წასვლა. 1900 წლის 20 ივნისს იღია ჭავჭავაძე უკვე თბილისიდან გამგ-
ზავრებულა: „დღეს, საღამოს მატარებლით ტყილისიდან მიდის ბათუმს და იქე-
ნა საზღვარგარეთ თავ. იღია ჭავჭავაძე. თავ. ჭავჭავაძე ექიმიბას დაიწყებს ბე-
დან რღიანში და შემდეგ წყლებზე წავა ვისბადენში“ (იხ. „ცნობის ფურცელი“, 1900.
20.VI, № 1157). ამასვე ატყობინებდა მკითხველს „კვალი“ 25 ივნისს: „თ-და ი.
ჭავჭავაძე უკვე გაემგზავრა საზღვარგარეთ. პირველდა მივა ბერლინში და მერე
ჭავჭავაძე უკვე გაემგზავრა საზღვარგარეთ. პირველდა მივა ბერლინში და მერე
წყლებზე წავა ვისბადენში. „ივერიის“ დროებით რედაქტორად წარდგნილია
ბ. კ. სულხანიშვილი“ (იხ. „კვალი“, 1900. 25.VI, № 26, გვ. 410).

მართლაც, „ივერიის“ 1900 წლის 25 ივნისიდან 12 ნოემბრამდე (№№ 136-
248) დროებით რედაქტორად ვ. ა. სულხანიშვილი აწერს ხელს, ხოლო იმავე
წლის 14 ნოემბრიდან (№ 249) კი, უკვე, იღია ჭავჭავაძე. თითქოს უნდა გვი-
ვარაუდა, რომ მთელი ამ ხნის კანისაღლობაში იღია საზღვარგარეთ იმყოფებოდა,
მაგრამ, „ცნობის ფურცელში“ 1900 წლის 16 სექტემბერს (№ 1240) ვკითხუ-
ლობთ: „გუშინ, საღამოთი, 15 სექტემბერს, საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა ტფი-
ლისში იღია ჭავჭავაძე“, ხოლო თუ იმავე გაზეთში 1900 წლის 2 ივნისს (№ 1163)
გამოქვეყნებულ ცნობას („ბერლინიდან მოვიდა სასამოვნო დეპეშა თ. იღია
ჭავჭავაძისაგან, რომ ის ბერლინშია პროფესორ ლეიიდენთან და კარგად არის“) ჭავჭავაძისაგან, რომ ის ბერლინშია პროფესორ ლეიიდენთან და კარგად არის“ (იხ. „კვალი“, 1900. 15.X, № 42, გვ. 664). მაგრამ იღიას, ეტყობა, გაუთვალისწინებია კარლსბადელი ექიმის რჩევა სამშობლოში დაბრუნე-
ბისას „საქართველოშიაც სოფლად უნდა წახვიდე სადმე კარგს პარში და ერთი-
ორი თვე უზრუნველად, უდარღელად და უწყინარად იცხოვოთ და მერე შეგაძლი-
ან ქალაქშიაც ჩახვიდე და შენს საქმეს მოვკიდო ხელით. თუ გინდა, რომ ჯანსა-
დად იყო და შენი სნეულება აღარ დაგიბრუნდეს, ასე უნდა მოიქცეო“ (იხ. ქვემოთ

ლილის წერილი 6. ცხვედაძისადგი). ასე რომ, თბილისში 1900 წლის 15 სექტემბრის დაბრუნებულ ილიას მაშინვე კი არ განუახლება „ივერიის“ ოფიციალურობა, არამედ „ერთო-ორი თვე სოფლად წასულა“ და ძხოლოდ 14 ნოემბრის მიზნურია მიმდინარეობა (იბ. № 249).

რა ვიცით ჩვენ იღია ჭავჭავაძის საზღვარგარეთ აშ დროს ყოფნის შესახებ? თითქმის არავერთი! ვიცით, მხოლოდ რომ ბერლინში იგი მკურნალობდა პროფ. ლეილენთან და თითქოს ვისბადენის წყლების ნაცვლად, ლეილენის რჩევით, წასულა კარლსბადში. ესაა და ეს! ამას უნდა დაუკავშიროთ არტურ ლაისტის მოგონქის ერთი აღვილიც: „1900 წლის ივნისში საგურამოში იღიას გულის ხუთვა (ასტმა) მოსდიოდა, რომელის შემდეგ დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეპტერინე დაფინებათ უნიკვდენს ბერლინში წასვლას პროფესორ ლეილენთან, როგორც ვართაკის მეცნიერების ერთ მანათობელთან. ბერლინიდან იღია საღათ დაბრუნდა, მაგრამ არ ახრულებდა იმ რეკომ. რომელიც პროფესორ ლეილენმა დაუნიშნა, და ორი-სამი წლის შემდეგ იღიას ჯანმრთელობას უარესობა დაეტყო. სიბერიისაგან განკურნება იღიას შეუძლებლად მიაჩნდა და ხშირათ იმეორებდა შოთა რუსთველის სიტკებს, რომ სიბერე უკარნებელი ჭირიათ“, ან კიდევ: „1900 წელს, როცა იღიამ ვერმანა და ავსტრია მოიარა, იგი დიდის ცნობისმოგვარეობით ათვალიერებდა და უკარლებოდა გერმანელების ცხოვრებასა და კულტურას, მათი ყოველი წერილმანი იქცვდა მის ფურალებას. მაგრამ დვიძლი სამშობლო, საქართველო, მაინც ძღვიერ ინიდავდა თავისეკნ. უცხოეთიდან დაბრუნებული იღია როცა ტუფლის მოქაბლოვდა, ისე მოხიბლულ იქმნა საყვარელ ქალაქის ხილვით, რომ თვალებზე ცრუმლები მოადგა. ამას განსვენებული იღია სრულიად მოურიდებლად მიამშობდა ჰოლმე და თანაც დასძენდა.“

— ქართველობაშიაც გამოიცდია ნადველი სამშობლოს მოშორებით, მაგრამ ისე ძლიერ არა, როგორც ეჭვა, მოუკეცებულობის დროსაც.

თოთქმას ყოვლად შემატეს, მშენიერი უცხოეთი მას ვერ იზიდავდა“**

ილია ჭავჭავაძის საზღვარგარეთ ყოფნის შესახებ სანტიტერესო ცნობების შემცველია აკრეთე ბერლინიდან და კარლსბადიდან გამოვზავნილი ილიას ორი წერილი ნაკრ ცხვედაძისადმი.

1900 წლის 14 ივნისს იღაა ბერლინიდან იწერებოდა: „მმაო ნიკო! აღსრულდა შენი მეგობრული სურვილი და ეს თითქმის მესამე კვირაა, რაც ბერლინში ვარ დამდენან. მე რომ აქ ბერლინში მოვედი, დათიკო ხარაჯოვი აქ არ იყო, ხამს თუ თიბ დღეს შეძლევ მოვიდა. ლეიდენის კლინიკაში მომზადებული ოთხხები დამხედა და პირველ დღესვე იმ კლინიკაში დავბინავდით. ეკატერინე ივანოვნას (დ. ხარაჯოშვილის მეუღლე, გ. შ.) მაღლობას ვუძღვით, რომ მისის მეოთხებით აქ კველანი დაიდის პატივისცემით დაგვხვდენენ. ვითოონ ლეიდენიც დაიდის ფურალ-ზებათ ვაჟეცვა. ლეიდენს ჩემის სხეულების მიზეზი აოცებს. არავათარი ზიანი არა ვაჭვსთ. გული და მაჯა საღის და ჯანმრთელი კაცისა გაქვსთ და რისგან მოვდის ეს გალის ხუთვა და სულის შეგუბება, ვერ ვამიგააო. ამიტომ, პირველ დღიდანვე დღეს აქმომდე გალის ფურს მაღვენებს, რომ მიზეზი შეიტყოს. მე, როგორც უკანასკნელ ხანებში ვიყავი მანდ, თითქმის ისე ისე ვარ. სხვანი — კი მარწმუნებენ, რომ სახით, გარეგნობით, ძალიან მოკვეთდით. მგრინა, ამ ერთი კვარის შემდევ, ესე იგი 25-ს ამ თვეს, ი ქნება კარლ ბადში გამისარტუ მრთ და ლეიდენში მარწმუნებს, რომ, ასე იქნება თუ ისე, საღსაღამა-

* ଅନ୍ତର୍ମାର ଲ୍ୟାବସରୀ, ସାହ୍ୟାରତ୍ୱେଲ୍ଲଙ୍କ ଗୁଣ୍ଠ, ପ୍ରେ, 1923, ପୃଷ୍ଠ. 31, 35; ଶଳ. ମେନର୍ଜ ଗୋଟିଏମା, ପ୍ରକାଶକାଳୀନଶ୍ଵେତିଲ୍ଲଙ୍କ ନ୍ଯୂର୍, ପଦ., 1963, ପୃଷ୍ଠ. 41, 44.

თად გავისტუმრებ შინაო, ღმერთმა ჰქმნას! სიარულს მიშლის, დღეში ერთი ხა-
ათის მეტს ნუ ივლით, ისიც ორგზობით, ნახვარა-ნახვარ საათით. გუშან მი-
მითხრა, დღეში ორჯერ ქვევით ეტაჟიდამ მეოთხე ეტაჟში ადი ხოლმე, ერთი და-
ლით, ერთი საღამოთით. არაფერს წამალს არ მასმევს, ლიმონის წვერი მდებ-
ლი დღეში სამ სტაკანს მასმევს. ოძე აძიგობალა. მეც ვსვამ ამ ლიმონის წვერს და
ქვევიდამ ზემო ეტაჟები დავდივარ...“*

მეორე წერილი ილიას ნიკო ცხევედაძისთვის უკვე 1900 წლის 19 აგვისტოს
კარლსბადიდამ მოუწერია: „მმათ ნიკო! კაცო ვარა აა ლავაზება იქ-ქა, რომ
ერთი-ორის კალების შრეს ითაციონი არ გამიკითხე. მე ბეკლინიდამ წაგნი მოუტერე და
შენ პასუხიც არ მაღირხე. მე ეხლა ევროპიელი ვარ და ამისთანა ქართულობა
შენი ვერაფრად მეჭაშნიკება. ერთი გაახარე დათიკო სარაჯოვი, რომ მე-ასე რაღე
გავევროპიელდი და ამას იქით თავისის ევროპიელობით აბეზარს ვერ მოშევანს
და ნიშნს ვერ მომიგებს.

ეხლა ჩვენი ამბავი. მე აა უკანასკნელ ხანებში ძალიან ცუდად შევიქწნი და
ჩემმა ასეთმა მდგომარეობამ კარგა ჩამაფიქრიანა. ამიტყდა საშინელი ქშენა, ხე-
ლისა და ფეხის განძრევაზე ისე მიგუბდებოდა სული, რომ არ ვიცოდი რა მექნა.
ერთი ორი ნაბიჯი რომ გადამეღვა, სუნთქვა ისე შემეცროდა, რომ ვეღარ ვლაპა-
რაკობდი, რადგანაც სულს ვერ ვაძრუნდდი. შეეჩილდე ჩემი ასეთი წახლვნა ჩემს
მკურნალს, რომელიც თვითონ ლეიიდენმა ამირჩა. შემიწუხდა თვითონ მკურნალიც
და ბოლოს მითხრა: მიზეზი არ მესმისო, უსათუოდ პაპიროზის ბრალია და ოქვენს
თავს აქედამ უნდა უშველოთო. თუ პაპიროზე ხელს აიღებთ, ხომ აა კარგი, თუ
არა და ისევ ის სჯობია წამლობას თავი დაანებოთ, ტყუილი ხარჯი და შოცლე-
ნაათ. პატიოსანი სიტყვა ჩამომართვა, მერე ასეთის ხვეწით და მუდარით, რომ
კინაღად გული ამომიყდა. ვთქვი ჩემს გულში: ნეტა ამას რა სჯის, რომ ასეთის სიუ-
გარულით მეხვეწება და მემულარება-მეოქი. სხვა გზა არ იყო, პატიოსანი სიტყვა
მივეცი და მას დღეს აქეთ პაპიროზის გემი აღარ ვიცი. არ გამოსულა სამი თიბი
დღე მას შემდევ, რომ ლაზათიანად მოვკლინდი და ეხლა ისე კარგად ვარ,
როგორც დასწულებამდე ვიყავი, თუ არ უკეთესად. დღეს 19 აგვისტოს (ჩვენებუ-
რად) მკურნალმა სიხარულით მანუელში: თუ ესე კარგად წავიდა შენა საქმეო, როს
(ჩვენებურად) სეკტემბერს კარლსბადიდამ გავისტუმრებ საღსაღამათადათ, და
მკითხა: საით აპირობ წასკლასო. მე ვუზხარი, პარიუში მივიდივარ და იქიდამ შინ
წავალ-მეტე. შეხტა და შემოტრიალდა ამაზე ჩემი ექიმბაში. კარლსბადიდან შენი
პარიუში წასვლა არას გზით არ შეიძლებათ. კარლსბადის წყლების შემდევ დიდი
შესვენება გინდათ. ერთი თვე მაინც ძალიან მშვიდობიან და მყუდრო ადგილიას
უნდა იცხოვროთ, რომ არც ხმაურობა, არც ურიამული, არც დიდი გაროვა, არც
არავითარი საქმე და არეულ-დარეულობა არ უნდა გაწუხებდეს. შენი პარიუში
წასვლა და ამოღენა დავაწლის ამაოდ ჩავლა ერთი იქნებათ. მე ვფიქრობ, ვა თუ
უფრო უარესად გახდე, ვიდრე ამას წინად იყავიო. პარიუში ყოველი ბიჯი სამაც-
დუროა, ყოველ ბიჯზე ახალი რამ სანახავია, ახალი რამ სასმენელია და იმოღენა
აუარებელს საგრძნოსა, სახილველსა და სასმენელსა დიდად ჯანმრთელი ჭარი
ძლიერს უძლებს და შენ ნაავაღმყოფარი და მერე ისეთი ნერვებაშლილი როგორც
შენა, როგორ გაუძლებ და აიტანო. არამც და არამც პარიუში არ წახვიდეთ, უა-
რესს საწამლავს შენი მოსისხლე მტერიც ვერ აგირჩევთ. დამინიშნა შევიცარია,
მე დიდი უარი უთხარი. მაშ თუ აგრეა, აქედამ ვენაზე გაიარე, იქ. ვენის მიღმა-
ებში ძალიან კარგი, მყუდრო და მივარდნილი ადგილებია, იქ ერთი-ორი კვირა

* ტ. X, თბ., 1961, გვ. 154-155.

კარგად შეისვენე, მოღონიერდა და ისე წადი საქართველოში. გზაზე სამგან მაძიც
შეისვენე თითო ღღეო. საქართველოშიაც სოფლად უნდა წახვიდე საფრენტოზე
პარში და ერთი ორი თვე უზრუნველად, უდარღელად და უწყინარად პასუხისმგებელი
და მერე შევიძლას ქალაქშიაც ჩახვიდე და შენს საქმეს მოპყიდო ხელით. თუ გა-
ნდა, რომ ჯანსაღი იყო და შენი სნეულება აღარ დაგიბრუნდეს, ასე უნდა მო-
ქვეო.

მეტი რა გზაა, — პარიუნშე ხელი ავადე. წარმოიღინე, პარიუნი თითქმის ცხვირ წინ არის და მე კი მისი უნახავი უნდა წამოვიდე. დარღუბალაც ამასა ჰქვან. მაგრამ რას იზამ? ამდენი ვაივაგლახი და წამლობა ვამოვიარე, ძლივს გა- მოვაჭდო და ფლება ეს პარიუნის ნახებს როგორ ვანაცვალ.

1900 წელს იღდა ჭავჭავაძის ეკროპაში ყოფნის შესახებ. ახალ საინტერესო მასალებს გვთვალისტოთ კ. გევარიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის იღდა ჭავჭავაძის პარად საარქივო ფონდში.

1900 წლის აღმართების დროიდან მათ საშუალებით ჩვენ უკვე პასპორტული სიზუსტით ვიგებთ, რომ იღლა და ოლღა ჭავჭამები 1900 წლის 26 ივნისს ყოფილან ვარ შავაში (გრიე-რებულან სახურავი, „ევროპის სკააში“), იმპერიის საზღვარი გადაუღისავ 1900 წლის 27 ივნისს აღექსანდროვ ში, ხოლო უკან დაბრუნებისას ვოლო-ნის კით გადმისულიან საზღვარზე 1900 წლის 10 სექტემბერს; ავსტრია-უნგრეთში სამოცხვაურო ბაჟი კა მათ წინასწარ ვადაუხდიათ თბილისში, ავსტრია-უნგრეთის თბილისის საკონსულოში 1900 წლის 3 ივნისს (პასპორტუბში 3 ივლისის მაგივრად 3 ივნისი უნდა ეწეროს!). ასე რომ, იღლა ჭავჭამებს თავის მეუღლესთან ერთად გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში დაუჭირა 1900 წლის 27 ივნისიდან 10 სექტემბრამდე. აქედან 27 ივნისიდან 2 სექტემბრამდე საკუთრივ გერმანიაში, ხოლო 2 სექტემბრიდან 10 სექტემბრამდე ავსტრია-უნგრეთში, რაღაც იღლა ნ. იუსტიციას წარიდა „ორს სექტემბერს გარღისაბადს გამოვეთოვებით“.

* օյցօ, 83. 156-158.

აგრეთვე, ევროპის პოლიტიკური ცხოვრებისადმი იღიასეული ინტერესებიც გაა-
ვითავალისწინება:

1. „პრუსიის ლანდტაგში კონსერვატორები და ნაციონალ-ლიბერალურობული-
მხრები ბისარკისა სულ 250 კაცია; კლერიკალები 100-მდე, თავისუმციქულებულ
რენი 43, პოლაგები 16 – სულ წინააღმდეგნი 160 კაცია.

საფრანგეთის პალატაში სულ 584 დეპუტატია, ძათ შორის კონსერვატივები 184“ (იხ. უბის წიგნაკი № 61, ფ. 3)...

იტალიის პარლამენტში სულ 508 დეპუტატია.

ბელგია: სულ 138 დეპუტატია, 97 კათოლიკე და 41 ლიბერალი“ (იხ. უბის წიგნაკი № 64, ფ. 1).

გერმანელი ერისა და გერმანული კულტურისადმი ინტერესი იღია ჰავეჭავა-
ძეს აღრე ახალგაზრდული წლებიდან მოსდევდა. ამ შერივ, საკმარისა დავასახე-
ლოთ შილერისა და ჰაინრიხ ილიასეული თაოგმანები, რომლებიც პოეტის კერ-
კიდვე ჰაბუკობის წლებშია შესრულებული, აგრეთვე, საყოველთაოდ ცნობილია
იღიას დამოკიდებულება გოეთეს პიროვნებისა და შემოქმედებისადმი. ამიტომ
იღიას ინტელექტი და სულიერი ინტერესები, ბუნებრივია, გერმანიაში ყოფისას
მარტო მკურნალობით ვერ დაკამაყოფილდებოდა. ამის გამო იყო, რომ იგი უნიონი
მკურნალობაში დაკარგულ დროს: „მარტო ამას ვწუხვარ, რომ ბევრი დრო არ მე-
ძლევა, — ერთი კარგად მოძებხოვიკნა აქაურობა... იმდენი დრო არ არის, რომ წა-
ხვიდე საღმე. ბერლინი ისეთი დიდია, რომ მინამ წახვალ და მოხვალ, ჰამის დროც
მოდის და ნახვისა და მოხსრევისათვის დრო აღარა პრჩხება. მაგრამ რაც აქმომ-
დე ვნახე, ისიც საკმარია, რომ ქართველმა კაცმა თავისი თავი ღვთისაგან დაწყვე-
ლილდე ჩასვალოს...“.

1900 წლის 14 ივნისს ბერლინიდან იღიას მიერ ნიკე ცხვედაძისადმი გა-
მოგზავნილი ამ წერილიდან, ჩვენ ასე თუ ისე მაინც ვიცოდით იღიას ბერლინუ-
რი შთაბეჭდილებანი, მაგრამ დღემდე სრულიად უცნობი იყო იღია ჰავეჭავაძის
დრეზდენში ყოფნისა და აქ სახელგანთქმული ცვინგერის მუზეუმის, ცხადია, უნ-
და ვიგულისხმოთ მის კომპლექსში შემავალი დრეზდენის გაღერეისა და აგრეთ-
ვე, იაპონური სასახლის (ახტიკური ხელოვნების მუზეუმის) დათვალიერების ამ-
ბავი.

იღიას თავის უბის წიგნაკი (№ 65) რესულად ჩაუწერია „Карлебад, Гартен Целле, Дрезден. Жили у Ильм на Сидониен-штрассе № 5 чт: 1) Лошвиц; 2) Санатория Ламана и Фаникерер; 3) Цвингер (музей); 4) Брюлише терассе; На набережной близ Цвингера дворцы; 5) Японский дворец. Линия с Лошвицем и Блатевицем: Прагер штрассе, Рейхенбахер и Вальдшлехсен. Шиллер штрассе-Театер плац“ (იხ. უბის წიგნაკი № 65, ფ. 3 კ), აგრეთვე ქართველად: „დრეზდენიდე 14 (ალბათ, გულდენი, ვ. მ.), „დრეზდენში სახიდღებში 28“ (№ 65, ფ. 2 კ).

არტურ ლაისტის „მოგონებებში“ ყრუდ იყო ნათევამი, რომ „1900 წელს, რო-
ცა იღიამ გერმანია და ავსტრია მოიარა...“, მაგრამ დოკუმენტურად იღიას ავს-
ტრიაში ყოფნის შესახებ ცოტა რამ (თუ არაფერი) ვიცოდით.

ახლა უკვე იღიას უბის წიგნაკიდან ვიგებთ მისი ვენაში ყოფნის შესახებაც.
იღიას გულდენებით უანგარიშია მგზავრობის ფასი: „აბრუსბადიდან ენამდე გუ-
ლდენი: თითო ბილეთი 11-50; ბარგისა – 25; ვენიდამ ვოლოხისგამდე სამი ბილე-
თი – 84; ბარგი – 49; ბარგის მიტანა- მოტანა და ჩვენი მისვლა-მოსვლა ვაგბ-
ლამდე – 10“, ხოლო შემდეგ უკვე მანეთებით ანგარიშმობს შინ დაბრუნვებას: „ვო-
ლონჩისკიდამ ვლადიკავკასამდე 81 1/2 მან; ბარგი – 49-52; ვლადიკავკასიდამ“

ქალაქამდე (ე. ი. თბილისამდე, გ. შ.) — 41 მან; ბარგი — 21^а (იხ. უბის № 65). ამას გარდა, ილიას ჩანაწერებში აქვე კვითხულობთ: Wiribys Wulfs ვენის ვენის ხიდზე ხევრია ნუსფორტში. Mariaxilfper-штрассе, Ротенбург-штрассе, Кернперштрассе. Banque des Pays Autrichien. Кентнерштрасе № 9 и 15 и Степен-Плац 2 (Cook и Sohn). Александр Дмитриевич Шедевер»; «От Парижа до Вены — 39, От Қарлбада до Парижа — 34; От Полволочиска до Вены — 27; От Петербурга до Тифлиса, от Петровска до Владикавказа — 23-70; От Петербурга до Волочиска — 17; От Петербурга до Варшавы — 13; От СПб — до Бержелова 11-16; От Москвы до Владикавказа 18.30; От Москвы до Волочиска — 15.4; От Москвы до Петровска — 19.50; От Варшавы до Баку 23; От Варшавы до Волочиска 17.70; От Варшавы до Владикавказа 21.60; От Вены проезд в Париж — 104; От Парижа до Петровска — 312; От Парижа до Владикавказа — 312».

როგორც ეხედავთ, ილია თურმე მართლაც ემზადებოდა პარიზში წახასვლელად და საამისოდ გზასაც ანგარიშობდა, მაგრამ როგორც ზემოთ უკვე ითქვა, კარლისბადელმა ექიმმა მას აუკრძალა მაშინ პარიზში წახასვლა ჯანმრთელობის მდგრადი გამო, თუმცა, როგორც ე. თაყაიშვილის „მოგონებანიდან“ ვიცით, ილიამ მანებ მაღა აისრულა გულის წადილი: 1901 წელს, როდესაც პარიზში მსოფლიო გამოფენა გაიმართა, ილია თავისი მეუღლისა და დის — ოლდა და კლისტერ (ლიზა) ჭავჭავაძების, აგრეთვე ელგუნ ჯაბადარის თანხლებით, პარიზს გაემგზავრა.

დღემდე მკვლევართა შეუნელებელი ინტერესისა და კვლევის საგანია ილია ჭავჭავაძის მიერ უცხრ ენების ცოდნა, ან უკეთ რომ ვთქვათ, რამდენად ფლობდა ილია ჭავჭავაძე ეკრობულ ენებს, კერძოდ, ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს. ეს ჩვენ გვჰქირდება, პირველ რიგში იღიას ეულ თარგმნისა დედნების დასაღვენად, ე. ი. ილიამ პირველწერილიან თარგმნა ეკრობული ღიტერატურის ესა თუ ის ძევლი, თუ ისინი რუსულ თარგმანთა მეშვეობით აქვს ქართულ ენაზე გადმოღვევდო.

ამ მხრივ, მეტად საკულისხმოა ილიას უბის წიგნაკში (№ 65) მის მიერ შეღვენილი და რუსული ტრანსკრიპციით (ხანდახან ქართულად და გერმანულადაც) საკუთარი ხელით ჩაწერილი, ასე დავარქვათ, „რუსულ-გერმანული სახაუბრო“ თუ „რუსულ-გერმანული ლექსიკონი“, რომელიც, ეტყობა, ყოველდღიურად სჭარდებოდა ილიას გერმანია-ავსტრიაში ყოფნის დროს. ამდენად, იგი ერთგვარად გვათვალისწინებს 900-იან წლებში ილია ჭავჭავაძის გერმანული ენის ცოდნის სურათსაც. მოგვავს ის დედნის მართლწერის დაცვით:

«В — нах (в Берлин — нах)
Вместе — цузамен
Все — Аллес
Выход — Аусганг
Вход — айнганг
Где — во
Готово — фертиг

Дличный — ланг
До — близ
Дверь — тюре
Довольно — генуг
Дорога — вег
Далеко — вайт
Дешевый — биллигес

^а ე. თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, 1. ილია ჭავჭავაძე, „ლიტ. მა-ტიანებ“, წეგნი VI, ნაკვ. I, თბილისი, 1952, გვ. 14.



Ждать — вартси	Откуда — фонво
Забыть — фергесен	От — фон
Замок — шлосс	Отъезд — абфарт
Звать — руфен	Обед — Мит(т)ат
Если — вани	Оставаться — блайлен
Есть — эссен	Остановка — Aufenthalt der
Идти — геен	Verzug
Курица — huhn	Таможня — Цоллям (т)
Куропатка — Rebhuhn	Теплая вода — вармес
Кровать — бетт	Тихо — нихтзошнель
Куда — вонхи	Теперь — Иету(г)
Когда — ван	Тяжелый — Швер
Кондуктор — шафиер	Сухло — тух
Который — вельхер	Сегодня — Эсօֆյ(!)
Много — филь	Сапожник — шумахер
Мыться — вашен	Прислать — цушинен
Принять — энтгеген(н)еэмэн	Потом — нахдер
Пора — ди цайт	Полотно — Лайнванд
Показывать — цайген	Разбудить — векен
Правый — рехтс	Рано — фри
Прачка — вешерии	Рябчик —
Перенести — ибертраген	Понедельник — Монтаг
Пересадка — умштайген	Среда — Митвох
платить — цален	Пятница — фрайтаг
Поздно — шпет	Хозяин — ка — der bupt, die
принести — бринген	buptun
Ложка — лоффель	Холодная вода — Кальтес (was-
Левый — линкс	ser)
Немного — этвас	Цена — прайс
Новый — ной	Цвет — die фарбе
Ночной горшок — нахт(т)онф	Чтоб — дас, дамит
Неделя — воехе	Воскресенье — Зонтаг
Надо — нетиг	Вторник — Диистаг
Называть — венениен	Четверг — Дон(н)ерстаг
Открыть — эфнен	Суббота — Зоннабен(д)».

Բըբ նանցամօտ զշեյրև գազօմեռութ, հռմ ձղնօթնյուլո քոշմենքու յըրտգաճաճ զօտզալութիօնեցն ոլոր քազքազօծ ցըրմանյուլո յեն Յուրատ 900-ամ վլցցմու դա ոց զըրանցիու զըր մոցցըմ և նրայլուոյուլ նարմուցենա օմօտ մշեանցն ըամքնաճ ուլունքու ցըրմանյուլ յեն քայրէ ձանսօռնօժան ցամունյուլո դա տօնուուս ցօնեածուս ույ նըթերծուրցուս շնօւզերնօտեցուս ցըրլցմու ձղնօթնյուլո օլոր քազքազմու անցանցանքուս վլցցմու (մոցօշնեան ացրեւցը, հռմ 80-ամ վլցցմու ոլոր ցըրմանյուլ յենմու ազարչութենքու արդուր լասեմու), յուզել մեմտեզեզմօ, և կըօրալյուրո լութերակուրունք (առ. զալանճամե, չ. զագնօմ) ւենօնուս, հռմ անցանցանքուս վլցցմու օլոր թօցուրութ լուցիո (մագալութաճ, ձանես ՝լոցութ մոյքցար իյմսա լոցութա», Ցոլցըրուս ՝օրեմլութ Ձօնա նշցցմու») շմշալութ ցըրմա-

ნული თრიგინალიდან უნდა ჰქონდეს თარგმნილი. ეტყობა, ხანდაზმულობის ახაკ-ში იღიას გერძანული ენა საერთობლად ჰქონია გადავიწყებული.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ ილია გერძანული მიერ იავლიასური ენის ცოდნის ამავიც.

ცნობადია, რომ პეტერბურგში მყოფი ილია ჭავჭავაძე ბანკის საქმეების გა-ჭიათურების გაში 1873 წლის შემთბერძობაზე ივახე მასპელიან ერთად შეუდგა შექმანის «მეცვე ლირის» ქართულად თარგმნას. ამის თაობაზე 1873 წლის 20 ნოემბერს ილია პეტერბურგიდან ატყობინებდა თავის მეუღლეს – ოდა ჭავჭა-ვაძეს: „აქაური ამბავი რა მოგწერო: მე უსაქმობის გამო ან გლიურის ეხის სწავლას შევუდე ქი და შექსაირის ტრაგედიას „გოროლ ლირის“ ვასთარ-ვინა სხვასთან ერთად. აქედამ რომ მოვალ ან გლიური მეცოდინება იმდევნად რომ სუბუქს თხ ულების წაკითხვა შემედლდოს“.

მავრამ, აი, უკანასკნელ ხანს აღმოჩნდა იღიას 1896 წლის 26 თებერვლის წერილი მარჯორი უორდორპისადმი, რომელშიაც იგი თავისი „განდეგილის“ მარ-ჯორი უორდორპისეული ინგლისური თარგმანის (ლონდონი, 1895) მიღების გამო წერს: თუ თდეს მე მინანია, რომ ინგლიური არ ვიცი, ეხ-ლა უფრო მეტად ვნანობ, ხოლო ეს კი უნდა მოგასხვნოთ, რომ ვისაც ანგლიასურის მცოდნებს წავაკითხე, კველამ ძალიან მოიწონა თქვენი თარგმანი“.*

მაშასადამე, აქედან შევიძლია დავასკვნათ, რომ იღიას უცხო ენების (გერმანული, ინგლისური) აქტიური ცოდნა არ ჰქონია, რის გამოც ხანდაზმულობის ასაკში ისინი გადავიწყებათ.

ამრიგად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალები ავსებენ ილია ჭავჭავაძის მდიდარი და მრავალფეროვანი ბიოგრაფიის ერთ ფურცელს – კერძოდ, 1900 წელს კვრიპში, სახელდობრ, პოლონეთში, კერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში კოუნის შესახებ.

* ავე, გვ. 326.

** გ. შარამე, საქართველოვ, მე ვარ შენთანა (ილია ჭავჭავაძის გამოუქვეყნებელი სერიათ და წერილები), „კომუნისტი“, 29.III.81.

ნუგზარ მგელაძე

ზემოაჭარული ცრიფლის განაზისის

საპირზისათვის

(სოფელი აგარა)

ამა თუ იმ სოფლის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესწავლას წერილობით წაროვებთან კონტექსტში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც მია-სი კონომიკური განვითარების ნათელსაყოფად, ასევე დასახლების ფორმისა და არქიტექტურული განაშენიანების სწორი ორგანიზაციის, მოსახლეობის კოფისა და კალტურის თავისებურებების გასათვალისწინებლადაც.

სოფელი აგარა ისტორიულად ზემო აჭარას ეკუთვნის და ლიპანებული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და ყოფით ხულოს რაიონში შედის. აჭარაში დაუღულია არსანის ქედის განშტოებებით. სახლები განლაგებულია ფარლიანისა სერებზე და მთის დასახლების თავისებურ კომპლექსს ქმნიან.

სოფ. აგარა წერილიძითი წყაროების მიხედვით პირველად ოსმალთა ბატონიძინ დროინდელ ერთ-ერთ საბუთში, კერძოდ, სულთან აბდულ-ჰამიდ III 1789 წლის ფირმანშია მოხსენებული. ამ სიგვლით აგარა ნაწყალობები ჩანს ვინმე ესეთ ბეგზე.¹

გახული საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში დასახლების ძირითადი ერთეული ფართო სოციალური გაერთიანება იყო თემის სახით, რომელიც რამდენიმე სოფლისაგან შედგებოდა. თავის მხრივ სოფლები იყოფოდა პატარ-პატარა უბნებად. ამ დროისათვის აგარის თემში შედიოდა შემდეგი სოფლები: აგარა, საცახური, ვანაძები, მეკეიძები და ვაშაკიძები. როგორც ჩანს, აღნიშნულ პერიოდში სოფ. პანტარი, ნამთანასტრევი და სხვა დამოუკიდებელ ერთეულებად არ იყო ფორმირებული. ესენი, დასახლებული პუნქტების ხარჯზე ახოს აღებისა თუ დამხმარე სამეურნეო ბაზის (ყიშლა)² საფუძველზე მოგვიანებით ჩამოყალიბდნენ.

საარქივო მონაცემებით ირკვევა, რომ სახნავი და ხეხილიანი საკრიმდამო ნაკვეთების, საძოვრების, სათიბების, წიწვოვანი ტყეებისა და გზების ჩათვლით აგარის თემს ღორჯვომის თემთან ერთად ეკუთვნიდა 16.737 ლესეტიანა მიწა. XIX საუკ. 80-იან წლებში, აჭარის თხმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდგომ, მიაგვივის მიერ შედგენილ ერთ-ერთ საბუთში ღორჯვომის, დღიდაჭარისა და აგარის თემის (იბინა) ნაცვლად ნამხარია ტერმინი „სოფლის ხაზოგადოება“ (сельское общество).³

ძველ საქართველოში სახელწოდება აგარა შეფლობელობის თავისებური საწეობის მანიშნებელია. ეთნოგრაფიული მასალებით, სოფ. აგარა თავდაპირველად ტყე-ბუნექნარი იყო, სადაც პირველად სოფ. ვანაძების მკვიდრი დასახლებულან. თუმცა ეს გადმოცემა გვაანდელი ჩანს, რადგანაც მატერიალური კულტურის ნაკვალევი საყდარ-ნაკლებარების სახით, ამ ადგილის ძველთაგან დასახლებულობაზე მიუთითებს. სოფ. აგარა თავისი მდებარეობის გამო წარსულში „საპარო ადგილად“ მიიჩნეოდა. სოფელი მაღალი მთებითა შემოზღუდული და ზამთრის ძალით კლიმატური პირობების მიუხედავად, თავისი თერმიული და ბუნებრივი წყლებითა და მთის შესანიშნავი ჰაერით ახლაც საკურორტო ადგილს წაგავს.

გადმოცემის ერთი ვარიანტით, სოფ. ვანაძებიში სამეგრელოდან ვინმე მეჯოგე ამოხულა. მას აგარის ტყით დაფარულ ტერიტორიის ერთ-ერთ მხარეს ტაბადი მდელო დაუნახავს, რომელიც სოფ. ვანაძებიდან კარგად ჩანდა. მეჯოგეს მის ვარშემო მდებარე მიდამოები შეუფასებია და დაუსევნია ამ ადგილის სააგარაკო გამოყენების ვარგისანობა.⁴ კიდევ ერთი არსებული ოქმულების მიხედვით, სამოსახლოს პირველ მაძიებელს ამ კუთხის დათვალიერებისას წარმოუთვეს „აქ არა“, ე. ი. აქ არ ცემოვნებოთ და თითქოს იგი დასახლებული პუნქტის სახელწოდებად შემორჩა. სოფ. აგარის აღნიშნული ხალხური ეტიმოლოგია სწორი არ ჩანს. საქართველოში ამ სახელწოდებით რამდენიმე ტაბანიმა ფიქსირებული. აგარა ზოგადად საყანე და სავანახე ადგილს ნიშავდა. „აგარანი“ წარსულში დაბას, დაბათა ციხესაც ეწოდებოდა.⁵ ქართულ საისტორიი მწერლობაში „აგარაკის“ საკითხს საგანგებო ყურადღება მიაქცია ს. ჯანაშია. იგი აგარაგს IV-V სს. ქართლში მიწისმეფლობელის თავისებურ ფორმად მიიჩნევდა. აგარაკებად იწოდებოდა წვრილი მიწის ნაკვეთები, რომლებიც ანთს აღებისა თუ სხვა გზით დაპატრონების შემდეგ ინდივიდუალური ყიდვა-გაყიდვისა და თავისუფალი

განკარგულების ობიექტად იყო ქცეული. აქ, აგარაკი ათვისებული და მიღებული ბუღალტერია არა სოფლის თემის, არამედ ინდივიდის შეირ. იგი ფულდალური სამართლებულების საკუთრების ობიექტიც ყოფილა.⁶ პირადი კუთვნილების მნიშვნელობულ განიხილავს აგარაკს ივ. ჯავახშვილი.⁷ გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, აგარაკი უმთავრესად მაინც სათემო მიწების გარეთ დარჩენილი და კერძო განკარგულებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების აღმნიშვნელია.⁸ უახლოესი გამოკვლევების მიხედვით, მასში იყულის სხმება მიწა, სახნავ-სატესი ადგილი, ყანა, დაბა, მაული, მონაგება. ამ სიტყვით აღინიშნებოდა როგორც „ლიდი მთავრის“ „საზღვარო-კრისტე“ მიწა ადგილები, ისე დარიბი მუშაქის კუთვნილი მიწის საკვეთიც. ვარაუდობენ, რომ „აგარაკების“ გაჩენა წინ უსწრებდა მიწაზე ფეოდალური საკუთრების წარმოქმნას.⁹

სელხან-საბა ორბელიანის განმარტებით „აგარ“ მწირს ნიშნავს. „აგარა“ სახაფურცლო სადგურს, ხოლო „აგარაკი“ საგანურს, საკენახე ადგილს და დაბას.¹⁰ 6. ჩუბანაშვილის ლექსიკონის მიხედვით, აგარა „საზაფურცლო სადგურია“, ხოლო აგარაკი – დაბა, ანუ სახნავი, გინა საკენახე ადგილი.¹¹ როგორც მოტანილი მონაცემებიდან ირკვევა, „აგარაკი//აგარა“ საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფურცელშე სხვადასხვა შინაარსის მატარებელი იყო.

აჭარაში სოფ. აგარის ტერიტორია სოფლის თემის სარგებლობის ობიექტია, შემდგრიში კი ამ თემის მიერ ათვისებული და სამოსახლოდ გამოყენებული. თანა-დათანიბით მიწა, ნათესაური პრინციპების დაცვით, საოჯახო თემების სეგმენტაციის ხაფურცელშე, ცალკეულ ოჯახებს შორის განაწილდა და მისი გამოყენების თვალსაზრისით ინდივიდუალური წესით განვითარდა.

საურო-სახოფლო გაუნაწილებელი მიწების ათვისების პირველ საფურცელს ახორ აღება,¹² ტყის გაგაუვა-გაწმენდა წარმოადგენდა, ხშირად ამგვარ ადგილებში დამხმარე სამეურნეო ბაზები ეწყობოდა. ეს იყო ყიშლური მეურნეობა, რომელიც სოფლისა და დასახლების ფორმათ ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ცნობილია, რომ ყიშლა, როგორც დამბარო სამეურნეო ბაზა, საბოროლო სოფლის სახეს დებულობდა. სოფლის გენეზისა და მის განვითარება-დაგეგმვისას საფუძვლად ედო მოსახლეობის შრომა-საქმიანობა, მეურნეობრივი პირობები და საცარმო ძალთა განვითარების დონე. ტყიანი ადგილების სამოსახლო გამოყენებას აპირობებდა ტყიანი ადგილმდებრები, რაც სამშენებლო მასალას ადგილზევე ხელმისაწვდომს ხდიდა. მეორეც, ტყის გაჩენით იქმნებოდა თავისეფალი მიწების ფინანსი, რომელიც სამეურნეო ცხოვრების მოწყობისათვის მეტ გახაქანს იძლეოდა.

1878 წლიდან, რესეული მმართველობის შემოღების შემდეგ, ტყის მოახოება განსაკუთრებით იკრძალებოდა. მოუხედავად ამისა, ადგილობრივი გლეხები მაღალად სხეხდნენ ტყებს. ასეთი საქმიანობისათვის ჯარიბა იყო დაწესებული, მაგრამ დაწმენა-სათაბის მოწყობა გაცილებით სარგებლიანი ჩანდა და გლეხები იხდენ შეწერილ ჯარიმას.¹³

მაღალმთან აჭარაში სოფლების უმრავლესობა მოსახლეობის ზრდა-შემჭიდროებითაა ჩამოყალიბებული და ხშირად ახლად ათვისებული სოფლის სამოსახლო ადგილები ემთხვეოდა ძველ ნასახლარებს, რომელიც „ნაქართლი“-ს სახელი ადგილები და სახლების მიერთა ცნობილია. ასე წარმოშვა შიდამთან აჭარაში რიგი სოფლები: ინწკირვეთი, ქურდელი, პანტნარი, ნამინასტრევი, გელაურა, მერჩხეობა და სხვ. ამავე კხით უნდა წარმოქმნილიყო სოფელი აგარაც, როგორც ადრე ერთ-ერთი დასახლებული ჰენგტის საერთო-სასოფლო მფლობელობის ფარგლებს არ უნდა გახლებული ცილებოდა. სოფ. აგარის წარმოშობის შესახებ ეთნოგრაფიული მასალები მაღალზე

წწირია, თუმცა მისი ჩამოყალიბება მომიჯნავე სოფლების წარმოქმნის ანალიზი-ურად უნდა მომხდარიყო. მაგალითად, სოფ. შერჩხეთი აღრე „მერდექშერდეჭა-ძეებისა და სტეფანაშვილების სასოფლო ადგილს წარმოადგენდა უმარტივეს წლის წინ აქ ხალხი თანდათანობით დასახლებულია. ვადმოცემით, ეს ტერიტორია თავდაპირველად წინწალაშვილებისა და ირემაძეების მფლობელობას ეკვემდება-რებოდა, ხოლო შემდევ იგი სოფ. ლაბაძეების მოსახლეობას შორის გასაშილდა. სოფ. ინწყირვეთი აღრე ყიშლა ყოფილა, აქ შემოგომით საქონელს აბინავებდნენ, აღრე კი ხან სიმინდი ეთესათ, ხან კი ფეტვი და პური. როცა ტევ გაიკავა და ხალხი საბოლოოდ დასახლდა, მარცვლეულისა და მოსაკლის ნაყოფიერება ერთ-ორად გაზრდილა. მიწით ასეთი სარგებლობა ადგილობრივ მოთხოვნილებასთან და სამეურნეო თავისებურებებთან იყო შეფარდებული. სოფ. ქურდულის ერთ-ერთი პირველი მოსახლის, 80 წლის მ. ხარაბაძის გადმოცემით, მებთან გარიგე-ბის შემდევ მას სოფ. ტუნაძეებში მიწა ცოტა დარჩა, მცირემიწანობის მიხეზით, ისინი საერთო-სასოფლო მიწებზე, კერძოდ, ქურდულში მართავენ სამოსახლო ადგილებს. მაშინ ქურდული ტყით იყო დაფარული. მრომისმოვარე გლეხს ტყი-ანი ადგილი ზოგან გაუკავია და ცეცხლით მოუწვია. ახალი ოჯახი ახოს ჯერ სათიბად იყნებდა, ხოლო თანდათანობით ფანად გადაქცია.¹⁴

ამრიგად, ამა თუ იმ სოფლის გენეზისის სოციალური და ეკონომიკური სა-უკემლების ძიება, ერთ-ერთი საინტერესო საკითხთაგანია, ამ პროცესს სხვა უაქტორებთან ერთად, ხეობებსა და სოფლებს შორის შიგმიგრაციებიც უწყობდა ხელს, რამდენადაც ახალი სოფლების წარმოშობის აუცილებლობა, ძირითადად მოსახლეობის ზრდისა და გამრავლება-გამჭიდროობის შემდევ ხდებოდა და მო-სახლეობაც ერთი ადგილიდან მეორეზე ინაცილებდა.

1 საქ. ცსსა. ფ. 231, საქმე 99, ფ. 7. იხ. ა. აგალიანი. მიწის მფლობელობის ფორ-მები აქარაში, ბათუმი. 1960, გვ. 55.

2 აქარაში ყიშლის ქვეშ იგულისხმება საქონლის ღროებითი სადგომი, რომელაც სეზონურ, გადატევით მესაქონლეობასთან იყო არგანულ კაშირში. ყიშლისა და სა-ერთოდ მესაქონლეობის შესახებ იხ. ვ. შამილაძე. ალტერი შესაქონლეობა საქართვე-ლოში. თბილისი. 1969.

3 ა. აგალიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 118, 123.

4 მთხრობ. იოსებ აბედის ძე მგელაძე, 58 წლის. სოფ. აგარა, 14/XI-1980.

5 6. ბერძენიშვილი. ძეველი თბილისის ტოპონიმიკიდან. (აგარან) მიმომხილველი. თბილისი, 1951, გვ. 43.

6 ს. ჯანჭელი. შრომები. თბილისი, 1949, გვ. 282-283.

7 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის სტორია, II, თბილისი, 1929, გვ. 332.

8 Г. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб. стр. 414.

9 ა. ზოგვერაძე. მიწის ფეოდალური საკუთრების ორმათა განვითარება აღრე-ფეოდალურ ხანში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბი-ლისი, 1980, გვ. 71-72.


10 ს. ს. ორბელიანი. სიტყვის კონა. თბილისი. 1949, გვ. 19.

11 6. ჩიბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961, გვ. 132.

12 6. ჩიგავაძე. ახორბა აქარაში. აქარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის სა-კონები. თბ., 1967, გვ. 52.

13 ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

14 ვლ. გეოლაძე. 1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, რვ. № 1. ზოუშის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდი.



მაია მახარაძე

ი უ მ თ რ ი ს

გ რ ე ნ თ ბ ი ს

კრისტელ კოლეგა შესტუმრა და მითხრა:

— შენს შემოქმედებას იუმორის გრძნობა აკლია. აღვილ-აღვილ რომ ჩაუ-
როთ, ვფიქრობ, კარგი იქნება.

— მაინც, რა საჭიროა იუმორი? — ვკითხე მე.

— როგორ თუ რა საჭიროა, ხალისი შეაქვს ნაწარმოებში. მოსაწყენი არ იქ-
ნება წასაკითხად, და დარიგებებით თუ ფილოსოფიური მსჯელობებით აღარ
გადაღლია მკითხველს.

კესმინქ, კესმინქ და კუთხარი:

— ნები არცერთი ნაწარმოები არ საჭიროებს იუმორს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ, როცა ჩემი ნაცნობები ავტორის სახელს წაიკითხავენ, იმ-
წამხევ გაეცინებათ და იტყვიან: როდის აქეთ დაიწყო წერათ.

ჯონი გარამიძე

საღამობრი თბილისის „ღიაბოს“

თქვენი სურვილი ასრულდა, ჯილდო — ეპროპის თასია.
ბაჭებო, თქვენი ჭირიმე, ეს ერთი, სხეა — ათასია,
კვლავ აგვისრულეთ ნატერა და გამარჯვების მზე გვანათეთ,
ლილინით ნუღარ დაგვხოცავთ და სუპერთასიც გვანახეთ,

ეს სტრიქონები გაუთვის ჩევნს სიამავეს ყიფიანს;
შოთა იტყვიდა ვთარცა, „მას ვაქებ, ვინცა მიქია“.

სტადიონებზე შენს ქროლვას ვერ დაწევია ფრინველი,
ნაქართველოში კი არა, ვვალგან იყავი პირველი.

გ ა ს უ ლ ო რ თ ვ ა შ ი

საოლქო გაზეთების
მუნიციპალიტეტი

გაზეთები „საბჭოთა აჭარა“ და „სოვეტსკაია ადგარია“ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაარსებული.

ბრძოლისა და შრომის კველა ეტაპზე ხაოლქო გაზეთები მუდაშ მხარში ეღვნენ აჭარის პარტიულორებისაციას, მშრომელებს. რაზმავრნენ კომუნისტური პარტიის წინასწარდასახულობათა । შესახურულებლად.

„საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია ადგარიას“ უურცლებზე ბათუმელ მწერალთა მრავალი ნაწარმოები დაიბეჭდა.

საოლქო გაზეთების 60 წლისთვი დიდი სიყვარულით აღნიშნეს ავტონომური რესპუბლიკის მშრომელებმა, საზოგადოებრივმა კორესპონდენტებმა, კველამ, ვინაც ისინი კეთილ მეობრიად და დამრიგებლად მიაჩნდა.

ამ სიყვარულისა და პატივისცემის მაფიო გამოხატულება იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის ხაელმწიფო. თუატრში გამართული სახიიმ სხდომა, რომელიც გახსნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანში. ნ. გუგუანვამ. მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასხრ უზაღლები საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასხრ მინისტროთა საბჭოს შიხალმება გაზეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია ადგარიას“ რედაქციებისადმი.

„საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია ადგარიას“ განვლილ კზაზე, დღვევანდულობასა და მომავლის ამო-

ცანებზე იღაპარაკეს ამ გაზეთების რედაქტორებმა შ. ჭურიძემ და ვ. მარლანიძემ.

საქართველოს უურნალისტთა კავშირის გამგეობის, საქართველოს ფედერალისტის სახელით უბილარ გაზეთებს გულობილად მიესალმა საქართველოს უურნალისტთა კავშირის გამგეობის მდგანინ ბეკანიშვილი.

გაზეთებს მიესალმნენ აგრეთვე ქობულეთის № 2 ჩაის ფარიკის ბრიგადირი თ. მახარაძე, გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო კოლეგის წევრი, განყოფილების გამგე ვ. თორდუა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანიდატი, ბათუმის მანქანითაშენი ქარხნის მეეალიძე ა. პლუგნიკოვი, აფხაზეთის უურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „აფხსი ყაფშის“ რედაქტორის კვიტინია, სამხრეთ ისეთის ავტონომიური ლექის უურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პ. თელევეკი, ხელვაჩაურის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზით“ რედაქტორი გ. ქუთათელაძე, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ კოფილი რედაქტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული უურნალისტი ა. კვლენჯერიძე, სამხედრო მოსამსახურე თ. სარქისიანი, მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშით“ რედაქტორის მოაღილე მ. კილაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უურნალისტიების ფაკულტეტის პრეზიდის კათედრის გამგე, პროფესორი ნ. ტაბიძე, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგის კათედრის გამგე ლოცენტი ა. გობრინიძე, ლანჩხუთის რაიონული გაზეთის „კომუნისტუ-

რეტის უურნალისტიების ფაკულტეტის პრეზიდის კათედრის გამგე, პროფესორი ნ. ტაბიძე, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგის კათედრის გამგე ლოცენტი ა. გობრინიძე, ლანჩხუთის რაიონული გაზეთის „კომუნისტუ-

რი შრომის „ რედაქტორი თ. ღოლიძე, განკვეთ „სოფლის ცხოვრების“ განყოფილების გამგე ე. ღერაბიძე, საქართველოს მწერალთა კუშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებლი მდივანი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტი ფ. ხალვაში, რომელმაც წაიკითხა ლექსი.

* * *

ბათუმში ხაგამოფენო დარბაზში გაიხსნა პრესაში მომუშავე ქართველ მსატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც განხეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია ადეარიას“ 69 წლისთვის მიეძღვნა.

ახალი საზოგადოებრივი კლუბი

ბათუმში ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლუბი ბურგუაზული იდეოლოგიის წინააღმდევე პრძოლის საკითხებზე, იგი ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციის და იმ კრცხვლი პროგრამის შესაბამისად შეიქმნა, რომელიც პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს შეამუშავა და რომელზეც „პრავდა“ წერილი ამას წინათ თავის შეწინავე წერილში.

აჭარის ტექნიკის საოლქო სახლში გაიმართა ახალი კლუბის პირველი სხდომა. იგი გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქადაქტო კომიტეტის შეორუების მეორე მდგრადი ს. ხახუაშვილი.

კლუბის შინებსა და ამოცანებზე იღვანებაკა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის რესპუბლიკური თრგანიზაციის გაძლიერის თავმჯდომარის პირველმა მოაღვილეობა დოცენტმა გ. ჩხეიძემ.

„შეატვრის სახლში“

— „შოთა ხოლუაშვილი ერთგულია რეალისტური მხატვრული მუზეუმის თეტიკური მრწამხისა. ხელ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლისას გამოიკვეთა მისი, როგორც ნიჭიერი მხატვრის თავისებური ხელწერა“.

ამ ხიტებით გახსნა საქართველოს დამსახურებული მხატვრის შ. ხოლუაშვილის პერსონალური გამოფენა საქართველოს მხატვართა კატერის თავმჯდომარე რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ელგუჯა ამაშეველმა.

ვერნისაგუშე, რომელიც თბილისში, „შხატვრის სახლში“ გამართა, ძოვიდები შ. ხოლუაშვილის ხელოვნების პატივისცემულები, მისი კოლეგები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საქართველოს ურნალისტთა VI გრილობის დაღებატები.

შ. ხოლუაშვილის მიესალმნენ და პერსონალური გამოფენის გახსნა ძიულოცეს აჭარის ახსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ გ. ღლონტება, აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა მ. ბოლქვაძემ, შ. ხოლუაშვილის მასწავლებელშა ხელოვნებათცოდნეობის დოცტორმა ო. ფირანიშვილმა, საქართველოს კულტურის დამსახურებულმა მემაკმა დ. შარაშიძემ, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანმა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა რ. თორიძამ, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა ო. კუკავამ და სხვებმა.

შ. ხოლუაშვილმა მაღლობა გადაიხადა მისი შემოქმედების დაფასებისათვის და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში უკანასკნელ წლებში მომხდარი ძირული გარდაქმნები მას, როგორც

მხატვარს, შთააგონებენ ახალი ტი-
ლოების შესაქმნელად.

გამოფენის განხსნას ესწრებოდნენ
საქართველოს კომპარტიის ცენტ-
რალური კომიტეტის გულტურის
განცოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-
ჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის
უოდგილე პ. სირაძე, საქართველოს
კომპარტიის ცენტრალური კომი-
ტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძ-
ღვანელი თ. ზარგისავა, პარტიის
იშარის საოლქო კომიტეტის მდივა-
ნი ნ. გუგუნავა, საქართველოს სსრ
გულტურის მინისტრის მოადგილე
პ. ჭორეშოლიანი.

შპს ცენტრალური სახალხო არტისტთა აკადემია

საქართველოს სსრ სახალხო არ-
ტისტს შერაბ ჩინიკაძეს დაბადე-
ბის 70 წელი შეუსრულდა. აქასთან

დაკავშირებით შურნალისტთა კლუ-
ბით აქარის შურნალისტებმა მას
შეუწევდნა მოუწვევებ.

შესველი გახსნა აქარის კლუ-
ბისტთა კავშირის გამგეობის თა-
ვტკლობარებმ, განეთ „საბჭოთა აჭა-
რია“ რედაქტორია შ. ქურიძემ.

შერაბ ჩინიკაძის შემოქმედების
შესახებ ისაუბრა პოეტმა გ. ხალუქ-
ვაძემ.

სავარელ მსახიობს მიესაღმნენ
პოეტი ხ. ჯაფელი, შურნალისტე-
ბი ნ. ჯაფარიძე, შ. ზოიძე, ა. ლია-
ნაძემ, შ. შევილობაძე.

შ. სინიკაძემ მაღლობა გადაიხადა
უსულებილი შესვედრისათვის და
შერხალისტებს გაუზიარა მოუნე-
ტება თავისი შემოქმედებითი გზის,
ბათუმში ქართული საბჭოთა თეატ-
რის შექმნისა და სხვა საინტერესო
საკითხებზე, წაიგოთხა მონოლოგები
სპექტაკლებიდან.

6

მთავარი რედაქტორი პლეისანდრე საბრძნები სარედაქციო კოლეგია:

აზია ანგლიულიანი, გილოგი განმისილავი, ზურაბ გორგილაძე, ვაშია
ვარგარიძე (პასუხისმგებელი მდივანი), უთობა ზოიძე, დავით თელორაძე,
გილოგი სალუქარიშვილი, ჯვებალ ჩათამაშვილი, ალექსანდრე სჩაბიძე, ფრიდონ
ხალვაში, დავით ხახუშავილი, ჯვებალ ჯავალი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 20.2.82, ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.3.82, საბეჭდი თაბ-
ხი 6, საგამოცემლო 5, შეკვეთის № 652, ემ 01444, ქაღალდის ზომა 60×90 1/3,
ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ გამოშეცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოთ
გაერთიანება, ბათუმი, ლუქემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам изда-
тельств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое
производственное объединение Аджарской АССР. Батуми,
ул. Р. Люксембург, 20.



3560 40 353.

68/84



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118